საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტურ პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელ. 13—80.

კვირა, 31 იანვარი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 24 (1479)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელი ნომერი შეიცავს 8 გვერდს

დღიური

- ესპანეთში ძლიერდება მოძრაობა პრიმო დე-რივერას დიქტატურის წინააღმდეგ.
- რიზა-ხანის შვილი ტახტის მემკვიდრეთ გამოაცხადეს.
- ინგლის-იტალიას შორის შეთანხმება მოხდა ვალების საკითხზე.
- ვარშავაში გაიმართა უმუშევართა დიდი დემონსტრაცია.
- უ-პეი-ფუსა და ჩან-ძო-ლინს შორის შეთანხმება მოხდა.
- ვარშავაში გაიფიცენ ტრამვაის მუშა-მოსამსახურეები.

სამშაბათს, 2 თებერვალს, საღამოს 6 საათ. შესდგება

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა

ცაკის მდივანი ს. თოდრია

„კომუნისტი"
დღეს, 31 იანვარს
კანტორა ღია იქნება
ხელისმოწერის მისაღებად
დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე

შრომის ხელფასის საკითხები

შრომის ხელფასის საკითხების გადაჭრა მოითხოვს დიდ სიფრთხილეს. აქ საჭიროა ყველაფრის გათვალისწინება და აწონ-დაწონვა. ყოველგვარი შეცდომა შრომის ხელფასის პოლიტიკაში მოიტანს არასასურველ შედეგებს და უარყოფით გავლენას მოახდენს როგორც ჩვენს მეურნეობის, ისე მუშათა კლასის მატერიალურ მდგომარეობაზე. დაუშვებელია ოდნავ გადახრაც ამ საკითხში სწორათ აღებულ ხაზიდან. შრომის ხელფასის ფრთხილმა პოლიტიკამ და ამ საკითხის სწორათ გადაჭრამ მოგვცა რეალური ხელფასის თანდათანობითი მტკიცე ზრდა. წლიდან-წლამდე იზრდება როგორც ნომინალური, ისე რეალური ხელფასი. თუ ორი-სამი წლის წინათ ხელფასის საშუალო რაოდენობა ყველა დარგებში მომუშავეთათვის არ აღემატებოდა ომამდე არსებულის ნახევარს, ახლა უკვე თითქმის ყველა საწარმოო დარგებში ის უდრის მშვიდობიან დროის ხელფასის 90 პროცენტს რეალურ გამოხატულებაში. ცხადია, ხელფასის რაოდენობა არ შეჩერდება ომამდე არსებულ ნორმებზე და მისი ზრდა უფრო მაღლა წავა, რამდენათაც ამის საშუალებას მოგვცემს ჩვენი მეურნეობა.

მივაღწევდით თუ არა ამ მდგომარეობას, რომ ფრთხილი პოლიტიკა არ გვეწარმოებია? ცხადია, არა. სტიქიურათ ხელფასის ზრდა მოგვცემდა მხოლოდ ნომინალის (რიცხვობრივი გამოხატულების) გადიდებას და რეალური ხელფასი კი არა თუ არ გაიზრდებოდა, არამედ სულ უფრო და უფრო ძირს დაექანებოდა. ასეთი მდგომარეობა კი არავისათვის სასარგებლო არ არის, არც სამეურნეო ორგანოებისათვის და არც მუშა-მოსამსახურეთათვის. აბა ვის რათ უნდა, რომ დღეს 30 პროც. ხელფასის რიცხვობრივი გამოხატულება ავსწიოთ და ხვალ ფასები 40 პროცენტით გაიზარდონ? ხელფასის ყოველგვარი გადამეტება, მეურნეობის მდგომარეობასთან შეუფარდებელი და სტიქიური [illegible] იწვევს სინამდვილეში არა გადიდებას, არამედ დაკლებას. ეს დებულება ყველასათვის უდავო უნდა იყოს.

მიმდინარე სამეურნეო წლის დასაწყისში ჩვენ ავიღეთ ხელფასის საგრძნობლათ გაზრდის გეზი. ეს გამომდინარეობდა ჩვენი მეურნეობის გაზრდის პერსპექტივის შეფასებიდან. მაგრამ, როგორც შემდეგში გამოირკვა, სინამდვილეში ჩვენი მოლოდინი სრული ასი პროცენტით ვერ გამართლდა. ამის მიზეზებს აქ არ ჩამოვთვლით, რადგან ეს საკითხები საკმაოდ იყო გაშუქებული თავის დროზე. ხელფასის ზრდის აღებული გეზიც გადაჭარბებული აღმოჩნდა. ის მომატება, რომელსაც სამეურნეო წლის დასაწყისში ვფიქრობდით, არ შეიძლებოდა გატარებულიყო, რამდენადაც ამის საშუალებას არ იძლეოდა მეურნეობის მდგომარეობა. მეურნეობის გაზრდის და გაფართოების განსაზღვრამ გამოიწვია ხელფასის ზრდის განსაზღვრაც.

ერთი ცხადია, რომ ჩვენი სურვილი და ზომები მიმართული იყო ხელფასის საგრძნობლად გაზრდისაკენ. რომ გამართლებულიყო მეურნეობის დასახული ზრდის ტემპი, ეს საგრძნობი ზრდაც მოხდებოდა, მაგრამ არ გამართლდა და ამიტომაც ჩვენმა სურვილმაც ვერ ჰპოვა სრული განხორციელება.

უნდა ითქვას, რომ ზოგან ვერ უფარდებენ ხელფასის ზრდას მეურნეობის მდგომარეობას. აქა-იქ კიდევ გაიგონებთ: „ოც პროცენტს შეგვპირდით და მოგვეცით"-ო. ასეთი დაუფიქრებელი მსჯელობა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც თავს ანგარიშს არ აძლევს იმაში, რომ ხელფასის მომატების საკითხი როგორც ასეთი, სხვა სამეურნეო ფაქტორების დამოუკიდებლათ ვერ გადაწყდება. ასეთ მომატებას უთუოდ უნდა ჰქონდეს საფუძველი, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ვსთქვით, მომატება ფაქტიურად დაკლებათ გადაიქცევა, რამდენადაც მეურნეობის შესაძლებლობასთან შეუფარდებელი ხელფასის ზრდა ხელს შეუწყობს ბაზრის [illegible] და სიძვირეს.

ამიტომ თვითეული ჩვენგანი ამ საკითხს უნდა მიუდგეს შეგნებულად. შეუძლებელია ახლა, ამ მოკლე დროში, ხელფასის საგრძნობი ზრდა და ჩვენც ასეთ მოთხოვნილებას არ უნდა ვაყენებდეთ. როცა შესაძლებელი იქნება, მაშინ ყველა, როგორც სამეურნეო ორგანოები, ისე პროფმუშაკები მხარს დაუჭერენ მომატებას. ამას გვიმტკიცებს ამ სამეურნეო წლის დასაწყისი, როცა თვით სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები აყენებდნენ ხელფასის საგრძნობლად გაზრდის საკითხს. რამდენადაც ეს განზრახვა ვერ გაამართლა მეურნეობის ზრდამ, იმდენად უარი ვსთქვით საგრძნობ მომატებაზე. ახლა არ უნდა ვაყენებდეთ მომატების საკითხს.

ზოგან გაიგონებთ იმის მტკიცებას, რომ ჩვენი წარმოება ან ჩვენი სამეურნეო ორგანო მომგებიანი არის და ხელფასის გაზრდაც სხვაზე უფრო შესაძლებელიაო. საკითხისადმი ასეთი მიდგომა დაუშვებელია, ვინაიდან ერთი წარმოების მოგება სრულიად არ შეიძლება გაყოფილი იქნას ამ წარმოებაში მომუშავეთა შორის. ჩვენს მეურნეობაში ზოგიერთი საწარმოო ერთეულები მომგებიანი არიან, ზოგიერთიც წამგებიანი. ერთის მოგება მეორეს წაგებას ფარავს. ხელფასის ზრდის საკითხში ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ არა მარტო ცალკე წარმოების ან საწარმოო დაწესებულების მდგომარეობიდან, არამედ საბჭოთა მეურნეობის მდგომარეობიდან მთლიანად. ყველა საკითხის გადაჭრას და, მით უფრო შრომის ხელფასისას, ჩვენ უნდა ვუდგებოდეთ საერთო კლასიური ინტერესების და არა მუშათა ცალკე ჯგუფების თვალსაზრისით.

მიღწეულ რეალურ ხელფასის გამაგრება საბაზრო ფასების მოწესრიგებით და ნომინალური ხელფასის დროებითი შეჩერება წინ წასულ ჯგუფებისათვის,— აი ჩვენი ხაზი ამ რამოდენიმე თვის განმავლობაში და ეს იმ დრომდე, სანამ ახლანდელი სამეურნეო კონიუნქტურა არ შეიცვლება.

ტომელი.

საბჭოთა მომავალი არჩევნების საკითხები *)

III. ვინ უნდა იყოს არჩეული სათემო საბჭოებსა და აღმასკომებში

დიდი ხანია, რაც ჩვენმა პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი—საბჭოების გამოცოცხლების შესახებ. მას შემდეგ ეს საკითხი საკმაოდ ნათელყოფილ იქნა და ფართოდ განმარტებული პარტიის მე-14-ე კონფერენციაზე, ცეკას პლენუმებზე და საკავშირო და რესპუბლიკანურ საბჭოთა ყრილობებზე. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ლოზუნგის პრაქტიკულად განხორციელების საქმეში კიდევ ბევრი რამ გვაკლია.

ამის ახსნა მარტო ხელშემშლელ ობიექტიური პირობებით არ შეიძლება, არამედ იმითაც, რომ ადგილებზე ყოველთვის არ ექცევა საჭირო ყურადღება ამ საკითხს.

კერძოდ საბჭოების გამოცოცხლება ბევრად დამოკიდებულია მათი შემადგენლობის შერჩევაზე, მაგრამ ამ მომენტს არა ყველგან ჰქონდა დათმობილი ის განსაკუთრებული ყურადღება, რომლის ღირსიც ის არის. რომ შარშანდელ არჩევნებშიაც (შარშანდელი არჩევნები კი წინანდელ არჩევნებთან შედარებით უფრო ორგანიზაციულად იყო ჩატარებული) არ იყო სათანადოთ შერჩეული სათემო საბჭოების შემადგენლობა, ამას აშკარად ამტკიცებენ საბჭოების მუშაობის შესახებ ის უამრავი მასალები, რომელიც მოიპოვება ცენტრს 1925 წელში ყველა მაზრის რამოდენიმე თემის გამოკვლევის შემდეგ საქართველოს ცაკთან არსებულ საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების დამუშავებელი თათბირისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ. ამ მასალებიდან სჩანს, რომ ჩვენი თემსაბჭოების და თემაღმასკომების საგრძნობი ნაწილის მუშაობა მეტად სუსტი იყო და არ ეთანხმებოდა ხელისუფლების მიერ დასახულ მიზნებს. იყო შემთხვევები, როცა სათემო საბჭოები, როგორც მომქმედი და ცოცხალი ორგანოები, არც კი არსებობდენ და ხშირად მათ წარმოადგენდენ თავმჯდომარეები და ტეხნიკური მდივნები.

ასეთი მოვლენა დაუშვებელია. ეს დაძლეულ უნდა იქნეს. ამისთვის ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მიმდინარე წლის არჩევნები. ადგილების მთელი ყურადღება უნდა მიექცეს თემსაბჭოებისა და თემაღმასკომების ღირსეულ შემადგენლობის შერჩევას. პირველყოვლისა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ პარ[illegible]ჩევნო სიის დაკვირვებულად შედგენას. როდესაც ვასახელებთ კომუნისტს კანდიდატათ, საჭიროა დანამდვილებით ვიცოდეთ, თუ რამდენათ სარგებლობს იგი მოსახლეობაში ავტორიტეტით, საქმიანი აქტივია თუ არა, და რამდენად შეითვისა პარტიის პოლიტიკა სოფლად მუშაობის შესახებ. უპარტიოთა შერჩევის დროს პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა ჩააბან ამ საქმეში აქტიურად ადგილობრივი საზოგადო ორგანიზაციები: გლეხკომები, კოოპერატიები, პროფკავშირები და სხვ. თვითეულ კანდიდატის დასახელების დროს უნდა გვახსოვდეს, თუ როგორი უნდა იყოს საბჭოს წევრი. იგი უნდა იყოს პატიოსანი, ფხიზელი, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული, აქტივისტი, ღარიბი გლეხკაცობისა და საშუალო შეძლების გლეხობის მეგობარი და საზოგადო მოღვაწე.

უნდა უარყოფილ იქნეს ის შემცდარი შეხედულება, რომ საბჭოებში აუცილებლად უნდა იქნეს გაყვანილი რაც შეიძლება მეტი პროცენტი კომუნისტებისა. უმჯობესია, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, გავიყვანოთ კომუნისტების ნაკლები პროცენტი, მაგრამ შერჩეულნი, რომელთაც შეუძლიათ სათანადო ხელმძღვანელობა უპარტიო მასაზე და საბჭოს მუშაობაზე, ვინემ გავიყვანოთ რაც შეიძლება მეტი პროცენტი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანმა ვერ გამოიჩინა წარსულ მუშაობაში სათანადო მიდგომა საქმისადმი. გარდა ამისა, კომუნისტები სოფლად შეადგენენ მოსახლეობის მცირე ნაწილს, რომელსაც სოფლის ხელმძღვანელობა შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ მის ირგვლივ შემოკრებილი იქნება უპარტიოთა ფართო მასა და ჩაბმული საბჭოების მუშაობაში პარტიის ხელმძღვანელობით.

საქმე ეხლა მოითხოვს არა იმდენად საბჭოებში კომუნისტების პროცენტის გადიდებას, რამდენად პარტიის პოლიტიკის სწორი ხაზით გლეხობის ჩაბმას საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში, რომლის უპირველესი საწინდარია მათი საბჭოებში ჩაბმა და ამ უკანასკნელთა მუშაობის სწორად წარმართვა.

რასაკვირველია, პარტიული ორგანიზაცია საარჩევნო კრებაზე გამოვა თავისი სიით, მაგრამ ეს სია წინასწარ მეტის მეტი დაკვირვებით უნდა იქნეს შემუშავებული და პარტიის დირექტივებთან შეთანხმებული.

საარჩევნო კრებაზე კენჭის ყრა მთლიანი სიისა კატეგორიულად უარყოფილ უნდა იქნეს, ვინაიდან ეს აუცილებლად გამოიწვევს გლეხების უკმაყოფილებას და არჩევნებისადმი პასივობას. ამომრჩევლებს საშუალება უნდა მიეცეთ ყოველმხრივ დაახასიათონ წამოყენებული კანდიდატები და თვითონაც წამოაყენონ ასეთები. ამა თუ იმ კანდიდატის გაკრიტიკება-დახასიათება უნდა მოსმენილ იქნეს დიდის ყურადღებით და, თუ კანდიდატის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები ყურადღების ღირსია, საჭიროა მოიხსნას იგი და შეიცვალოს უფრო შესაფერისი და ავტორიტეტიანი პირით. რასაკვირველია, სოფლის კულაკები შეეცდებიან ალბათ ასეთი დემოკრატიული არჩევნები [illegible]ბისთვის, რათა დაუმსახურებელი და ყალბი ბრალდებები წამოუყენონ ამა თუ იმ კანდიდატს და გაიყვანონ თავიანთი კაცები. სწორედ ამ შემთხვევაში უნდა დაამტკიცონ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა თავისი სწორი და ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, რაც გამოიხატება ღარიბესი და საშუალო შეძლების გლეხობის დარაზმვაში, მოჯამაგირეთა ჯგუფებისა, ქალთა წარმომადგენლებისა, მშრომელი ინტელიგენციისა, კომკავშირის და პროფკავშირის წევრებთან ერთად.

უფრო დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სათემო აღმასკომის შემადგენლობის შერჩევას. სათემო აღმასკომში უნდა გამოყოფილ იქნენ საბჭოს საუკეთესო წევრები.

თუ ასეთი ყურადღებით მოვეპყრობით სათემო საბჭოებისა და აღმასკომების შერჩევას, მაშინ ჩვენი ძირითადი საბჭოთა აპარატები ნამდვილად გაამაგრებენ მუშათა კლასისა და გლეხობის შორის კავშირს, ხელს შეუწყობენ ჩვენი ქვეყნის შეუჩერებელ ზრდას, გააუმჯობესებენ მშრომელი მასების მატერიალურ კეთილდღეობას, რაც შეადგენს ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების მიზანს.

დ. ქუჩულორია.

---

*) იხ. „კომუნისტი" №№ 20 და 22.

წითელი ჯვრის საზოგადოების მეორე ყრილობა

დღეს მეორედ იკრიბება წითელი ჯვრის საზოგადოების სრულიად საქართველოს ყრილობა. საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი წარუდგენს ამ ყრილობას გადასაჭრელათ ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა შესახებ მან თავისი დადგენილებები უნდა გამოიტანოს.

როგორია ყრილობის ამოცანები?

როგორც წინათ, ისე ეხლა ერთ მთავარ საკითხად რჩება წითელ ჯვრის საზოგადოების მუშურ-გლეხურ მასსებთან მჭიდრო დაკავშირება. ეხლა ყველასთვის უკვე ცხადია, რომ წითელი ჯვრის საზოგადოება აღარ არის, როგორც ეს იყო ძველ დროში, ქველ მოქმედი დაწესებულება; იგი შეიქნა თვითმოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციად, რომელიც ხელისუფლების ორგანოსთან, ჯანსახკომთან ერთად აწარმოებს ფრიად საპასუხისმგებლო საქმიანობას მოსახლეობის ჯანსაღების დარგში.

მიუხედავათ იმისა, რომ 1925 წლის განმავლობაში საკმაო დიდი მუშაობა ჩატარდა წ. ჯ. საზოგადოების მასიურ მუშურ-გლეხურ ორგანიზაციათ გარდაქმნის საქმეში, მაინც ეს მუშაობა ვერ ჩაითვლება საკმარისად და ის კიდევ მეტის ენერგიით უნდა გაგრძელდეს ცენტრისა და პერიფერიის მხრივ.

ცენტრალური კომიტეტის მოხსენებიდან ყრილობა დაინახავს, რომ წითელი ჯვრის საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებანი ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ მასებზე დაყრდნობილ საზოგადოებრივ კოლექტივებს და მათი საზოგადოებრივი თვითმოქმედება და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის შეგნება ჯერ კიდევ სუსტია.

ამ გარემოებას ბოლო უნდა მოეღოს და ამისთვის საჭიროა ყრილობის მიერ გამოტანილ იქნას სათანადო მტკიცე და შეურყეველი დადგენილებანი. წითელი ჯვრის პრეზიდიუმმა თავისი მოსაზრებანი ამ საკითხის შესახებ უკვე წარუდგინა ოქტომბერში მოწვეულ პლენუმს, პლენუმმა გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებები, რომელნიც დადასტურებულ უნდა იქნენ ყრილობის მიერ ან უცვლელათ ან და სათანადო შესწორებების შეტანით.

წითელი ჯვრის მეორე მთავარ ამოცანას შეადგენს საექიმო-სასანიტარო დარგში მუშაობა მშვიდობიანობის დროს; დღეს ყველამ იცის, რომ საქართველოს წითელი ჯვარი ამ დარგში აწარმოებს ენერგიულ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის სოციალურ სენის, მალარიის წინააღმდეგ. ამ დარგში სამუშაო ფრიად ბევრია საჭირო—და ეს წითელი ჯვრის ამოცანას შეადგენს,—ბრძოლა სხვა სოციალურ სენებთან, როგორიც არის ჭლექი და ვენერიული ავადმყოფობანი. მაგრამ [illegible] გამო წ. ჯვრის საზოგადოება ჯერ-ჯერობით ამ სენებთან სისტემატიურ ბრძოლას ვერ აწარმოებს. მისი მთავარი ყურადღება ჯერ-ჯერობით მიქცეულია მალარიისაკენ და აქ უნდა მოხდეს ერთგვარი გადახრა ბრძოლის წარმოებაში.

საბჭოთა მედიცინაში ამ ხანათ ძირითადი გარდატეხას აქვს ადგილი, ეგრედ წოდებული პროფილაქტიური გადახრა ხდება არა მარტო ინდივიდუალური მკურნალობა, არა ავადმყოფის ინდივიდუალური შესწავლა, არამედ შესწავლა მთელი მოსახლეობის, მისი ყოფა-ცხოვრებისა და შრომის პირობებისა ჰიგიენურ-სანიტარულ თვალსაზრისით—აი რა შეადგენს ნიშანდობლივ თვისებას ამ გადახრისას.

მკურნალობითი და პროფილაქტიური მედიცინა ორი მხარეა ერთი მთლიანი მედიცინისა და მათი ორგანიული დაკავშირება დისპანსერული აღმშენებლობის სახით, შეადგენს მთავარ ღერძს ამ ახალი მიმართულებისას მედიცინაში.

სასანიტარო - საგანმანათლებლო მუშაობა და დისპანსერული აღმშენებლობა—აი ის ზომები, რომელთა პრაქტიკული განხორციელება საშუალებას მოგვცემს წარმატებით ვაწარმოოთ ბრძოლა როგორც მალარიასთან, ისე ყველა სხვა სენთან. მართალია ეს საქმე რთული და ძნელად შესასრულებელია, მართალია იგი ჩვენის შეხედულობით მოითხოვს თანდათან განსახორციელებლად არა ერთ და ორ წელს, მაგრამ საქმეს დაწყება უნდა, და წითელი ჯვარიც უნდა შეუდგეს ამ გზით საექიმო-სასანიტარო დარგში მუშაობას. ცენტრკომიტეტის პრეზიდიუმი წარუდგენს ყრილობას თავის მოსაზრებებს ამ საკითხის შესახებ და მასაც დასტური უნდა მისცეს ასეთ საქმიანობას.

ბავშვთა დახმარების საკითხი მეტად სუსტად არის დაყენებული ჩვენში. წითელი ჯვრის საზოგადოებას ამ სფეროში ჯერ არაფერი გაუკეთებია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ დახმარებას, რომელსაც არა სისტემატიურათ უწევს წითელი ჯვარი სხვა-და-სხვა საბავშო დაწესებულებებს. წითელ ჯვართა საერთაშორისო კომიტეტი საზოგადოთ და კერძოთ რუსეთის წითელი ჯვარი უკვე აწარმოებენ ბავშვთა დახმარების საქმეს. საქართველოს წითელი ჯვარიც უნდა შეუდგეს ამ დარგში სისტემატიურ მუშაობას. აქაც საჭირო იქნება ყრილობის დასტური.

ამ ბოლო დროს დამთავრდა 1923 წ. დაწყებული საქმე წითელი ჯვრების და წითელი ნახევარ მთვარეების ერთს კავშირში გაერთიანებისა. მეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წითელი ჯვრების და ნახევარ მთვარეების საზოგადოებებისათვის კავშირის დაარსებას. იგი გეგმაშეწონილ ხასიათს მისცემს წითელი ჯვრების და ნახევარ მთვარეების საქმიანობას; იგი საზოგადოებრივათ და ნივთიერადაც გააძლიერებს ნაციონალურ წითელი ჯვრების და ნახევარ მთვარეების საზოგადოებებს; უკვე არჩეულ იქნა წითელი ჯვრების და წითელი ნახევარ მთვარეების საზოგადოებათა კავშირის საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც შეუდგა თავის საქმიანობას.

საერთო ყრილობამ უნდა დაადასტუროს ამ მხრივაც განვლილი საქმიანობა

გასული წლის აპრილში წითელ ჯვრების და ნახევარ მთვარეების საზოგადოებათა კონფერენციამ გამოიმუშავა კავშირის სათანადო წესდება, რომელიც საკავშირო მთავრობის მიერ უკვე დამტკიცებულია. ამ წესდების ძალით თითოეულ კავშირის წევრს უფლება ეძლევა იყოლიოს საზღვარ-გარეთ თავისი წარმომადგენელი. ამ საკითხის შესახებ 5 ოქტომბრის პლენუმმა უკვე იქონია მსჯელობა და სათანადო დადგენილებაც გამოიტანა. ეს დადგენილება ეხლა საზოგადო ყრილობამ უნდა განიხილოს და თავისი შეხედულობა გამოსთქვას.

ასეთია ის საკითხები, რომელიც სდგას გადასაჭრელათ წითელი ჯვრის სრულიად საქართველოს მეორე ყრილობის წინაშე.

ჩვენ გვჯერა, რომ ყრილობა, საქმის საფუძვლიანათ შესწავლის შემდეგ, სწორათ გადასჭრის ზემოთ აღნიშნულ საკითხებს.

ბ. კიკალიშვილი.

ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი გერმანიაში

ლიუტერის მთავრობას მტკიცე უმრავლესობა არა აქვს

ლიუტერის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების რეზოლიუციამ მიიღო უმრავლესობა 10 ხმით

კომპარტია მოუწოდებს მუშებს ბრძოლისაკენ ლიუტერის მთავრობის წინააღმდეგ

ნდობის გამოცხადება ლიუტერისადმი

ბერლინი, 29 იანვ. საბოლოო გამოანგარიშებით ლიუტერის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას ხმა მისცა 160 დეპუტატმა, წინააღმდეგ—150, და თავი შეიკავა 130 დეპუტატმა.

კამათის დროს, რომელიც გაიმართა ლიუტერის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებამდე, ნაციონალისტმა ორატორმა ლინდაინერმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ მისი პარტიის აზრით, გერმანიის საგარეო პოლიტიკას შეიძლება მოჰყვეს სასურველი შედეგი იმ შემთხვევაში, თუ მიღწეული იქნება შეთანხმება გერმანიის ყოფილ მტრებთან. შემდეგ ლინდაინერმა აღნიშნა, რომ გერმანია არ უნდა შევიდეს ერთა ლიგაში რეალურ კომპენსაციების მიუღებლად.

სოციალ-დემოკრატმა ბრეიტშეიდმა მოიწონა მთავრობის საგარეო პოლიტიკა და მისალმა მთავრობის განზრახვას უზრუნველჰყოს გერმანიის შესვლა ერთა ლიგაში. ბრეიტშეიდმა გამოსთქვა რწმენა, რომ გერმანიის მთავრობა ერთა ლიგაში ყოველ ღონეს იხმარს, რათა მიაღწიოს რეინის ზონაში უცხოელების ოკუპაციის მოსპობას.

ლიუტერის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შემდეგ, რეიხსტაგმა დაადგინა საგარეო საქმეთა კომისიას გადასცეს ნაციონალისტების წინადადება, რომლის თანახმად ერთა ლიგაში გერმანიის შესვლა უნდა იქნას დამოკიდებული ზოგი[illegible] გასცემს ყველა მთავარ კითხვებზე.

მოტყუებული გერმანია

პარიზი, 29 იან. „ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ბრიანის საუბარი ჩემბერლენთან პარიზში შეეხებოდა სხვათა შორის გერმანიის განიარაღების საკითხს.

მინისტრები მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ გერმანიამ სავსებით უნდა შეასრულოს ყველა ის ვალდებულებანი, რომელნიც განიარაღებას შეეხებიან.

როდესაც მოკავშირეები დაინახავენ გერმანიის კეთილ სურვილებს, ისინი სიამოვნებით შეამცირებენ საოკუპაციო ჯარების რიცხვს რეინის ოლქში. საოკუპაციო ჯარების რაოდენობა, რომელიც უდრის 75 ათას კაცს, შეიძლება დაყვანილი იქნას 60 ათას კაცამდე, ისე რომ ზიანი არ მიადგეს ამ ჯარების უშიშროებას.

მინისტრები ფიქრობენ, რომ გერმანიის შესვლა ერთა ლიგაში და მისთვის ადგილის დათმობა ლიგის საბჭოში გამოიწვევს მოთხოვნას პოლონეთის მხრივ, რომ მასაც დაეთმოს მუდმივი ადგილი საბჭოში.

საფრანგეთი მხარს დაუჭერს ამ მოთხოვნილებას.

როგორც სჩანს, ინგლისს არ უჭირავს შეურიგებელი პოზიცია ამ საკითხში.

ჩემბერლენი და ბრიანი შეეხნენ უნგრეთში ყალბი ფრანგული ფრანკების დამზადების საკითხს და გადასწყვიტეს წინადადება მისცენ ერთა ლიგას გამოიმუშაოს ახალი საერთაშორისო კონვენცია, რომლის თანახმად ყალბი ფულის მკეთებელი უფრო მკაცრად დაისჯება.

კომფრაქცია ლიუტერის მთავრობის შესახებ

ბერლინი, 29 იანვ. რეიხსტაგის კომუნისტურმა ფრაქციამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია:

„[illegible] კაბინეტის შემადგენლობა [illegible] რომ ლიუტერი[illegible]ძობს მუშათა კლასისადმი მტრულ პოლიტიკას, რომელსაც ძველი კაბინეტი აწარმოებდა. ლიუტერის მთავრობის პროგრამა ნიშნავს ეკონომიური კრიზისის გაძლიერებას და მონარქისტებისათვის ახალი დახმარების გაწევას.

სოციალ-დემოკრატების პოზიცია მთავრობისადმი ნდობის კენჭისყრის დროს (სოციალ-დემოკრატებმა თავი შეიკავეს) ნიშნავს ლიუტერის მთავრობისათვის უშუალოდ მხარის დაჭერას. ამიტომ სოციალ-დემოკრატები სავსებით პასუხისმგებელი არიან ლიუტერის მთავრობის შემდგომ პოლიტიკისათვის, რომელიც მუშების წინააღმდეგ არის მიმართული.

კომპარტია მოუწოდებს გერმანიის მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნას, მოსამსახურეებსა და წვრილ გლეხობასთან ერთად და შეებრძოლოს მის მოწინააღმდეგე მთავრობას".

პრესის გამოძახილი

ბერლინი, 30 იანვ. ბერლინის პრესა განაგრძობს მსჯელობას ნდობის ვოტუმის შესახებ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ მთავრობა აბსოლიუტურ უმრავლესობას მიიღებდა, რომ პარტიულ ფრაქციებს იძულებული არ გაეხადა თავისი წევრები მიეღოთ ერთფეროვანი გადაწყვეტილება. გამორკვეულია, რომ კონსერვატიული ფრაქციის კრებაზე არ დაესწრო წევრთა 15 პროცენტი, ხოლო 32 წევრმა არ მოიწონა კაბინეტის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა. გარდა ამისა 38 სოციალისტს გადაწყვეტილი ჰქონდათ ნდობა გამოეცხადებიათ მთავრობისათვის, მაგრამ პარტიის საერთო კრება ნდობის წინააღმდეგ წავიდა.

გერმანიაში

„პრავდა"-ს წერილი

მოსკოვი, 30 იანვ. „პრავდა" მოწინავე წერილში ზემოდ აღნიშნული სათაურით სწერს:

„გერმანიის ეკონომიკის ჰორიზონტს შავი ღრუბლები ჩამოაწვა. ქვეყანა მწვავე ეკონომიურ კრიზისს განიცდის. უმუშევრობა საშინელ ფორმებს ღებულობს. კოლონის სააგენტოს ოფიციალური ცნობის მიხედვით, უმუშევართა რიცხვი 1 მილიონ 700,000 კაცს აღემატება.

გერმანიის ეკონომიური მერყეობის გამომხატველია მისი პოლიტიკური მდგომარეობის მერყეობა, მთავრობის ქრონიკული კრიზისი. ლიუტერის ეხლანდელი მთავრობა, რომელიც „საშუალო პარტიების" ბლოკს ეყრდნობა, იმდენად უსუსურია, რომ იძულებულია დახმარება ეძიოს სხვა პარტიებს შორის—ხან მემარცხენე[illegible] ხან მემარჯვენეებს. რასაკვირველია, არ ძალუძს თა[illegible] ორი სხვა [illegible] ძალის ზრდის შეჩერება.

მემარჯვენე რეაქციონური მონარქისტული საფრთხე საგრძნობლად იზრდება. მართალია, მონარქისტები ჯერ-ჯერობით უფრო კულისებს იქით მოქმედობენ და ვილჰელმის პატივსაცემად დემონსტრაციას მხოლოდ „დახურულ შენობებში" ახდენენ, მაგრამ რეაქციონურ ძალების მობილიზაცია ხდება.

მეორე მხრით გერმანიაში წამოიჭრა მუშათა მოძრაობის ახალი დიდი ტალღა. ქუჩაში გამოყრილი უმუშევრები ღელავენ. პროფკავშირების მემარცხენე ელემენტები ყალიბდებიან და საგრძნობლად ძლიერდებიან. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქვედა ფენებს ემჩნევათ გამოფხიზლება. პროლეტარიატის ფართო წრეებს შორის ერთიანი პროლეტარული ფრონტის იდეა სულ უფრო და უფრო მეტ სიმპატიებს იპყრობს. კომპარტიის მიერ დაწყებული კამპანია ჰოჰენცოლერნების ხროვის ქონების აუნაზღაურებლად კონფისკაციისათვის დიდი წარმატე[illegible] კამპანიაში [illegible]ნისტებთან ერთად გამოდიან ერთიანი ფრონტით.

ეხლანდელ პირობებში უკვე ვერაფერი ვერ შეაჩერებს მასების გარევოლიუციონერების პროცესს, რომელიც სტიქიურად ვითარდება".

რა ხდება პოლონეთში

ტრამვაის მუშების გაფიცვა

ვარშავა, 29 იანვ. დაიწყო ტრამვაის მუშების გაფიცვა. მუშები მოითხოვენ ზოგიერთ პირობების გაუმჯობესებას.

ადმინისტრაციამ უარი განაცხადა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. ამის გამო ტრამვაის მოძრაობა სავსებით შეწყდა.

300 მილიონი ზლოტის დეფიციტი

ვარშავა, 29 იანვ. 1926 წლის ბიუჯეტში შესწორებების შეტანის გამო, ფინანსთა მინისტრმა ზდზიხოვსკიმ საბიუჯეტო კომისიაში აღნიშნა, რომ გასულ წელს გასავალი უდრიდა 1.900 მილიონ ზლოტს, სახელმწიფოს შემოსავალი კი 1.600 მილიონს; ამიტომ ბალანსში 300 მილიონი ზლოტის დეფიციტი[illegible]დება. ამ დეფიციტის დასაფარავათ საჭირო შეიქნა ხურდა ფულის და სახაზინო ნიშნების გამოშვება.

ამჟამად, იმპორტის შეზღუდვის და უცხოეთში 22 მილიონი ზლოტის კრედიტის მიღების წყალობით პოლონეთის ბანკი სავსებით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას უცხოეთის ვალიუტაზე.

რაც შეეხება მოლაპარაკებას ამერიკის საბანკო ტრესტთან, ამ მოლაპარაკების მიზანია გამოირკვეს 100 მილიონი დოლარის სესხის მიღების შესაძლებლობა თამბაქოს მონოპოლიის იჯარით გაცემის საშუალებით; პოლონეთის მთავრობა მოელის კიდევ კონკრეტულ წინადადებას საბანკო ტრესტისაგან და ჯერ-ჯერობით არავითარ ვალდებულებას არ კისრულობს, გარდა იმ პირობისა, რომ 8 მარტამდე მოლაპარაკება არ აწარმოოს სხვა ფირმებთან. 1926 წლის ხარჯები ნავარაუდევია 144 მილიონით ნაკლები, ვიდრე შარშანდელი წლის ფაქტიური ხარჯები. 1926 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი ნავარაუდევია 200 მილიონ ზლოტად, რაც შეიძლება დაფარული იქნას ხარჯების შემცირებით და სახელმწიფო წარმოებათა შემოსავლის გადიდებით.

დემონსტრაცია ვარშავაში

ვარშავა, 29 იანვ. გაიმართა უმუშევართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია, რომელიც დიდის ვაი-ვაგლახით გარეკა პოლიციამ. უმუშევრებმა დელეგაცია გაუგზავნეს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს და ქალაქის საბჭოს და დაავალეს მოითხოვონ უმუშევრებისათვის სამუშაოს ან დახმარების მიცემა. მოსალოდნელ ახალ გაფიცვების და უმუშევართა მასიურ გამოსვლების გამო, ქალაქში მდგომარეობა მეტათ სერიოზულია. ზოგიერთი გაზეთები ახმაურდენ და მთავრობას მოუწოდებენ ზომები მიიღოს უკვე დაწყებულ გაფიცვების შესაწყვეტათ და ახალი გაფიცვების თავიდან ასაცილებლათ.

„პშეგლონდ ვეჩერნი"-ს გამოსვლები

ვარშავა, 29 იანვ. „პშეგლონდ ვეჩერნი"-მ მოათავსა შენიშვნა საბჭოთა კავშირში პოლონეთის სეიმის დეპუტატთა გამგზავრების შესახებ. ამ შენიშვნის სათაური შეურაცხმყოფელია საბჭოთა კავშირისათვის. ამის გამო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ პროტესტი განუცხადა პოლონეთის მთავრობას და მოითხოვა დაკმაყოფილება.

პროტესტის გამო სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვოეიკოვი ანახულა გარეშე საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების უფროსმა იანკოვსკიმ, რომელმაც პრემიერ სკშინსკის და პოლონეთის მთავრობის სახელით გამოსთქვა მწუხარება და ბოდიში მოიხადა ამ ინციდენტის გამო. იანკოვსკიმ განაცხადა, რომ გარეშე საქმეთა მინისტრმა დაავალა სამინისტროს ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებას მოახდინოს კვლევა-ძიება საბჭოთა კავშირისათვის შეურაცხმყოფელ სათაურის მოთავსების გამო.

რკინისგზელების ზეგავლენით

ვარშავა, 29 იანვ. მთავრობამ გადასდო რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა შტატის შემცირება, რადგან რკინისგზელებმა ენერგიული პროტესტი განაცხადეს. რკინისგზელებმა განაცხადეს, რომ გაფიცვას დაიწყებენ ყველა რკინისგზებზე, თუ მთავრობა მუშა-მოსამსახურეების დათხოვნას შეუდგება.

ალმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე

შავრაზმელ გენერლებს უკან მიაქვთ თავიანთი განკარგულებები

პროფესიონალურ ორგანიზაციებს მთელ ხაზზე დაუბრუნეს შენობები.

პროფმუშაკების განთავისუფლება.—ამხ. გრანდტის ნოტა.

ჩიჩერინის დეპეშა ვან-ჩენ-ტინისადმი

მოსკოვი, 30 იანვ. გარეშე საქმეთა სახ. კომისარმა ჩიჩერინმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ჩინეთში კარახანს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა ვან-ჩენ-ტინისათვის გადასაცემათ:

„ვადასტურებ თქვენ მიერ გამოგზავნილ დეპეშის მიღებას, რომელიც გადმომცა ბატონმა ჩენ-იენ-შიმ. ვიჩქარი დაგარწმუნოთ თქვენ, ბატონო მინისტრო, რომ საკავშირო მთავრობა განუწყვეტლივ მიისწრაფვის მეგობრულ ურთიერთობის განმტკიცებისაკენ დიდ ჩინეთის ხალხთან. ალმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის ექსპლოატაციის საკითხში ჩემი მთავრობა ცდილობს მიაღწიოს ამ გზის წესიერ მუშაობას ორივე ქვეყნის ინტერესებისა და მიღებულ ხელშეკრულებათა მიხედვით.

ამიტომ გამოვსთქვამ იმედს, რომ ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობა მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რათა მომხდარი ინციდენტი საბოლოოთ იქნას აღმოფხვრილი და თავიდან იქნას აცილებული ამგვარ ინციდენტების განმეორების შესაძლებლობა. ჩიჩერინი“.

ჩჟან-ხუან-სიანის ბრძანების მიუხედავათ

ხარბინი, 30 იანვ. ჩინეთის ადგილობრივი ხელისუფლების სულიერი განწყობილება მოღუნებულია. თუმცა ჩჟან-ხუან-სიანმა თავის ბრძანებაში პროფკავშირების დახურვის შესახებ განაცხადა, რომ „ამგვარი დაწესებულებანი არასოდეს აღარ იქნება დაშვებულიო“, მაინც იძულებულია ხელახლა გახსნას კავშირები მუკდენიდან მიღებულ ბრძანების თანახმად.

მუშების სულიერი განწყობილება მტკიცეა.

ხარბინი, 30 იანვ. 28 იანვარს მუკდენიდან მიღებულ განკარგულებით, პოლიციამ გახსნა ყველა პროფკავშირები, სამაზრო და ადგილობრივ კომიტეტების ბინები. ყველა პროფკავშირების განთავისუფლებული არიან. პროფკავშირების დახურვის დროს წაღებული საქმეები უკანვე იქნა დაბრუნებული.

მუშები, რომლებიც თან ახლდენ პროფკავშირების საქმეებით დატვირთულ ავტომობილს, მღეროდენ „ინტერნაციონალს“.

გრანდტის დეპეშა და-ოინიესადმი.

ხარბინი, 30 იანვ. საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა გრანდტმა გირინის პროვინციის მინჯანის ოლქის კომისარს და-ოინის გაუგზავნა ნოტა დაპატიმრებულ 70 კომკავშირელის და პიონერის შესახებ, რომლებსაც ციხეში აწამებენ... გრანდტი მოითხოვს დაუშვან ის ციხეში, რათა პირადათ დარწმუნდეს, რომ დაპატიმრებულთა მდგომარეობა მოითხოვს მათ განთავისუფლებას. მიღებულ ცნობების თანახმად, 60 კომკავშირელი და პიონერი ამ დღეებში იქნებიან განთავისუფლებულნი. დანარჩენები გადაეცემიან სასამართლოს. პოლიცია ცდილობს დაუკავშიროს მათი დაპატიმრება ხარბინის მუშკეტერების ერთ-ერთ ბელადის მკვლელობას.

სამხრეთის ხაზზე

ხარბინი, 29 იანვ. სამხრეთის ხაზზე აღდგენილია სამგზავრო და საბარგო მატარებლების მიმოსვლა.

ჩხრეკა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ხარბინის განყოფილებაში

მოსკოვი, 30 იანვ. 27 იანვარს მოახდინეს ჩხრეკა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ხარბინის განყოფილებაში. წაიღეს საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ყველა ბიულეტენები და მთელი ის ინფორმაციის მასალები, რომელიც სააგენტოს კორესპონდენტებმა მოსკოვში გაგზავნეს. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტებს ჩამოართვეს ხელწერილი სააგენტოს განყოფილების დახურვის შესახებ.

პროტესტი ჩან-ძო-ლინის მოქმედების წინააღმდეგ.

მოსკოვი, 30 იანვ. გემო-კეთების მრეწველობის მუშაკთა კავშირის მოსკოვის მეხუთე საგუბერ. კონფერენციამ, რომელზედაც წარმოდგენილია 40.000 მუშა და მოსამსახურე, გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ყრილობა კატეგორიულ პროტესტს აცხადებს ჩან-ძო-ლინის უკანონო მოქმედების წინააღმდეგ ალმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის და ჩინეთის მეგობრული დამოკიდებულების შეწყვეტისაკენ.

ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტის მოწოდება.

მოსკოვი, 30 იანვ. ტრანსპორტის მუშების საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ყველა ტრანსპორტის მუშებს. მოწოდებაში ნათქვამია, რომ ალმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ჩან-ძო-ლინის მიერ პროფკავშირთა ორგანიზაციების დარბევა ცხადჰყოფს იმას, რომ მხოლოდ პროლეტარიატის ძლიერ კლასობრივ პროფორგანიზაციებს შეუძლიათ სულიერად მტკიცე და შეუპოვარ მებრძოლ მუშათა არმიების გამოზრდა:

„ამიტომ—ნათქვამია მოწოდებაში—თქვენი მოვალეობაა დაიცვათ ალმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მუშები, რომელთაც მანჯურიის უსასტიკესი რეაქციის პირობებშიაც არ დაუხრიათ მშრომელთა განთავისუფლების დროშა“.

ჩან-ძო-ლინის შეთანხმება უ-პეი-ფუსთან

ლონდონი, 29 იანვ. გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ პეკინელ კორესპონდენტის აზრით, ჩან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს შეთანხმება მომხდარ ფაქტად უნდა ჩაითვალოს და არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ შეთანხმებას მნიშვნელოვანი ოპოზიცია ექნება ქვეყნის შიგნით.

მაგრამ კორესპონდენტი იუწყება, რომ პეკინში დიდ მღელვარებას იწვევს ხმები, თითქოს „წითელი ჯარების“ კონცენტრაცია ხდებოდეს ალმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის სხვადასხვა ნაწილებში.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ავსტრიის ექსპორტი საბჭოთა კავშირში

ვენა, 29 იანვარი. ავსტრიის პრემიერმა რამეკმა პასუხი გასცა მუშათა ორგანიზაციების დელეგაციის მიერ შეტანილ შეკითხვაზე და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში ავსტრიის ექსპორტის განსავითარებლად ახლო მომავალში მოწვეული იქნება კონფერენცია.

მთავრობას განზრახული აქვს ბანკების პირობების შემსუბუქება და აგრეთვე ზოგიერთ სახელმწიფოებთან შეთანხმების მიღწევა ემიგრაციის გასაადვილებლად.

ვენა, 29 იანვარი. ავსტრიის პრემიერმა რამეკმა მოიწვია მსხვილი ინდუსტრიის წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც უნდა განიხილოს საბჭოთა კავშირში ავსტრიის საქონლის ექსპორტის გაფართოების საკითხი.

რადიო-კავშირი ამერიკასთან

ნიუ-იორკი, 29 იანვარი. იუწყებიან, რომ 22 იანვარს ღამით დენვერას (კოლორადო) და სიუსიტის (აიოვა) რადიოს მოყვარულებმა გაიგონეს რადიოს ხმები მოსკოვიდან.

მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას

პრაგა, 29 იანვარი. ჩეხო-სლოვაკიის რევოლიუციონურ პროფკავშირების ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას. გაერთიანების გენერალურ მდივნად არჩეულია ძველი მდივანი მაისსი.

საფრანგეთთან მოლაპარაკების წინ

საბჭოთა კავშირის დელეგაციის შემადგენლობა

მოსკოვი, 30 იანვარი. საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა საფრანგეთთან მოლაპარაკების საწარმოებლად დაამტკიცა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: დელეგაციის თავმჯდომარე—რაკოვსკი, დელეგაციის წევრები: საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წევრი—დოლგოვი, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი საფრანგეთში—მდივანი, საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი—პრეობრაჟენსკი, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—პიატაკოვი, საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი—რეინგოლდი, საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი—ხლომონიაკოვი, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი—ტომსკი და საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე—შეიმანი.

ინგლისის ვალების საკითხი

ინგლის-იტალიის შეთანხმება

მუსოლინი შეთანხმების შესახებ

რომი, 29 იანვ. მუსოლინიმ ინგლის-იტალიის შეთანხმების გამო ვალების შესახებ განაცხადა, რომ დადებული ხელშეკრულება განამტკიცებს მეგობრობას ინგლისსა და იტალიას შორის.

„სეკოლო“ სწერს: „ხელშეკრულება ეღირება ასეული მილიონები მაგრამ მისი ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ამტკიცებს ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას და ჩვენს ვალიუტას.“

ბიუჯეტის ჩავარდნა

ლონდონი, 29 იანვარი. ინგლისის ფინანსიურ წრეებში აკრიტიკებენ ინგლის-იტალიის შეთანხმებას ვალების შესახებ და აღნიშნავენ, რომ ინგლისის ფინანსთა სამინისტრო დაეთანხმა იტალიის ძველ წინადადებას, რაც მოასწავებს ინგლისის მთავრობის მიერ „პოზიციის ჩაბარებას“. საბანკო წრეების ზოგიერთი წარმომადგენლები გამოსთქვამენ მოსაზრებას, რომ მთავრობამ დასთმო თავისი პოზიციები ეკონომიურ საკითხებში პოლიტიკურ სარგებლიანობის სამაგიეროდ.

რა ხდება რუმინეთში

[illegible] მთავრობის წინააღმდეგ.

ვენა, 29 იან. რუმინეთის სათემო საბჭოების არჩევნები 18 თებერვლისათვის არის დანიშნული. არჩევნების გამო გლეხურმა და ნაციონალურმა პარტიებმა მოლაპარაკება განაახლეს ბრატიანუს მთავრობის წინააღმდეგ ერთიან ფრონტის შესაქმნელად. დღემდე ამ პარტიებს შორის შეთანხმების ცდა ყოველთვის უშედეგოდ რჩებოდა.

რუმინეთის ნაციონალურ პარტიის ორგანოს „ლუპტა“-ს ცნობით, ეხლა შეთანხმება უკვე დაიდო.

გაზეთის ცნობა ოფიციალურად ჯერ კიდევ არ დადასტურებულა ორივე პარტიის მიერ.

78 გლეხის პროცესი.

ვენა, 29 იანვარი. კონსტანცაში (რუმინეთი) დაიწყო 78 დობრუჯელ [illegible] გენენ. მათ შორის არიან არასრულწლოვანებიც, 13-დან 17 წლამდე.

ყველა ბრალდებულები დაპატიმრებული იყვნენ 11 თვის წინ, როცა დობრუჯის ზოგიერთ სოფელში დაიწყო მღელვარება, რომელიც გამოიწვია ბულგარელ მოსახლეობის შევიწროებამ და წვრილ გლეხებისათვის მიწით სარგებლობის უფლებების წართმევამ აგრარული რეფორმის რევიზიის მომიზეზებით.

ბრალდებულებს აბრალებენ მშვიდობიანობის დარღვევას სახელმწიფოში.

ბრატიანუს დამბლა დაეცა

ვენა, 29 იან. ჯერ კიდევ ოფიციალურად შეუმოწმებელ ცნობის მიხედვით, რუმინეთის პრემიერ მინისტრს ბრატიანუს ტვინის დამბლა მოუვიდა.

ა.-კავკასიის ცაკის მესამე სესიის რეზოლიუციები

ამხ. ლუკაშინის მოხსენების გამო

რეზოლიუციაში ამხ. ლუკაშინის მოხსენების გამო ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამრეწველო სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, სესია კმაყოფილებით აღნიშნავს სახელმწიფოს სასოფლო მეურნეობის საერთო აღორძინებას და ავალებს პრეზიდიუმს დააჩქაროს სასოფლო მეურნეობის დარგში მისაღებ ღონისძიებათა 5 წლიანი გეგმის შედგენა და შეიტანოს ეს გეგმა მომავალ სესიაზე დასამტკიცებლად.

სესია აღნიშნავს ამიერ-კავკასიის ფედერაციის მრეწველობის ზრდას, რომელმაც უკვე მიაღწია ომის წინად არსებულ დონეს და იწონებს ამიერ-კავკასიის უფრო აქტიურ ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას მომავალში; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვალიფიციურ მუშების და ტეხნიკური პერსონალის მომზადებას და სამრეწველო პროლეტარიატის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას.

სესია ავალებს პრეზიდიუმს დაუყოვნებლივ შეუდგეს ამიერ-კავკასიის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ორგანიზაციას, რომელმაც, როგორც საოლქო ორგანომ, ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მრეწველობას და განაგოს ის.

ამასთანავე ერთად, სესია აუცილებლათ სთვლის, რომ არა უგვიანეს მომავალი სამეურნეო წლის დასაწყისისა, სათანადო ორგანოების მიერ საბოლოოდ ჩამოყალიბებულ და დამტკიცებულ იქნეს სამრეწველო ღონისძიებათა გეგმა მომავალი ხუთი წლისათვის.

სესია ყურადღებას აქცევს ტრანსპორტის აღორძინებას. სესია აღნიშნავს გზატკეცილების განსაკუთრებულ მნიშვნელობას არსებულ პირობებში და აუცილებლად სთვლის მოსახლეობის ჩაბმას ადგილობრივი ბიუჯეტის აღმშენებლობაში თვით მოსახლეობის სურვილის მიხედვით, რომელსაც უკანასკნელი გამოსთქვამს სათანადო საბჭოთა ორგანოების საშუალებით, რისთვისაც სესია პრეზიდიუმს ავალებს გამოსცეს სათანადო დეკრეტი.

სესია საჭიროდ სთვლის მუშაობის დაჩქარებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დარაიონებისათვის.

ამხ. გუსეინოვის მოხსენების გამო

რეზოლიუციაში ამხ. გუსეინოვის მოხსენების გამო ამიერ-კავკასიის 1925—26 წლ. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტის შესახებ, სესია სავსებით იწონებს ამიერ-კავკასიის მთავრობის საფინანსო პოლიტიკას და იწონებს საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტს. სესია აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის ბიუჯეტის დეფიციტის საკითხი უმთავრესად დამოკიდებულია საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტთა საშემოსავლო ნაწილის გაძლიერებისაგან, და ამიტომ სესია საჭიროდ სთვლის საბჭოთა კავშირის ცაკის წინაშე მახლობელ სესიაზე საკითხი აღძრას საკავშირო რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა გადასინჯვის შესახებ და ავალებს პრეზიდიუმს შეიმუშაოს სათანადო პროექტი.

რეზოლიუციაში განსაკუთრებით აღნიშნულია, რომ როგორც სახ. მეურნეობის, ისე ბიუჯეტის ინტერესები გადაჭრით მოითხოვენ დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნეს ამიერ-კავკასიის ტყეების ფართო დამუშავება.

სესია სწორად სთვლის ამიერ-კავკასიის მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია განათლების და ჯანმრთელობის სახ. კომისარიატების ხარჯების გადიდებაში და ავალებს მას გაატაროს იგივე პოლიტიკა 1926—27 წ. ბიუჯეტის შედგენის დროს და უმთავრესი ყურადღება საოპერაციო ხარჯების ზრდას მიაქციოს.

სესია ამიერ კავკასიის მთავრობას ავალებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ელექტროფიკაციის შემდგომ განვითარებას.

სესია მთავრობას ავალებს შეიტანოს 1926—27 წლის ბიუჯეტში სათანადო ხარჯები საბინაო კრიზისის შესამცირებლად.

სესია პრეზიდიუმს ავალებს აღძრას შუამდგომლობა საბჭოთა კავშირის ცაკის წინაშე ამიერ-კავკასიის 1925—26 წლ. ადგილობრივი ბიუჯეტის მთელი დეფიციტის დაფარვის შესახებ და ამასთანავე ერთად პრეზიდიუმს ავალებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზისის გამაგრებას და გაფართოებას და გადასინჯოს ადგილობრივ აღმასკომების ქონებრივი უფლებები.

სესია პრეზიდიუმს ავალებს მიიღოს ყოველივე ზომები, რათა თავის დროზე დაწყებულ იქნეს 1926—27 წლის ბიუჯეტის შემუშავება.

სესია აღნიშნავს, რომ უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად გადებული 300.000 მანეთი არ არის საკმარისი ამ საქმისათვის, და ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმს ავალებს აღძრას საკავშირო ცაკის წინაშე საკითხი უმუშევრობასთან საბრძოლველად დამატებითი საშუალებების გაღებათ.

საფრანგეთში

კამათი საფინანსო პროექტების გარშემო

პარიზი, 29 იანვ. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში გრძელდებოდა კამათი საფინანსო პროექტების გარშემო. სოციალისტი ორიოლი ენერგიულად აკრიტიკებდა მთავრობის საფინანსო პოლიტიკას, მოუწოდებდა ბრიანს უარი ეთქვა დუმერთან თანამშრომლობაზე და მემარცხენე ბლოკს დაყრდნობოდა. მიუხედავათ სოციალისტების განცხადებისა, მემარცხენე ბლოკსა და მთავრობას შორის მოსალოდნელია შეთანხმება. მემარცხენე ბლოკი მზადაა დაეთანხმოს გადასახადების დაწესებას წარმოებაზე, ნაცვლად სააღებმიცემო გადასახადის გადიდებისა, რაც დუმერის პროექტში იყო გათვალისწინებული. ეს მისცემს მთავრობას იმავე შემოსავალს, ხოლო მემარცხენე ბლოკს საშუალება ექნება დაიკვეხნოს, თითქოს მან დაიცვა ამომრჩევლებისთვის მიცემული დაპირება და მიაღწია აღებმიცემობის გადასახადის გაუქმებას.

მემარცხენე ბლოკის პრესა კმაყოფილია

პარიზი, 29 იანვ. მემარცხენე ბლოკის პრესა სავსებით კმაყოფილია ჩემბერლენის და ბრიანის საუბრით. იგი ამტკიცებს, რომ საუბარში გამოირკვა საერთო აზრი ყველა საკითხებში—კერძოდ ვალებს, და ახლო და შორეულ აღმოსავლეთის მდგომარეობის საკითხშიაც.

იაპონიის ახალი პრემიერი

ტოკიო, 29 იანვ. იაპონიის ახალი მთავრობა დამტკიცებულია ძველი შემადგენლობით.

პრემიერ მინისტრი ვაკაცუკი ინარჩუნებს გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელს.

ტოკიო, 29 იანვ. იაპონიის კაბინეტის ახალი პრემიერი ვაკაცუკი არჩეულია კენსეიკაის პარტიის მეთაურად კატოს გარდაცვალების შემდეგ.

სხვადასხვა

ფაშისტების წინააღმდეგ. ბარსელონიდან მიღებულ ცნობით, მადრიდში, ბარსელონაში და ვალენსიაში აღმოჩენილია საერთო მოძრაობა პრიმო-დე-რივერას წინააღმდეგ. ყველა მემარცხენე პარტიებს, ლიბერალებიდან ანარქისტებამდე, გადაუწყვეტია აქვთ გაერთიანდენ არმიის რესპუბლიკანურ ელემენტებთან დიქტატურის დამხობის მიზნით.

— **პოლიციელების კონფერენცია.** სამხრეთ-სლავიიდან მიღებულ ნახევრად ოფიციალურ ცნობის მიხედვით, ახლო მომავალში ბუქარესტში შედგება მცირე ანტანტის ქვეყნების პოლიციის უფროსთა კონფერენცია, რომელმაც უნდა განიხილოს ზომები კომუნიზმთან საბრძოლველად.

ინგლისის ელჩი ანგორაში

ანგორა, 29 იანვარი. ინგლისის ელჩი ოსმალეთში ლინდსეი, რამდენიმე დღით გაემგზავრება კონსტანტინოპოლში. ლინდსეიმ არაფერი არ განუცხადა პრესის წარმომადგენლებს ოსმალეთთან მოლაპარაკების შესახებ.

ოფიციოზი „ხაკიმიეტ“ ლინდსეის კონსტანტინოპოლში წასვლის გამო შემდეგს სწერს, მოწინავეში:

„ინგლისის პრესა და მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ დაუმტკიცონ ქვეყანას, რომ ინგლისი ძლიერ მოყვარულია მშვიდობიანობის. ჩვენ გვაქვს უფლება გვწამდეს, რომ ლინდსეი ისეთი ინსტრუქციებით ჩამოვიდა ანგორაში, რომ შეეძლო გახდეს მოლაპარაკება. მაგრამ ჯერ-ჯერობით საქმე წინ არ წაწეულა ლინდსეის ერთი კვირის განმავლობაში ანგორაში ყოფნით“.

ყალბი ფულების მკეთებელთა საქმე

პარიზი, 30 იანვ. ბეტლენი წინადადებას იძლევა დაჩქარებულ იქნეს ყალბი ფულის მკეთებელთა პროცესი, რათა მარტში ერთა ლიგის სესიისათვის მზად იყოს განაჩენი, რომელიც დააკმაყოფილებს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს და აწევს უნგრეთის პრესტიჟს.

ბერლინი, 30 იანვარი. ბეტლენის მდგომარეობა შეირყა პარლამენტის დღევანდელი მღელვარე სხდომის შემდეგ, რომელზედაც სოციალისტების ლიდერებმა პრემიერს და ყველა მინისტრებს ბრალი დასდეს ყალბი ფულის მკეთებელთათვის დახმარების აღმოჩენაში. ბეტლენმა არ მოისურვა შეკითხვაზე პასუხის გაცემა და განაცხადა, რომ საქმე საგამომძიებლო კომისიის ხელშია.

ბერლინი, 30 იან. ოპოზიციონური პარტიები მოითხოვენ შინაგან საქმეთა მინისტრის რაკოვსკის, იუსტიციის მინისტრის პეშტის და განათლების მინისტრის გრაფ კლებელსბერგის გადაყენებას. ამის გამო ბეტლენმა განაცხადა, რომ თუ მთავრობა დანაშავეთ იქნება ცნობილი, ის გადადგება მთელი შემადგენლობით, ხოლო თუ მთავრობა უდანაშაულო აღმოჩნდება, ის მთელი შემადგენლობით დარჩება ძალა-უფლების სათავეში.

ოკეანეში ქარიშხალი

ლონდონი, 29 იანვ. ატლანტიურ ოკეანეში ქარიშხალის დროს დაიღუპა 3 გემი. საქმე იმაშია, რომ გემების უმავთულო ტელეგრაფების მოსამსახურეებმა, რომლებიც მცირე ხელფასს იღებენ, მოითხოვეს ჯამაგირის მომატება. გემების ადმინისტრაციამ უარი განაცხადა ამაზე და ბევრი ტელეგრაფისტი დაითხოვა. დაღუპულ გემებზე ტელეგრაფისტები არ ყოფილან და ამიტომ არ შეიძლებოდა დეპეშის გაგზავნა დახმარების შესახებ. ზღვაში უტელეგრაფოთ იმყოფება 800 გემი 150.000 კაცით.

ლენინიზმი ორგანიზაციულ საკითხში

მე მსურს შევეხო ოპოზიციასთან ჩვენი დავის ერთ-ერთ საკითხს, საკითხს ორგანიზაციულს. რატომ ხდება, რომ ბრძოლა ამ საკითხის გარშემო გავლენას ახდენს პარტიულ ორგანიზაციაზე და არყევს მის სტრუქტურას, ე. ი. არყევს ყოველივე იმას, რითაც ჩვენი ორგანიზაცია ყოველთვის ამაყობდა, არყევს მის დისციპლინას, მთელ მის მთლიანობას.

აქ ძალიან საინტერესოა თვალი გადავავლოთ იმას, თუ როგორ იცვლებოდა ამ საკითხში ჩვენი ლენინგრადელი ოპოზიციის პოზიცია. ზინოვიევი ტროცკისთან გამართულ დისკუსიის დროს ჩვენ გვეუბნებოდა, რომ პროლეტარული დიქტატურის დასაცავად, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის სოციალიზმის მშენებლობის გზით წასაყვანად არის საჭირო ჩვენი პარტიის მონოლიტობა (ერთიანობა) მთელი ასი პროცენტით. როგორ გვაკრიტიკებდენ ჩვენ მაშინ, როცა ჩვენ „ნახევრად ტროცკისტებს“ გვიწოდებდენ? ჩვენ გვეუბნებოდენ: „როგორ, თქვენ გინდათ პოლიტბიუროში დასტოვოთ ტროცკი, რომელსაც ჩვენთან ერთად თქვენც გადახრას აბრალებდით? ჩვენ პოლიტბიუროში შვიდი კაცი გვყავს,—მაშასადამე, ერთი მეშვიდედი იქნება არა წმინდა ლენინურად განწყობილი. ჩვენ ეს დაგვღუპავს. ხელმძღვანელობისათვის საჭიროა ასპროცენტიანი მონოლიტობა, ე. ი. ხელმძღვანელობის აბსოლიუტიური ასპროცენტიანი მთლიანობა, რათა გავუძლოთ იმ სიმძიმეს, რომელიც პროლეტარულ დიქტატურას და ჩვენ პარტიის ტვირთზე აწევსო“. ამ ასპროცენტიან მთლიანობაზე, ამ ასპროცენტიან მონოლიტობაზე გაჰკიოდენ მანამდე, სანამ თვითონვე არ მოექცენ უმცირესობაში. იმიტომ, რომ, როგორც კი ამხანაგები ახალი ოპოზიციიდან მოექცენ უმცირესობაში, განსაკუთრებით ჩვენს პარტიულ ყრილობაზე (მე აქ არ ვეხები, რაც მანამდე იყო), მათ მაშინვე წამოაყენეს ლოზუნგები, რომელთაც ყველა ჩვენთაგანი განკვიფრებით შეხვდა.

როგორი ლოზუნგები წამოაყენეს ახალი ოპოზიციის წარმომადგენლებმა ჩვენს პარტიულ ყრილობაზე? ამხ. ზინოვიევმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ საჭიროა მოვიზიდოთ „ყველა ცოცხალი ოპოზიციონური ძალებიო“, ჩვენ დღემდე გვეგონა, რომ უკანასკნელ წლებში დიდი გაჭირვებით შევსძელით გადაგველახა მთელი რიგი ოპოზიციონური გადახრებისა: მუშათა ოპოზიცია, დემოკრატიული ცენტრალიზმი, რომელიც ნაწილობრივ ჩვენი პარტიის ფარგლებს სცილდებოდა, ისეთი ჯგუფები, როგორიც იყვნენ „რაბოჩაია პრავდა“ და მრავალი სხვა. ჩვენ მათ ხომ ყოველთვის ვებრძოდით. ლენინის ცხოვრების საქმე უკანასკნელ წლებში მდგომარეობდა იმაშიაც, რომ ის პარტიას ეხმარებოდა სწორი მარქსისტულ-ლენინური ხაზიდან გადახრის დაძლევაში. ჩვენ შევსძელით ამ გადახრების დაძლევა. ხოლო ლენინური ხაზის თვალსაზრისით, ამას ხომ თვითონ ამხ. ზინოვიევიც ამბობდა, და ჩვენც ვამბობდით და ვაკიოდით—ვაკიოდით რაც ძალი და ღონე გვქონდა—ტროცკისთან დისკუსიის დროს, რომ ყოვლად შეუძლებელია ორგანიზაციულ საკითხში ლენინიზმისაგან უკან დახევა, რომ ჩვენი პარტია ორგანიზაციულ საკითხში ყოველთვის განირჩეოდა ყველა დანარჩენ პარტიებისაგან მით, რომ ის ემყარებოდა შინაპარტიული ორგანიზაციის ნებისყოფის ნამდვილ მთლიანობას, რაც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ლენინის მოძღვრებისა მაშინ, როცა მთელი რიგი სხვა პარტიებისა—მენშევიკების, ესერების, რომ არ ვილაპარაკოთ მთელ რიგ ბურჟუაზიულ პარტიებზე,—შესდგებოდა სხვადასხვა ფრაქციების, ჯგუფების, მიმართულებების, შეხედულებების და კოალიციისაგან, პარტიის სხვადასხვა ნაწილებს შორის, წარმოადგენდა ისეთ უწესრიგობას, როდესაც მარცხენა ფეხმა არ იცოდა სად მიდიოდა მარჯვენა, მარცხენა ხელმა არ იცოდა რას აკეთებდა მარჯვენა,—ამ დროს ჩვენ ყოველთვის პარტიის ასეთი სტრუქტურის წინააღმდეგი ვიყავით.

ჩვენ არაერთხელ დავამტკიცეთ, რომ გამარჯვებებს უმეტესად ვღწევდით იმის შემწეობით, რომ ჩვენი პარტია თავისი ორგანიზაციული ბუნებით ჭეშმარიტად ფოლადისებური იყო. ჩვენ ვითმენდით დისკუსიას, მსჯელობას და სხვ., მაგრამ როცა გადაწყვეტილება მიღებულ იქნებოდა, ჩვენ ერთსულოვნად ფოლადისებური რიგებით მივდიოდით ბრძოლაში, რომ ეს გადაწყვეტილებები განგვეხორციელებია. პარტიის „ზედა“, „საშუალო“, „ქვედა“ ფენებიდან არა ერთ ამხანაგს ახსოვს ისეთი შემთხვევები, როცა ის პარტიული ყრილობების შემდეგ მიდიოდა პარტიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, მიუხედავათ იმისა, რომ პირადათ მან ხმა მისცა ამა თუ იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. აი ეს ჩვენი რკინის დისციპლინა, ჩვენი მონოლიტობა და ნებისყოფის მთლიანობა, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო—და იმედი მაქვს, მომავალშიაც დამახასიათებელი იქნება ჩვენი პარტიისათვის,—რომელსაც ყველა აღიარებდა, როგორც ერთ-ერთ აქსიომას, ერთ ერთ ჭეშმარიტებას, რომელსაც არ ესაჭიროება დამტკიცება ჩვენს ბოლშევიკურ ოჯახში.

როცა ამხ. ტროცკი და მისი მომხრეები შარშანდელ და შარშანწინდელ დისკუსიის დროს გვიყენებდენ და გამეორებდენ ტროცკისტების ძველ ლოზუნგებს: „იცხოვრე და სხვაც აცხოვრე“, ე. ი. იყავი უმრავლესობაში და მოითმინე სხვადასხვა სახის დაჯგუფებანი, სხვადასხვა ფრაქციები, სხვადასხვა მიმდინარეობანი,—ჩვენ ამის წინააღმდეგ ყოველივე ძალ-ღონით ვებრძოდით. ჩვენ ვიცოდით, რომ პროლეტარული დიქტატურის პირობებში ჩვენ უნდა დავუშვათ აზრის თავისუფლება მაგრამ ისიც ვიცოდით, რომ გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ ჩვენ უსიტყვოდ უნდა შევასრულოთ ისინი. ჩვენ პარტიის უდიდეს მონაპოვრად ვსთვლით იმას, რომ მთელ რიგ წლების ბრძოლის განმავლობაში დიდი გაჭირვებით აღმოვფხვრით ჩვენი პარტიის შიგნით მთელი რიგი სხვადასხვა ჯგუფებისა, ფრაქციებისა, მიმართულებებისა, გადახრებისა და სხვ. ჩვენ ეს ჩვენი პარტიის ცხოვრებაში უდიდეს მიღწევად მიგვაჩნდა.

და აი მას შემდეგ, რაც ბრძოლაში, რომელიც წინ უძღოდა მე-13-ე ყრილობას, ჩვენ ყველაფერი ეს განვამტკიცეთ, დავაკანონეთ და გავატარეთ, მტკიცე და ავტორიტეტული ხმით ვსთქვით ყოველივე ეს, მე-13-ე პარტიული ყრილობის სახელით დავადასტურეთ და მრავალჯერ ხაზი გაუსვით ამას,—ამის შემდეგ ყველა იმ რეზოლიუციების და სხ. ერთ-ერთი უშუალო ავტორთაგანი, რომელიც თვითონვე ჩავარდა უმცირესობაში, აყენებს ლოზუნგად აზრის თავისუფლების „გარანტიებს“, „უმცირესობის უფლებათა“ გარანტიებს, ყველა ოპოზიციონურ ძალების მიზიდვას და სხვ. ეს არაფერს არა ჰგავს. ახალი ოპოზიციის მდგომარეობის თვალსაზრისით ეს, რასაკვირველია, სწორი იყო, რადგან ყოველი დამარცხებული თავის მოკავშირეს ეძებს. მაგალითად ვსთქვათ, რომ ესა თუ ის ჯგუფი დამარცხდა, ის ყველგან ეძებს საშუალებას თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად. ეს გასაგებია. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ეს გასაგებია, ეს მაინც ძირიან-ფესვიანად, აბსოლიუტურად ეწინააღმდეგება ლენინურ მოძღვრებას პარტიის შესახებ.

ოპოზიციამ მოახდინა უდიდესი გადახრა მთელი 100 პროცენტით. თუ მე-13-ე ყრილობაზე ეს ამხანაგები, როცა ისინი ოპოზიციაში არ იყვნენ, ლოზუნგად აყენებდენ ას პროცენტიან მთლიანობას, განსაკუთრებით ხაზს უსვამდენ ამას და აქ ზოგჯერ საღი აზროვნების საზღვარსაც სცილდებოდენ, როცა ისინი უმცირესობაში ჩავარდენ, სულ სხვანაირად მოიქცენ, თავისი თავი მთელ პარტიაზე მაღლა დააყენეს.

ცხადია: ამას არავითარ შემთხვევაში ვერ შევიტანთ მათი „გამბედაობის“ დადებითი ბალანსში. ამის მოთმენა პარტიას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია. ამით ჩვენი პარტიის პროლეტარული რევოლიუციის რკინისებურ დასაყრდენიდან მთლიანად და ფაფად ვაქცევდით.

მე შევეხები კიდევ ორ რამეს, რომელსაც კავშირი აქვს ამ საკითხთან. ერთ-ერთი სამწუხარო გამოსვლა ჩვენ პარტიულ ყრილობაზე,—ეს იყო გამოსვლა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის კრუპსკაიასი, რომელიც ჩვენ ყველას გვიყვარს, რომელსაც პატივს ვცემთ და ვაფასებთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ის ისეთ რამეებს ამბობდა, რაც პოლიტიკურად დაუშვებელია ჩვენი თვალსაზრისით. ერთ-ერთ თავის სიტყვაში მან სთქვა: „რა უყოთ, ყრილობის უმრავლესობასაც შეუძლია შესცდეს. სტოკჰოლმის ყრილობის დროს 1906 წ. სწორედ ასეთი მდგომარეობა იყო: ყრილობის უმრავლესობა, რომელიც მენშევიკებისაგან შესდგებოდა, სცდებოდა, ხოლო ყრილობის უმცირესობა, რომელიც ბოლშევიკებისაგან შესდგებოდა, როგორც იცით, ჩვენ მაშინ ერთ პარტიაში ვიყავით, მართალი იყოვო“ მან მას შეეკითხენ: „მაშასადამე, თქვენის აზრით, მე-XIV-ე პარტიული ყრილობა რაღაც სტოკჰოლმის ყრილობისებურია?“ ის გამოვიდა მეორეჯერ განმარტებით, რომელსაც არა თუ არაფერი განმარტება არ მოუცია, არამედ კიდევ მეტი გაუგებრობა გამოიწვია.

მან, მაგალითად, სთქვა: „მე უნდა განვაცხადო, რომ თქვენ მსჯელობთ მენშევიკებზე ისე, როგორიც ისინი იყვნენ 1917 წელს. მაშინ ისინი ყოვლად წამხდარი ხალხი იყვნენ, მაგრამ მოიგონეთ, რომ 1906 წელს ისინი უკეთესები იყვნენო“. ასეთი იყო მისი განმარტების აზრი.

მივიღოთ ეს განმარტება, მაგრამ განა ეს საქმეს აუმჯობესებს? სრულებითაც არა. და ამის მიზეზი მარტივია. მაშასადამე, უმცირესობა ჩვენს მე-XIV-ე პარტყრილობას ამზგავსებს სტოკჰოლმის ყრილობას და უმრავლესობას იმავე საზომით უდგება, როგორითაც 1906 წელს ბოლშევიკები უდგებოდნენ მენშევიკებს. მაგრამ საქმე შემდეგშია: როცა 1906 წელს ჩვენ ვედავებოდით მენშევიკებს, ჩვენ გვქონდა ძირითადი უთანხმოება. ძირითადი უთანხმოება გვქონდა რევოლიუციის მამოძრავებელ ძალების შეფასებაში, შეიარაღებულ აჯანყების საკითხში, ლიბერალებთან დამოკიდებულებაში, და მალე ჩვენ გავითიშეთ. ეს ყველამ იცის. არ გასულა რამდენიმე წელი, რომ ჩვენ გავითიშეთ. იყო თუ არა ამ გათიშვის ჩანასახი 1906 წელს. რასაკვირველია, იყო. ჩვენ მას ვგრძნობდით. როგორ ვმოქმედობდით ჩვენ მენშევიკების წინააღმდეგ 1906 წელს? ჩვენ ამ ყრილობის შემდეგ ცალკე მოხსენებებით გამოვდიოდით, საკუთარ ფრაქციულ ცენტრებს ვქმნიდით, ჩვენს საკუთარ ლიტერატურას ვავრცელებდით, საერთო ორგანიზაციასთან ერთად ჩვენ ყველგან გვქონდა საკუთარი დამოუკიდებელი ორგანიზაცია, ჩვენ გვქონდა ხელმიწვდენით შეკავშირებული ფრაქცია, ვაწარმოებდით გაფართოებულ ბრძოლას და, დაბოლოს, გამოვეყავით დამოუკიდებელ პარტიად. როგორ შეიძლებოდა ეხლა სტოკჰოლმის ყრილობის აჩრდილის დაყენება ჩვენს თვალწინ!.. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა—ეს უაღრესად სახიფათო არის. ეხლაც ხომ არის უთანხმოება, ეხლაც, თურმე, ყრილობა შეიძლება შესცდეს—მენშევიკებიც ხომ სცდებოდენ 1906 წელს, ხოლო უმცირესობა მართალი იყო. რა საჭიროა ამის მოგონება, რა საჭიროა ასეთი სიტყვები?

შეიძლება ითქვას, რომ ნადეჟდა კონსტანტინოვნა აქ სცდებოდა, სთქვა არა ის, რისი თქმაც უნდოდა; სანამ იტყოდა, ის კარგად არ ჩაჰკვირვებია, რას ამბობდა. შეიძლება ბევრი რამ ითქვას ამის შესახებ. მაგრამ ქვეყანას ხომ ყველაფერი ეს ესმის, ყველაფერ ამას კითხულობენ, კითხულობენ მუშები, კითხულობენ ჩვენი მტრები. საზღვარგარეთაც და საბჭოთა კავშირშიაც, მუშათა კლასს, გლეხობას, მოწინავეებს შორის, ყველგან გადასროლილია ეს სიტყვა სტოკჰოლმის ყრილობის შესახებ. და არ შეიძლება ამან არეულ-დარევა არ გამოიწვიოს. მუშებში დაიწყება სჯა-ბაასი იმაზე, თუ ვინ არის მართალი: უმრავლესობა, თუ უმცირესობა. ყველას, ვინც მოინდომებს მომხდარ ამბებში გარკვევას, აეკვიატება ასეთი სულის მაწვალებელი ეჭვი: „ვინ იცის, იქნება 1—2 წლის შემდეგ პარტია სავსებით გაითიშოსო“. თუ მე-14 ყრილობაზე მოიგონებს სტოკჰოლმის ყრილობა, ამით ხომ არ აიხსნება ის გარემოება, რომ ყრილობის ნაწილი მოითხოვდა ცალკე მოხსენებელს, იცავდა ახალ გზას, იღებდა ხაზს პარტიული ყრილობის უმრავლესობის წინააღმდეგ, ე. ი. საერთოდ მთელი პარტიის წინააღმდეგ? ყველას უფლება აქვს ასეთი კითხვების დასმის. ამ გამოსვლამ, რომლიდანაც არ გამოჯვნილან ოპოზიციონერები, მეტად უსიამოვნო ჩრდილი მოჰფინა ოპოზიციის შემდეგ გამოსვლებს, კერძოდ კი იმ ფაქტებს, რომელთაც ეხლაც ადგილი აქვთ.

მე უნდა შევეხო ნადეჟდა კონსტანტინოვნას სიტყვის მეორე ადგილს, რადგან ის გაცილებით უფრო გულახდილად ლაპარაკობდა, ვინემ ოპოზიციის უფრო გამოცდილი პოლიტიკოსები. ის ასეთ აზრს ავითარებდა: მარქსიზმი გვასწავლის, რომ ჭეშმარიტება მდგომარეობს ობიექტიურ სინამდვილესთან შეფარდებაში. უმრავლესობას შეუძლია შესცდეს. სიმართლე—ეს ის კი არ არის, რასაც ყრილობის უმრავლესობა სწყვეტს, არამედ ის, რაც სინამდვილეს შეეფერებაო. ეს, რასაკვირველია, სწორია. თავისთავად ცხადია, რომ შეიძლება მთელი პარტიაც შესცდეს, მთელი ყრილობაც და პარტიის ცალკე ბელადებიც შესცდენ ისევე, როგორც არა ერთხელ შემცდარა მარქსიც. მაგრამ რა საჭიროა ასეთი ლაპარაკი? განა ეს აქამდი არ ვიცოდით? რასაკვირველია, ვიცოდით. რა აზრი აქვს ასეთ ლაპარაკს? რა აზრი აქვს ამას, როცა არა ფილოსოფოსთა კლუბში, არამედ პოლიტიკურ ყრილობაზე ლაპარაკობენ, რომ ჭეშმარიტება მდგომარეობს არა იმაში, რასაც უმრავლესობა მისცემს ხმას, არამედ სინამდვილესთან შეფარდებაშიო? ადვილი გასაგებია, თუ რაშია აქ საქმე. თუ ჩვენ განზე მივაგდებთ უმრავლესობის გადაწყვეტილებას და ვილაპარაკებთ, რომ ჭეშმარიტება სინამდვილესთან შეფარდებაში მდგომარეობს, რაც თავის-თავად სწორია, მაშინკი იბადება კითხვა: ვინღა უნდა გადასწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, თუ რა შეეფერება და რა არ შეეფერება სინამდვილეს? აი, მაგალითად: კამენევი ფიქრობდა, რომ ზედმეტი პურის 61 პროცენტი კულაკების ხელშიაო, სხვები ფიქრობდენ, რომ ეს ასე არ არის. აქედან

ეროვნული

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

დანიშვნები

მოსკოვი, 30 იანვ. ცაკის პრეზიდიუმმა ფინანსთა სახ. კომისარის თანამდებობის აღმასრულებელი **ბრიუხანოვი** დაამტკიცა საკავშირო ფინანსთა სახ. კომისრად.

საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარეთ დანიშნულ იქნა **ულრიხი.**

რემედასის პლენუმი

მოსკოვი, 30 იანვ. 28 იანვარს დაიხურა რემედასის პლენუმი.

კრედიტები სასოფლო მეურნეობას

მოსკოვი, 30 იანვ. სასოფლო მეურნეობის ცენტრალურ ბანკმა სასოფლო მეურნეობისათვის კრედიტის მისაცემათ წლის მეორე მეოთხედში გადასდო 40 მილ. მანეთი, ე. ი. მთელი წლის გეგმის 70 პროცენტზე მეტი.

კრედიტის უმთავრესი ნაწილი მოხმარდება გლეხობისათვის სასოფლო სამეურნეო მანქანების, ინვენტარის ტრაქტორების, მუშა-საქონლის, სათესი მასალის და სხვ. მიწოდებას. უნდა გაუდიდდეს კრედიტი მეთამბაქოობას, სელის მოშენებას, ზეთის და კარტოფილის თესლის გადამუშავებას და სხვ.

გემის ახალი მამოძრავებელი

მოსკოვი, 30 იანვ. ინჟენერ გლუშკოვმა გამოიგონა გემის ახალი მამოძრავებელი, რომელიც აგებულია მაშხალის პრინციპზე. ეს გამოგონება მნიშვნელოვანია ნაოსნობისათვის პატარა მდინარეებზე, სადაც ხრამნილიანი და ბორბლებიანი გემები ნელა მოძრაობენ; გლუშკოვის გემი მოძრაობს ორთქლის შემწეობით.

ელექტროტრესტის ხელშეკრულება გერმანიის ელექტრონის კომპანიასთან

ლენინგრადი, 30 იანვ. სახელმწიფო ელექტროტრესტსა და გერმანიის ელექტრონის საყოველთაო კომპანიას შორის ხელშეკრულება დაიდო 5 წლით საბჭოთა ქარხნებისათვის ტეხნიკური დახმარების გაწევის შესახებ.

სახელმწიფო ელექტროტრესტს უფლება აქვს გაგზავნოს კომპანიის ქარხნებში თავისი ინჟენერები, ტეხნიკოსები და მუშები წარმოების შესასწავლად.

ნორვეგიელი დელეგატები ქიმიკოსთა საკავშირო ყრილობაზე

ლენინგრადი, 30 იანვ. ქიმიკოსთა საკავშირო ყრილობაზე მოსკოვში ჩამოვიდა ორი ნორვეგიელი დელეგატი: ნორვეგიის ქიმიკოსთა გაერთიანების თავმჯდომარე იონსონი და ქიმიკოსთა კავშირის გამგეობის წევრი იაკობსონი.

დელეგატებმა განაცხადეს, რომ საკავშირო ყრილობაზე ისინი დასვამენ მუშა ქიმიკოსების მთლიან ინტერნაციონალურ გაერთიანების შექმნის საკითხს.

ლიტერატურა მუშებისათვის

მოსკოვი, 30 იანვ. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებამ საჭიროდ სცნო გაფართოებულ იქნეს მუშაობა ისეთი ლიტერატურის გამოსაცემად, რომელიც შეეფერება წარმოებებში მომუშავე და სოფლებიდან ახლად მომავალ მცირე და საშუალო ცოდნის მქონე მუშებს.

ქონების აუნაზღაურებლად დატოვების შესახებ

მოსკოვი, 30 იანვ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საკავშირო რესპუბლიკების ცაკებს 1 მარტიდან გააუქმონ საკავშირო რესპუბლიკების კანონმდებლობაში გათვალისწინებული შეზღუდვა იმ ქონების რაოდენობისა, რომელიც შეიძლება დატოვებულ იქნეს მემკვიდრეობის ან ჩუქების წესით.

ამასთან ერთად ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა დებულება გადასახადისა იმ ქონებაზე, რომელიც გადადის მეორე პირზე მემკვიდრეობის ან ჩუქების წესით.

კანონი ამ გადასახადის შესახებ ძალაში შედის ყველა იმ მემკვიდრეობათა მიმართ, რომელიც გადაიცემა 1926 წლის 1 მარტიდან, და აგრეთვე იმ ქონებათა მიმართ, რომელიც გადადის ჩუქების აქტის ძალით, რომელიც შესრულებული იქნა ამავე თარიღიდან.

ლონდონი-ჰამბურგი-მურმანსკი

მოსკოვი, 30 იანვ. საბჭოთა სავაჭრო ფლოტი ფინეთის ყურეს გაყინვის გამო აწყობს გემების რეისებს ორჯერ თვეში ლონდონს, ჰამბურგსა და მურმანსკს შორის.

უკრაინა

ჩქარი მატარებლის ლიანდაგიდან გადავარდნა

კიევი, 30 იანვ. 26 იანვარს მოსკოვიდან ოდესისკენ გამოსული ჩქარი მატარებელი ლიანდაგს ასცდა სად. ნავლიას მახლობლად.

მსხვერპლი არ არის; ზიანი უმნიშვნელოა.

საარჩევნო კამპანია

ხარკოვი, 30 იანვ. საარჩევნო კამპანია მთელს უკრაინაში ნორმალურად მიმდინარეობს. საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში მონაწილეობას იღებენ სოფლის ყველა ფენები. ზოგიერთ რაიონებში კულაკები არჩევნებისათვის დიდ მზადებაში არიან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის აზრით, გაზეთები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან ხელახალ არჩევნების კამპანიას, კერძოთ საგლეხო გაზეთებმა სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ კულაკების გაძლიერებულ აგიტაციას გლეხებს შორის.

გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტები

კრასნოდარი, 30 იანვ. დამთავრდა გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტების ხელახალი არჩევნები ადიღეის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ჩრდილოეთ კავკასია).

ახალ გლეხკომებში არჩეულია 70 ღარიბი გლეხი, დანარჩენები კი საშუალო გლეხებია. კულაკობა არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს გლეხკომების მუშაობაში.

ლენინგრადის საგანგებო საგუბერნიო პარტკონფერენცია

ლენინგრადი, 30 იანვ. რადგან ყველა რაიონების კოლექტივებმა და საკავშირო კომპარტიის ყველა სამაზრო ორგანიზაციებმა, უმნიშვნელო გამოკლებით, გამოსთქვეს თავის დამოკიდებულება დისკუსიისადმი, რომელიც პარტიის მეთოთხმეტე ყრილობაზე დაიწყო და რომელსაც ადგილი ჰქონდა პარტყრილობის შემდეგ ლენინგრადში, საკავშირო კომპარტიის ლენინგრადის სამაზრო კომიტეტის სამდივნომ გამოსცა დადგენილება საგანგებო საგუბერნიო კონფერენციის მოწვევის შესახებ, არა უგვიანეს 23 თებერვლისა. გუბკონფერენციის დღის წესრიგში სდგას: პარტიის მეთოთხმეტე ყრილობის შედეგები, მოხსენება საბჭოთა კავშირის მრეწველობის შესახებ და პარტიულ და საკონტროლო ორგანოების არჩევნები.

4-დან 8 თებერვლამდე მოწვეულ იქნება საკავშირო კომპარტიის წევრთა სარაიონო სამაზრო კონფერენციები.

ხსენებული დადგენილება დამტკიცებულ იქნა საკავშირო კომპარტიის ცეკას მიერ.

შეღავათები ყოფ. წითელარმიელებს

მოსკოვი, 30 იანვ. საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარიატის დადგენილების თანახმად, წითელი არმიიდან დათხოვნილი პირები სამუშაოზე მიიღებიან პროფკავშირთა წევრების თანასწორად, კერძოთ იმ შემთხვევებში, როცა კოლექტიური ხელშეკრულების მიერ გათვალისწინებულია პროფკავშირის წევრთა უპირატესობა სამსახურში მიღების დროს.

დამქირავებელს არა აქვს უფლება წითელი არმიიდან დათხოვნილს წარუდგინოს კვალიფიკაციის მოთხოვნილება დარაჯის თანამდებობაზე მიღების დროს ყველა დაწესებულებას და წარმოებებში და აგრეთვე შავი მუშის ადგილზე მიღების დროსაც.

ტრაქტორები საბჭოთა კავშირისათვის

მოსკოვი, 30 იანვ. ვაჭრობის სახ. კომისარიატში მიღებულია ცნობები, რომ ნიუ-იორკიდან გამოვიდა გემი „კორინტიკი“, დატვირთული 1876 ტრაქტორით, იმ 10.000 ტრაქტორის ანგარიშში, რომელიც შესყიდულია ფორდის ფირმისაგან.

ტრაქტორების გარდა გემი დატვირთულია სათესი მანქანებით, ფრეზერის სამკელი მანქანის ნაწილებით და სახნისებით.

გემი მოემგზავრება ნოვოროსიის ნავთსადგურში.

სამუშაო დროის შეფარდება ყოფა-ცხოვრების პირობებთან

მოსკოვი, 30 იანვ. ცაკის პრეზიდიუმმა მხედველობაში მიიღო ის უხერხულობა, რომელსაც ჰქმნის ადგილობრივი მოსახლეობისათვის საბჭოთა დაწესებულებების მუშაობა ისეთ დღეებსა და საათებში, რომელნიც არ ეთანხმებიან ადგილობრივ ყოფა-ცხოვრების პირობებს და წინადადება მისცა საკავშირო რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუთანხმონ ყველა საბჭოთა დაწესებულებათა და აგრეთვე სამრეწველო და სავაჭრო წარმოებათა მუშაობის დღეები და საათები ადგილობრივ ყოფა-ცხოვრების და კლიმატიურ პირობებს.

სამხედრო განყოფილებები გაზეთებსა და ჟურნალებში

მოსკოვი, 29 იანვ. სამხედრო მშენებლობის საკითხის უკეთ გასაშუქებლად პარტიულ-საბჭოთა პრესაში, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებამ აუცილებლად სცნო სამხედრო განყოფილებების შემოღება ყველა გაზეთებსა და მასიურ ჟურნალებში.

ამ განყოფილებამ უნდა გააშუქოს, თუ რამდენათ აუცილებელია მთელი მოსახლეობის მონაწილეობა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მშენებლობაში, მორიგი სამხედრო ამოცანები და მოსახლეობის სამხედრო გაწვრთნის ყველა მხარეები.

პრესაში სამხედრო მშენებლობის საკითხების გაშუქების [illegible] სათანადოთ დასაყენებლათ, საგუბერნიო კომიტეტების ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებებთან უნდა გაიმართოს საგუბერნიო კომიტეტის და ადგილობრივ სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირები.

შავი ზღვის ფლოტის პარტიული კონფერენცია

სევასტოპოლი, 29 იანვ. შავი ზღვის ფლოტის პარტიულმა კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ფლოტი ყოველივე ძალ-ღონეს იხმარს, რათა ცხოვრებაში გაატაროს მეთოთხმეტე პარტყრილობის გადაწყვეტილებანი. კონფერენცია ენერგიულად შეებრძოლება ყოველგვარ ცდას პარტიის მთლიანობის დასარღვევათ. ის ესალმება ლენინგრადის ორგანიზაციაში ოპოზიციურ განწყობილების გაქარწყლებას.

ერთი რომელიმე შეეფერება სინამდვილეს. შესაძლებელია არც ერთი და არც მეორე არ შეეფერება, შეიძლება სწორია რომელიმე მესამე. ეს, საერთოდ თუ ვიტყვით, სავსებით შესაძლებელია. მაგრამ თუ ჩვენ ამით დავკმაყოფილდებით, მაშ რაღა საჭიროა პარტია და მისი გადაწყვეტილებები? რა მოხდება, თუ ყრილობის გადაწყვეტილებების შემდეგაც ყველანი „ფილოსოფიურად“ დაიწყებენ მსჯელობას: „ეშმაკმა უწყის, ჭეშმარიტება ხომ უმრავლესობას ჯიბეში არა აქვს, ის სინამდვილესთან შეფარდებაშიაო“. ისიდორე ერთს ფიქრობს, პავლე მეორეს, ონისიმე—მესამეს, პარტია კი სადღაა?—მაშინ შეუძლებელია რაიმე გადაწყვეტილება. პარტიის დანიშნულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ რადგან დედა-მიწაზე არ არსებობს არც ერთი წინასწარმეტყველი, რომელსაც შეეძლოს 100 პრ. გამოარკვიოს, სახელდობრ „რა შეეფერება სინამდვილეს“, რომ ერთად და თანხმობით იმოქმედონ, თვითეულმა უნდა შეასრულოს უმრავლესობის, ე. ი. პარტიის გადაწყვეტილებები, შენ ფიქრობ, რომ ისინი სცდებიან. დაიცადე, მომავალი პარტყრილობის წინ, როცა ცეკა გახსნის კამათს, იბრძოლე შენი შეხედულების დასაცავად, და შემდეგ შეიძლება უმრავლესობა შენ მოგემხროს. ხოლო თუ მას არ დაემორჩილები, შენ დაარღვევ მთელ პარტიულ ორგანიზაციას.

არ შეიძლება პარტიის ისე წარმოდგენა, რომ ის შესდგება მილიონი კაცისაგან, რომელთაგან თვითეული კითხულობს, მსჯელობს, ფილოსოფოსობს იმაზე, თუ რა შეეფერება სინამდვილეს და ამასთან ერთად ერთს ეს ესმის ერთნაირად, მეორეს—მეორენაირად, მესამეს—მესამენაირად, მაგრამ უმრავლესობა არაფერს არ სწყვეტს იმის გამო, რომ ის შეიძლება შესცდეს.

სადღა არის პარტია? მაშინ რაღა [illegible] გვინდა პარტია? მაშინ პარტია აღარ არის, პარტია გაქრა, დარჩენ მხოლოდ ცალკე „ფილოსოფოსე პიროვნებები“, მაგრამ მაშინ არ არის პარტია, არ არის ორგანიზაცია.

თუ ასეთ აზრს შევადარებთ განცხადებას სტოკჰოლმის ყრილობის შესახებ, ჩვენ პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ იქმნება სახიფათო მდგომარეობა, რადგან ჩვენ ვიმყოფებით ისეთ პარტიულ ორგანიზაციაში, რომელიც განირჩეოდა სასტიკი ცენტრალიზმით, მკაცრი დისციპლინით, პარტიულ გადაწყვეტილებებისადმი სრული მორჩილებით, აშკარად გამოხატულ პარტიულ ტრადიციით,—ეხლა კი კოალიციის, ფრაქციის, ჯგუფის და სხვ. საშუალებით სურთ ჩვენ გვაქციონ ისეთ მოკამათე ფილოსოფოსთა საზოგადოებად, რომელნიც პონტოელ პილატესავით მსჯელობენ იმის შესახებ, თუ „რა არის ჭეშმარიტება?“ ცხადია, რომ ჩვენ არასოდეს პარტიული ორგანიზაცია ასეთ დაწესებულებათ არ უნდა ვაქციოთ, ამიტომ აშკარაა, რომ ამ ახალ ოპოზიციაში მყოფ ამხანაგებისათვის ჩვენ უნდა მიგვეთითებია იმაზე, რომ მათ გადაუხვიეს ლენინის მოძღვრების ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ელემენტს—ლენინის მოძღვრებას პარტიის და მისი სტრუქტურის შესახებ. ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენი გახეთქილება მენშევიკებთან ოდესღაც დაიწყო ორგანიზაციული საკითხის გამო. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი დამსახურება, ჩვენი პარტიის ფოლადისებური სტრუქტურაშია. კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს ის, რომ ჩვენმა პარტიამ ნაწილობრივ უკვე შეასწავლა უცხოეთის მუშებს ის, რომ მათ უნდა ჰქონდეთ არა ფაფის მსგავსი პარტია, არა უნებისყოფო მოკამათე ფილოსოფოსთა კრება, **არამედ აქტიური, ერთი ნებისყოფით შეკავშირებული ერთიანი პარტია, რკინისებური პარტია, რომელსაც შეუძლია უდიდესი წინააღმდეგობის დაძლევა, რომელიც მზად არის ყველაფრისათვის: სამოქალაქო ომისათვის, დიდ ბრძოლებისათვის, ურთულეს პოლიტიკურ მანევრების ჩატარებისათვის, რომ დათრგუნოს მტერი, სადაც საჭიროა, ძალდატანებით, სადაც საჭიროა—უკან დახევით, ეშმაკობით, ჩასაფრებით.** ამას ჩვენ შევეჩვიეთ, ეს არის ჩვენი პარტიის ბუნება.

და აი, ამხანაგების გამოსვლებში ცეკას უმრავლესობის წინააღმდეგ, ეს უდიდესი მონაპოვარი—ლენინის მოძღვრების ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი—დაიკარგა, ორთქლად იქცა, გაქრა. ის პირველად ყოველმხრივ გაითქვიფა აზრის თავისუფლების მოთხოვნით, შემდეგ კიდევ უფრო გაითქვიფა ოპოზიციის ყველა ცოცხალ ძალების მოზიდვის მოთხოვნით, შემდეგ ის ორთქლად იქცა ლაპარაკში სტოკჰოლმის ყრილობის შესახებ, და თითქმის სავსებით გაქრა, მოისპო, როცა დაიწყეს ლაპარაკი „ობიექტიურ ჭეშმარიტებაზე“. ამრიგად, მთელ რიგ სულ სხვადასხვაგვარ მსჯელობით, რომელიც ნაკარნახევი იყო ბრძოლის მსვლელობით, ასპროცენტიან მონოლიტობის მოთხოვნიდან ამხ. ზინოვიევის, კამენევის და სხვების მხრივ, როგორც ეს მათ ჩამოაყალიბეს მე-13-ე ყრილობისათვის,—აღნიშნულმა ამხანაგებმა დიდი ევოლიუცია მოახდინეს და მივიდნენ იქამდე, რაც ჩვენ გავიგონეთ მათგან. ასეთი სიტყვები ჩვენ პარტიულ ორგანიზაციას ყოველგვარ აზრს უკარგავენ.

ამრიგათ, ბრძოლის ასეთმა მეთოდებმა და ხერხებმა ცეკას უმრავლესობის წინააღმდეგ ისინი მიიყვანა ლენინიზმის გადასინჯვამდე,—უცხოეთის ენაზე ამას რევიზია ეწოდება,—ლენინიზმის რევიზიამდე ერთ-ერთ მთავარ საკითხში—ორგანიზაციულ საკითხში. ეხლა მიღებულია ძალიან მყვირალა სიტყვების ლაპარაკი. მაგრამ ყოველი მყვირალა სიტყვა, თუ ბევრჯერ იქნა განმეორებული, იცვითება როგორც სპილენძის შაურიანი. თავის თავად ცხადია, რომ ეს ორგანიზაციული გაუგებრობა, ლენინის მოძღვრების ეს რევიზია ორგანიზაციულ საკითხში, ჯერ კიდევ სისრულით არ ჩამოყალიბებული. როგორც კი უმრავლესობიდან გაისმა: „როგორ თუ ფრაქციების თავისუფლება, სად გაქრა თქვენი წინანდელი აზრებიო“? მაშინ ეს ლოზუნგი ოპოზიციამ ჯიბეში შეინახა. ამხ. კამენევის მიერ წაკითხულ განცხადებაში ეს უკვე აღარ იყო, რადგან ეს ცხვირს ძლიერ მოხვდა, ამას ძალიან ცუდი სუნი უდის, უფრო უარესი იმ ლაყე კვერცხებზე, რომლებზედაც ლაპარაკობდა ამხ. ზინოვიევი და რომელთაც თითქოს უშენდენ ლენინგრადის ორგანიზაციას. ეს იმდენათ ხვდებოდა ცხვირს, რომ ეს ლოზუნგი ფიცხლავ ჯიბეში იქნა დამალული, ერთი სიტყვით, სავსებით გაქრა.

ჩვენ ამას აქ ვიხსენიებთ იმისათვის, რომ თვალსაჩინო გავხადოთ, თუ რა უმსგავსობამდე მივლენ ამხანაგები, თუ ისინი ასცდენ სწორ გზას. თავისთავად ცხადია, რომ თუ კი ასეთი ტენდენცია გაჩნდა, მასზე იერიში უნდა ყოფილიყო მიტანილი. პარტიის ყრილობის უმრავლესობაშიც მასზე იერიში მიიტანა, წინააღმდეგობა გაუწია ამ ტენდენციას, წინააღმდეგობა გაუწია ასეთ მსჯელობას და ის აბსოლიუტურად მართალი იყო. ყრილობა აქ მართლაც 100 პროცენტით იცავდა ლენინიზმს გადახრებისაგან, რადგან, ვიმეორებ, ყოველ ოდნავათ შეგნებულ ბოლშევიკს, სავსებით ნათლად, სწორად და გარკვევით ესმის, რომ ორგანიზაციულ საკითხში ლენინის მოძღვრებას ორგანიულად ეჯავრება და ეუცხოება ისეთი მსჯელობა, როგორიც არის ყოველგვარ ფრაქციების, ჯგუფების თავისუფლება, როგორიც არის ლაპარაკი სტოკჰოლმზე და სხვ.

ნ. ბუხარინი.

მოლოდება

საზღვარგარეთ ემიგრაციაში მყოფ ამხანაგებისადმი

დღეს ხუთი თვე შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენ დიდის ბრძოლით დავსტოვეთ საზღვარგარეთელი მენშევიკური ბიუროს მოღალატური გზა, მოღალატური საერთოდ მუშათა კლასისა და კერძოთ კი ჩვენი სამშობლოს მიმართ.

თქვენ იცით, ამხანაგებო, თუ რა საზიზღარ საშუალებებს მიმართეს ჩვენს დასამცირებლათ ბ.ბ. ჟორდანია-რამიშვილის აგენტებმა. თქვენ გახსოვთ რა უსინიდისო თავდასხმა მოახდინეს ჩვენზე ამ ვაჟბატონებმა ოდეონთან კაფე „კულტურაში“ და რამდენი უდანაშაულო სისხლი დაიღვარა. თქვენ ისიც გახსოვთ ალბათ, თუ როგორ დაგვდევდენ სასიკვდილოთ 2 თვის განმავლობაში ეს ვაჟბატონები და როგორ მოაწყვეს ბოლოს ჩვენი დაპატიმრებისა და გადმოსახლების საქმე, როდესაც მოკვლა ვეღარ მოახერხეს. თქვენ ყველა ამ ამბების პირადი მოწმენი ხართ და იცით, თუ რა სიძნელეს წარმოადგენდა მაშინ ჩვენი ნაბიჯის გადადგმა.

ჩვენ პირველ ყოვლისა დარწმუნებული ვიყავით ჩვენს სიმართლეში როგორც პოლიტიკურად, ისე ზნეობრივათ, და ამ მხრივ სიკვდილის წინაშედაც არ დავიხევთ. დღეს ჩვენ სრული ხუთი თვეა, რაც საქართველოში ვიმყოფებით, ვეწევით სასარგებლო და ნაყოფიერ მუშაობას როგორც საკუთარ ოჯახებში, ისე, ვისაც როგორ შეუძლია, საზოგადო-სახელმწიფოებრივ ასპარეზზედაც. ამაში ჩვენ ყველანი გვეშველებიან, ყველანი ხელს გვიწყობენ, დაწყებული მთავრობიდან—გათავებული მეზობლებით და ამხანაგებით. უსინდისო უნდა იყოს კაცი, ბრმა ან ერეგვენი, როგორც ამას გურულები ამბობენ ხოლმე, რომ არ დაინახოს ის შემოქმედებითი—აღმშენებლობითი მუშაობა, რომელიც დღეს სწარმოებს საქართველოში. რამდენი რამ არ გაკეთებულა ამ პატარა დროს განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების მიერ, რა მუშაობა არ სწარმოებს დღეს მუშათა კლასის, გლეხობისა და მთელი ერის საკეთილდღეოთ. შესაძლებელია ვინმემ იფიქროს, საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობა საქართველოში თავდებოდეს გზების, ხიდების, ტბების ამოშრობით, ელექტრო-სადგურების, ფაბრიკა-ქარხნების, კოოპერატივების, რკინის გზების გაყვანით და სხვა ამგვარი საქმიანობით. არა, არა მარტო ამით არ განისაზღვრულა ეს საქმიანობა. უმთავრესია ის, რაც უკვე საშვილიშვილოდ გაკეთებულა საბჭოთა წყობილების განმტკიცების შემდეგ საქართველოში. ჩვენ ვლაპარაკობთ, ამხანაგებო, საქართველოს იმ დამოუკიდებლობის შესახებ, რომლის გამო საქართველოს მშრომელი ხალხი ყოველთვის საომარ პირობებში იმყოფებოდა. მოიგონეთ, ამხანაგებო, ომი სომხეთთან, აზერბეიჯანთან, ომი თათრებთან და თქვენთვის აშკარა შეიქნება, მშვიდობიანი მდგომარეობით გამოწვეული საქმიანობა და აღმშენებლობითი მუშაობა დღეს საბჭოთა საქართველოში. მერე ვის სასარგებლოთ, ვისი საკეთილდღეოთ ხდება ყოველივე ეს? უეჭველია საქართველოს მუშათა კლასის, გლეხობისა და მთელი ერის საკეთილდღეოთ. აი ეს მშვიდობიანი ურთიერთობა დღეს მეზობელ რესპუბლიკათა შორის არის იმის თავდები, რომ მომავალში გაცილებით უფრო მეტი გაკეთდება, ვინემ ოდესმე. როგორც იცით, ამხანაგებო, ჟორდანია-რამიშვილის ჯგუფი დიდ კამპანიას ეწევა ქართველების ვითომდა გარუსებაზე, ქართული ენის წართმევაზე და სხვ. აბა კარგათ დააკვირდით, ამხანაგებო, და გასინჯეთ, ვის შეუძლიან ეს მოახერხოს, დღევანდელ პირობებში და ისიც ასე მოკლე დროში. დაგვერწმუნეთ, რომ არავის. ქართველი ხალხი დღეს, როგორც ყოველთვის ქართულათ ლაპარაკობს, მისი სახელმწიფო ენა ქართულია, ის ამ ენაზე სწერს, ამ ენაზე ლაპარაკობს და, რაც მთავარია, ყველაფერს ქართულად აწარმოებს.

ეხლა გადაიღეთ ამხანაგებო, რაც ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო და საყურადღებოა, მუშათა კანონმდებლობაზე საქართველოში.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ დღეს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას სათავეში უდგას მუშათა კლასი. მას ხელთა აქვს კავშირების, სიტყვის, ბეჭდვის, კრების თავისუფლებანი, ამაში მას მოდავე, მოცილე არავინა ყავს. ბევრი თქვენგანი მუშაობს ევროპას სხვა და სხვა ქალაქების ფაბრიკა-ქარხნებში და იცის, რომ იქ მუშა მხოლოდ ცოცხალი დამატებაა უსულო მანქანისა და მეტი არაფერი. მას არ გააჩნია არავითარი თავდაცვის ორგანიზაცია, ის ღვთის ანაბარა—ბედზეა მიგდებული. რამდენი საბრალო უბედური მუშა გინახავთ თქვენ მანქანისაგან ხელ-ფეხ მოგლეჯილი იმავე ფაბრიკა ქარხნის წინ ქუჩაში ქვეყნისა და გამვლელ-გამომვლელის სამოწყალოდ ხელებ გაშვერილი? რამდენს ასეთ მუშას ჩვენს უნახავად დაულევია სული და ვინ იცის კიდევ რამდენი თქვენგანიც შეიძლება ჩავარდეს ამ მდგომარეობაში. მოიგონეთ, ამხანაგებო, ს. კალანდაძე, რომელმაც სამუდამოთ დაკარგა მარჯვენა მკლავი და რა მისცეს, როგორ დაეხმარენ მას? სრულიად არაფერი არ მიუციათ. პორფილე მუხუზლა სოფ. რისორანჟეში მუშაობის დროს მაღლიდან ჩამოვარდა, ეკენი თვით მუშაობის უნარი დაკარგა. განა ამ კაცს ჩვენ არ ვინახავდით ჩვენი საცოდავი კაპეიკებით ამ ხნის განმავლობაში? ნიკო ნასიძე, ივლიანე კუკია. ესენი ხომ ჩვენი კაპეიკების მუდმივი პენსიონერები იყვნენ. დღეს, ყოველივე ამას ნუ დაიჯერებენ ურწმუნონი, ვისაც ევროპას მუშათა კლასის ეს მდგომარეობა არ სჯერა, მაგრამ თქვენთვის ხომ ცხადია, თქვენ ხომ პირადი მოწამენი ხართ ყველა ამ ამბების.

ეხლა გადავშალოთ ჟორდანია-რამიშვილის მიერ ათვალისწუნებული საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის შრომის კოდექსი და გავსინჯოთ, თუ როგორია საქართველოს მუშების მდგომარეობა ამ მხრივ.

სოციალური დაზღვევა. შრომის კანონთა კოდექსის მუხლი 175 ვრცელდება ყველა დაქირავებულებზე, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო, საზოგადო, კოოპერატიულ, საკონცესიო, შერეულ ან კერძო წარმოებებსა, დაწესებულებებსა და მეურნეობაში ან კერძო პირთან.

შემდეგი მუხლი 176 სოციალურ დაზღვევას შეიცავს: ა) საექიმო დახმარების მიცემას, ბ) შრომის უნარის დროებით დაკარგვის შემთხვევაში დახმარების მიცემას, დახმარებას ავადმყოფობის, დასახიჩრების, კარანტინის, ფეხმძიმეობის, მშობიარობის დროს, ოჯახის ავადმყოფ წევრთა მოვლას, გ) დამატებითი დახმარების მიცემას ბავშვის საკვებათ, მოსავლელად, და დასამარხად, დ) უმუშევრობის დროს დახმარების მიცემას, ე) დახმარებას ინვალიდობის გამო, ვ) დახმარებას მარჩენალის სიკვდილის ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის შემთხვევაში, [illegible] დახმარების გაცემას.

აი ამ შრომის კანონთა კოდექსის ორი მუხლის ამონაწერიდანაც აშკარად სჩანს, თუ რამდენათ ძლიერია საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკაში ჩვენი მუშების მდგომარეობა და რამდენათ დიდია სოციალური უზრუნველყოფა. აქ შეიძლებოდა მოგვეყვანა სხვა მუხლებიც, რომელნიც ასევე იცავენ მუშა-ქალების, მცირეწლოვან ბავშვების, მოხუცი მუშების, ქვრივ-ოლების ინტერესებს და მათ უზრუნველყოფენ. მაგრამ ვგონებთ ზევით ნათქვამიდანაც საკმარისად სჩანს ყოველივე ეს.

ეხლა ორიოდე სიტყვა კანონთა შესრულებისა და ცხოვრებაში გატარების შესახებ. ამაზე ვიტყვით ამხანაგებო, რომ არსად მთელ მსოფლიოში არ სრულდება კანონი ისე უცვლელად, როგორც აქ, საბჭოთა წყობილებაში. ვაი იმას ვინც შეეცდება კანონის შეცვლას ან მის დამახინჯებას, ამ შემთხვევაში საბჭოთა ხელისუფლება მეტად სასტიკი და დაუნდობელია.

ჩვენ მანდ მოღალატეებსა და გამყიდველებს გვეძახის ჟორდანია-რამიშვილის კომპანია, მაგრამ ამ მხრივ ჩვენ მათ დავამშვიდებთ და ვეტყვით: დიახ, ჭეშმარიტად მოღალატენი ვართ იმ ხალხის, რომელიც მტრულად განწყობილია საბჭოთა საქართველოს მიმართ, მოღალატე ვართ იმათი, ვინც მოაწყო აგვისტოს დღეების საშინელი ავანტიურა და რომელნიც დღესაც იმას ცდაში არიან, რომ კვლავ გაიმეორონ და თავს დაატეხონ ქართველ ხალხს უსაშინელესი უბედურება. დღეს ჩვენ ვსდგევართ საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების მეგობართა და დამცველთა რიგებში, ვართ იმ ხელისუფლებასთან, რომლის ძლევამოსილ სამედო ხელშიაც იჭედება თავისუფალი სოციალისტური საქართველო.

აი სით მოუწოდებთ დღეს ყველა ჩვენ გულწრფელ და პატიოსან მუშებს, რომლებიც ემიგრაციაში ცხოვრობენ.

1) **სულაქველიძე**
2) **გ. ალიხანაშვილი**
3) **ნ. სხულუხია**
4) **თ. დემეტრაშვილი**
5) **მ. ვეკუა**
6) **გ. [illegible]შვილი**

თბილისი, 30 იანვარი 1926 წ.

პარტიული ცხოვრება

თემის საბჭოების ხელმძღვანელობა ფრაქციის საშუალებით

სწორი პარტიული ხელმძღვანელობის გაწევა სოფლის საბჭოებისთვის ერთ მწვავე საკითხთაგანს წარმოადგენს.

ბევრ სოფლის უჯრედისათვის და თემკომისათვისაც ეს საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია. ზოგიერთს ხელმძღვანელობის საკითხი ისე ესმის, თითქოს უჯრედი ან თემკომი პირდაპირ უნდა ჩაერიოს საბჭოს საქმიანობაში, უბრძანოს ამა თუ იმ საქმის გაკეთება, მაგალითად, მოქალაქისთვის ხმის წართმევა თუ დაჯარიმება და სხ. ერთი სიტყვით, უჯრედმა გაუგზავნოს განკარგულება, საბჭომ და მისმა აღმასკომმა კი ეს განკარგულება შეასრულონ.

ხელმძღვანელობის ასეთი გაგება რასაკვირველია არაა სწორი. ასეთი ხელმძღვანელობით, ცხადია, ჩვენ ვასუსტებთ საბჭოს საქმიანობას, სიცოცხლეს ვუკლავთ, ვართმევთ ყოველგვარ ხალისს მუშაობისას, ვუკარგავთ ინიციატივას; საბჭო იფიტება. ასეთ შემთხვევაში საბჭოს ავტორიტეტი ეცემა, მას შორდებიან უპარტიო გლეხები. ეს ძირიან-ფესვიანად ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიის ხაზს სოფლად მუშაობის საქმეში.

არის კიდევ მეორე გადახრა, რომელიც მოწმობს, რომ ბევრ სოფლის უჯრედებს არა სწორათ ესმით პარტიის ხაზი. როდესაც ჩვენი უმაღლესი პარტიული ორგანოები იძლევიან დირექტივებს, რომ დაცულ იქნას ფართო დემოკრატია არჩევნებში, რომ საბჭოების მუშაობაში არ ჩაერიონ უშუალოთ და სხ.—უჯრედებს და თემკომებს გონიათ, თითქოს საჭირო არ იყვეს, რომ უჯრედმა და თემკომმა თვალყური ადევნოს საბჭოს საერთო მუშაობას, მისცეს დირექტივები, მიუთითოს ამა თუ იმ ნაკლზე და სხ. თემის საბჭო თავის ნებაზეა მიშვებული, მას მოქმედებას არავინ ყურადღებას არ აქცევს, და სრულად რჩება პარტიული ხელმძღვანელობის გარეშე. ასეთ შემთხვევებში გასაკვირი არაა, თუ საბჭოებს არასასურველი ელემენტები დაეპატრონებიან და ისინი თავის პირდაპირ გზას აშორდებიან.

როგორც პირველი შემთხვევა, ისე მეორე არ შეეფერება ჩვენი პარტიის ხაზს ხელმძღვანელობის საქმეში, და ამიტომ ხელმძღვანელობის ასეთ გაგებას უნდა შევებრძოლოთ. მით უმეტეს, რომ მხოლოდ სწორი ხელმძღვანელობის გაწევას სოფლის საბჭოების მიმართ შეუძლია საბჭოების გამოცოცხლება, მუშაობის გაჯანსაღება და ამ მუშაობაში უპარტიო გლეხების ჩაბმა.

სწორი ხელმძღვანელობა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ კომუჯრედები და თემკომები ყველა თემის საბჭოებთან ჩამოაყალიბებენ კომფრაქციებს. ამ ფრაქციებისა და საბჭოებსა და აღმასკომებში მომუშავე პარტიულების საშუალებით უნდა გაუწიონ ხელმძღვანელობა უჯრედებმა და თემკომებმა თემის საბჭოებს. კომფრაქციის საშუალებით უნდა ადევნოს თემკომმა და უჯრედმა ყურადღება თემსაბჭოს მუშაობას, კომფრაქციის საშუალებით უნდა გაატაროს პარტიის ხაზი საბჭოს საქმიანობაში, კომფრაქციის საშუალებით გამოასწოროს საბჭოს მუშაობის ნაკლულევანებები. კომფრაქციის სხდომაზე უნდა ირჩეოდეს ესა თუ ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც საბჭოს წინაშე სდგას გადასაჭრელათ. კომფრაქციის და ცალკე პარტიულების საშუალებით უნდა გაატარონ თემკომებმა და უჯრედებმა საჭირო ღონისძიებები. ცხადია, ადგილი არ უნდა ექნეს, როგორც ზევით ვსთქვით, საბჭოს მუშაობაში პირდაპირ ჩარევას და ბრძანებლობას. მაგრამ ამავე დროს თემკომებმა და უჯრედებმა ხელი არ უნდა დაიბანონ და არ მიანებონ თავი საბჭოების მუშაობას, თვალყურის დევნებას, ხელმძღვანელობას. საბჭოებისადმი ხელმძღვანელობა საჭირო და აუცილებელია. მაგრამ ხელმძღვანელობა უნდა იქნეს სწორი—საბჭოს კომფრაქციებისა და საბჭოში მომუშავე პარტიულების საშუალებით.

პარტ-კადრის გაძლიერებისათვის

მე-14 ყრილობამ კომკავშირის საკითხში მთავარი ყურადღება მიაქცია კომკავშირში პარტ-კადრის გაძლიერების საკითხს, სწორი პარტიული ხელმძღვანელობის მიზნით.

კომკავშირში მომუშავე პარტამხანაგთა რიცხვი არ არის საკმარისი, და ამიტომ მთავარ ამოცანათ უნდა იქნეს დასახული პარტ-კადრის გაძლიერება კომკავშირში.

საჭიროა კომკავშირის ძველი აქტივის პარტიაში გადარიცხვა, რომლებიც ერთდროულად იმუშავებენ როგორც პარტიის უჯრედებში, ისე [illegible], ამით კი [illegible] მტკიცე კავშირს კომკავშირისა და პარტიის უჯრედებს შორის და მტკიცე საფუძველი დაედება პარტიის ხელმძღვანელობას კომკავშირისადმი.

ხშირათ ხდება, რომ კომკავშირის აქტივის გადარიცხვას პარტიაში ხელს უშლის უბრალო ტეხნიკური მხარეების შეუსრულებლობა, მაგ.: კომუჯრედში დამტკიცებული ანკეტები იმავე კომუჯრედში რჩება მთელი თვეობით. დრო კი მიდის, მუშაობა ფერხდება. ამას ყურადღება უნდა მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

პ. ჩიქოვანი.

„ზარია ვოსტოკა“-ს უჯრედის კრება

პარასკევს, 29 იანვარს, შესდგა „ზარია ვოსტოკას“ უჯრედის დახურული კრება. გაირჩა მე-14 პარტყრილობის რეზოლიუცია ცეკას ანგარიშის გამო. მომხსენებელმა შესძლო შინაარსის გადმოცემა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რეზოლიუცია ცეკას მოხსენების გამო იმდენათ საყურადღებოა, ეს რეზოლიუცია იმდენ მეტათ საყურადღებო საკითხებს ეხება, რომ საჭიროა ამ საკითხების ცალ-ცალკე შესწავლა და გაშუქება. მომხსენებელმა ვერ განმარტა სწორად თუ რა არის სახელმწიფო კაპიტალიზმი, ვერ გააშუქა, ყოველმხრივ თუ რისთვის სჭარბობს ჩვენს მრეწველობაში სოციალისტური ელემენტები. შემდეგ, დამოკიდებულობა გლეხობასთან, სოციალიზმის გამარჯვების საკითხი ერთ ქვეყანაში და სხვა—ყველა ეს საკითხები მოითხოვს ცალ-ცალკე დამუშავებას და გაშუქებას. ეს საკითხები ჩვენ პარტიულ ამხანაგებს ძლიერ აინტერესებს.

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები. ჩვენ გვგონია, რომ მომხსენებელმა შეკითხვებზე შემკითხველს პასუხი უნდა გასცეს, და არა საყვედურით გაბეროს—რატომ არ იცნობ ამ საკითხსო. ეს დააშინებს უჯრედის წევრებს და, შემდეგში კამათს კი არა, შეკითხვასაც არავინ მისცემს მომხსენებელს.

კრებამ დაადგინა ეთხოვოს რაიკომს—ნება დართოს ცალკე წრეების დაარსების და რეზოლიუციების ამ წრეებში შესწავლის.

იქაური.

ჩვენი პოლიტ-სკოლა

გასული წლის ოქტომბრის დასაწყისში მეოთხე რაიკომის აგიტპროპის ინიციატივით დაიწყო მეცადინეობა ნორმალური ტიპის პოლიტ-სკოლაში. პოლიტსკოლა მოთავსებულია ფოსტა-ტელეგრაფის კლუბში. პირველად მეცადინეობა სწარმოებდა კვირაში ერთხელ. მაგრამ ეს რამდენიმე ხანია მეცადინეობა სწარმოებს კვირაში ორჯერ. მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურად. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ამხანაგები არღვევენ საერთო წესს, სტოვებენ გაკვეთილებს ან იგვიანებენ. პირველად სკოლაში ითვლებოდა ორმოცი კაცი. მათგან დღემდი დარჩა 29 კაცი, რომელნიც სისტემატიურად დაიარებიან გაკვეთილებზე, და დაინტერესებულნი არიან სწავლით.

მსმენელი ქ.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვერდი

ვუშვებთ კედლის გაზეთს

(ზემოხეთის თემი, გურია)

ზემოხეთის ა. ლ. კ. კ. ორგანიზაცია 1921 წლიდან არსებობს. პირველად მუშაობა მოისუსტებდა, მაგრამ ახლა საქმე თანდათან უმჯობესდება. დღეს ამ ორგანიზაციაში ითვლება 7 უჯრედი 100 წევრით.

უჯრედების კრებები ხდება კვირაში ერთხელ შაბათობით. უჯრედი უშვებს ყოველკვირეულ კედლის გაზეთს, რომელსაც ხელმძღვანელობს უჯრედის მიერ გამოყოფილი სარედაქციო კოლეგია.

კინჩხებ-მთიელი.

სარედაქციო კოლეგიას სძინავს

(ზუგდიდი)

ზუგდიდის ა.ლ.კ.კ. ორგანიზაცია შარშან შესდგებოდა ექვსი უჯრედისაგან, მაგრამ არამც თუ ცალკე უჯრედი, არამედ ქალაქის ორგანიზაციაც ვერ უშვებს ერთ კედლის გაზეთს. გასული წლის ოქტომბერში ქალაქის ორგანიზაციამ აირჩია სარედაქციო კოლეგია, რომელსაც ყოველ კვირაში უნდა გამოეცა გაზეთი, მაგრამ ყოველკვირეულს ვინ სჩიოდა, სამ თვეში ერთი ნომერიც არ გამოვიდა. საჭიროა ეს საქმე გამოსწორდეს.

შოთა მესხი.

ეკონომიური ცხოვრება

შაქარი და ფართლეულობა ამიერ-კავკასიისათვის

შაქრის ტრესტმა ხელშეკრულება დასდო ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ კავშირთან, რომლის ძალით ამიერ-კავკასიამ მიმდინარე წლის პირველ სექტემბრამდე უნდა მიიღოს 500 ვაგონი შაქარი 5.740.860 მანეთის ღირებულების.

ა.-კ. კოოპერატიულმა კავშირმა ორი ხელშეკრულება დასდო აგრეთვე საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ამიერ-კავკასიის განყოფილებასთან, რომლის ძალით მიმდინარე წლის მარტამდე ამიერ-კავკასიაში შემოტანილი უნდა იქნეს 120 ვაგონი ფართლეულობა 4.400.000 მ. ღირებულებისა.

მანუფაქტურა განაწილებულია შემდეგნაირათ: აზერბეიჯანის კოოპერატიულ კავშირს—„აზერიტიფაკს" და ცეკავშირს შვიდნახევარი ვაგონი თვითეულს თვეში; სომხეთის კოოპერატიულ კავშირს—„აიკოოპს" სამნახევარი ვაგონი თვეში; აფხაზეთის კოოპერატიულ კავშირს—ერთი ვაგონი თვეში და სამხედრო სამომხ. კოოპერაციას ნახევარი ვაგონი თვეში.

შაქარი ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ კავშირთან შემდგარ თათბირის მიერ განაწილებულია შემდეგნაირათ:

„აზერიტიფაკს"—90 ვაგონი ნატეხი შაქარი და 22 ვაგონი ფხვნილი შაქარი; ბაქოს კოოპერატიულ კავშირს—40 ვაგონი ნატეხი და 23 ვაგონი ფხვნილი შაქარი; ცეკავშირს 24 ვაგონი ნატეხი და 25 ვაგონი ფხვნილი შაქარი; მუშკოოპს—23 ვაგონი ნატეხი და 37 ვაგონი ფხვნილი შაქარი; სამხედრო კოოპერატივს 6 ვაგონი ნატეხი და 17 ვაგონი ფხვნილი შაქარი; სომხეთის კოოპერატიულ კავშირს 73 ვაგონი ნატეხი და 4 ვაგონი ფხვნილი შაქარი.

მიმდინარე საოპერაციო წლის პირველი ორი თვის განმავლობაში საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ამიერ-კავკასიის განყოფილებამ ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირის განყოფილებებს ხელშეკრულების ძალით დაურიგა 1.020.516 მანეთის მანუფაქტურა.

შაქრის შემოტანას აწარმოებს შაქრის ტრესტის ადგილობრივი განყოფილება; ნოემბრის და დეკემბრის განმავლობაში გენერალური ხელშეკრულების ძალით შემოტანილია 1.005.970. მანეთის შაქარი.

მომავალში შეფერხება და დეფექტები საქონლის შემოტანა მიწოდებაში მოსალოდნელი არ არის.

ლითონის ბაზარზე

(თბილისის ბირჟის მასალების მიხედვით)

მთავარი ორგანიზაცია, რომელსაც შემოაქვს ამიერ-კავკასიაში ლითონი და ლითონის ნაწარმოები, არის ლითონის სინდიკატი და „ურალმეტი" (ურალის ლითონის მრეწველობის სამმართველო)

საქონლის შემოზიდვის გეგმის მიხედვით, „ურალმეტ"-ს ამიერ-კავკასიაში 1925—26 წლის განმავლობაში განზრახვა აქვს შემოიტანოს ორი მილიონი მანეთის ლითონი. აქედან 312.000 ფუთის რაოდენობით შემოტანილი იქნება სახურავი რკინა, 43.000 ფუთი ცინკგადაკრული რკინა, 21.500 ფუთამდე თეთრი თუნექი, 245.000 ფუთის რაოდენობით შემოტანილი იქნება სხვადასხვაგვარი ქურჭელი, ჩამოსხმული სპილენძი შემოტანილი იქნება 152.000 ფუთამდე, რელსები—11.200 ფუთამდე, ურალის ცელები—71.000 ცალი 65.900 [illegible] შემოტანილი იქნება სხვადასხვა ლითონი. ამის გარდა შემოტანილი იქნება ურალის მხარეში დამზადებული სხვადასხვა ხელსაწყოები — 12.000 მანეთის ღირებულებისა და საექსპორტო ემალიანი ქურჭელი და ხელსაწყოები—100.000 მანეთის ღირებულების.

ჯერ-ჯერობით „ურალმეტ"-ის მიერ შედგენილი გეგმა სრულდება სისწორით და პირველი კვარტალისათვის გათვალისწინებული ნორმა უკვე შესრულებულია.

რაც შეეხება ლითონის სინდიკატს, მას ამ.-კავკასიაში აქვს ორი განყოფილება: თბილისის—სომხეთისა და საქართველოსთვის და ბაქოსი—აზერბეიჯანისათვის.

თბილისის განყოფილების მოთხოვნილება ლითონის ნაწარმოებზე 1925—26 წლისათვის—2.038.070 მანეთის რაოდენობით ცენტრში დამტკიცებულ იქნა მხოლოდ 1.278,070 მანეთის რაოდენობით. აქედან მიღებულ იქნება 680,500 მ. წმინდა ლითონები, ხოლო 597.070 მანეთის ლითონის ნაწარმოები, მანქანების მოსაწყობ ნაწილებზე წარდგენილი იყო მოთხოვნილება 1.000.000 მან. რაოდენობით, რაც შემცირებული იქნა 700.000 მანეთამდე.

ბაქოს კანტორამ, თბილისთან შედარებით უფრო ნაკლები რაოდენობის საქონელი მიიღო გეგმის მიხედვით. ლითონის სინდიკატის გეგმით აზერბეიჯანში განზრახულია 150.000 ფუთი დახარისხებული რკინის და 40.000 ფუთი სახურავი რკინის შეზიდვა.

გარდა ზემოხსენებული საქონლისა, საქართველოში და სომხეთში განზრახულია 14.000 მანეთის სხვადასხვა რკინეულ საქონლის შემოზიდვა.

გეგმის გარეშე შემოტანილი იქნება სხვადასხვა მანქანები.

სამთო-მადნო მრეწველობა

მინერალური საღებავები

უკანასკნელ ხანებში სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო ქიმიური კომბინატის ხელში გადასულია მუხროვანის გლაუბერის მარილის ქარხანა და ყველა მინერალური საღებავების მადნები, ქუთაისში კომბინატს გადაეცა კირის ქარხანა, მასვე დაეკისრა ხელმძღვანელობა ბარიტის საფქვავი წისქვილის, რომელიც ქუთაისის აღმასკომისაგან იჯარით აქვთ აღებული კერძო პირებს. ეს უკანასკნელნი პირობით არიან შეკრული კომბინატთან. მომავალი წლიდან კომბინატს განზრახვა აქვს ააგოს ბარიტის საკუთარი საფქვავი წისქვილი. გარდა ამისა აღდგენილი იქნება ამას წინად დამწვარი წისქვილი სოფელ ჟონეთში, სადაც უხვად მოიპოვება ბარიტის მადნები, ჟონეთი ქუთაისიდან 18 ვერსით არის დაშორებული და შეერთებულია მასთან ოსეთის სამხედრო გზატკეცილით.

ამასთან ერთად კომბინატის მიერ გაგზავნილი სპეციალისტები აწარმოებენ მამაწმინდის რაიონის გამოკვლევას, სადაც აღმოჩენილ იქნა ბარიტის დიდძალი მარაგი.

ამ მოკლე ხანში დამთავრდება რიონზე გადასასვლელი ბორანის აგება, რომელიც შეაერთებს სოფელ ჟონეთს მამაწმინდასთან.

კომბინატის დავალებით ამჟამად სწარმოებს კვლევა-ძიება სურინჯის და ოხრის აღმოსაჩენად ქუთაისის და შორაპნის მაზრებში. გრძელდება აგრეთვე ოზოკერიტის კვლევა-ძიება, ეს უკანასკნელი მინერალი მცირე რაოდენობით აღმოჩენილ იქნა ქუთაისის მაზრაში მუხალის აგარაკზე, რომელიც რკინის გზის მახლობლად მდებარეობს.

სადგურ რიონის მახლობლად აღმოჩენილ იქნა აგრეთვე ინფუზორიტი, რომლის გამოკვლევასაც დადებითი შედეგი მოჰყვა.

1925 წლის განმავლობაში სამთო-ქიმიური კომბინატის მიერ დამზადებული და გატანილ იქნა ქუთაისის მაზრიდან 297.000 ფუთი ბარიტი, 10 ათასი ფუთი სურინჯი, და 20 ათასი ფუთი ოხრა.

მიმდინარე წლისათვის განზრახულია წარმოების ერთი-ორათ გადიდება.

სპირტის წარმოება

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სპირტის საწარმოო ტრესტის უწყებაში იმყოფება ერთი არაყის სახდელი ქარხანა გომში და თბილისის სამი სარექტიფიკაციო, ერთი საკონიაკო, თითო-თითო არაყის და ლუდის სახდელი ქარხნები.

გასული სამეურნეო წლის სპირტის ტრესტმა საწარმოო პროგრამა შეასრულა მხოლოდ 60 პროცენტით, პროგრამის შეუსრულებლობა გამოიწვია მკაცრმა ზამთარმა, რომლის გამო,—გახურებული მუშაობის დროს,—გზები დაიკეტა და შეუძლებელი გახდა ნედლი მასალის ჩამოტანა.

მიმდინარე 1925—26 სამეურნეო წელს—არაყის სახდელი ქარხანა სავსებით შეასრულებს პროგრამას. მუშაობის განახლებამდე მოხდა ქარხნის საფუძვლიანი შეკეთება და ხელახალი შეიარაღება.

ახლად შეძენილი და გადაკეთებული აპარატები ქარხანას საშუალებას აძლევენ ყოველ ფუთს სიმინდზე დაამზადონ 15 პროცენტით მეტი სპირტი, ვიდრე გასულ წელს, საერთოდ მიმდინარე წლის განზრახულია გომის არაყის სახდელ ქარხანაში დამზადდეს 4 მილიონი გრადუსი პურის სპირტი.

წელს სპირტის საწარმოო—ტრესტი საგრძნობლად აფართოებს თავის წარმოებას.

ბაზარზე გადიდებული მოთხოვნილების გამო დიდი რაოდენობით მზადდება ყურძნის სპირტი.

მეტი ყურადღება ექცევა აგრეთვე კონიაკის წარმოებას, რომლის პროდუქტებზე მოთხოვნილება შესამჩნევად გაიზარდა.

ტრესტი წელს შეუდგება ახალი საკონიაკო ქარხნის მოწყობას თბილისში, ამ ქარხანაში განსაკუთრებით დამზადდება კონიაკის სპირტი.

საგრძნობლად გაფართოვდა აგრეთვე მოთხოვნილება ლუდზე, რომელმაც დაიპყრო არა მარტო თბილისის, არამედ ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების ბაზარი. ამიტომ მიმდინარე წელს ლუდი დამზადებული იქნება სამჯერ მეტი, ვიდრე შარშან.

ტრესტს თავის განყოფილებები აქვს ბათომში, ქუთაისში, ბაქოში და მოსკოვში. ამ ორი თვის წინად განყოფილება გახსნილი იქნა აგრეთვე ტაშკენტში.

„საქართველოს მარგანეცი"

მანქანების მიღება

ჭიათურის შავიქვის კონცესიის სამმართველომ საზღვარგარეთიდან მიიღო 2.000 ფუთი სხვადასხვა მანქანების ნაწილები, რომლებიც მოხმარდება შავიქვის ქარხნების გაუმჯობესებას; მიღებულია აგრეთვე რამოდენიმე ასეული კომპლექტი სპეცტანისამოსი მუშებისათვის.

შავიქვის მარაგი

ჭიათურის შავიქვის მაღაროების საქციო საზოგადოება „საქართველოს მარგანეცზე" გადაცემის გამო, აუცილებელი ხდება შავიქვის მარაგის სისწორით გამორკვევა.

წინანდელი გამოკვლევები არ შეიძლება სწორათ ჩაითვალოს, რადგან სხვადასხვა ციფრებს იძლევიან.

ამ ჟამად დაწყებულია მადნის მარაგის ახალი გამოკვლევა; ჯერჯერობით გამოკვლეულად შეიძლება ჩაითვალოს სამკუთხედი, რომლის საფუძველი მდებარეობს რგანი—პერევისის ხაზზე, სიგრძე კი მიდის მ. [illegible] თ სივრცე უდრის 44 კვადრატიულ ვერს და იქ შავიქვის მარაგი შეადგენს 4 მილიარდ ფუთს.

არის რაიონები, რომელთა გამოკვლევა სულ არ მომხდარა; ასეთ რაიონებს ეკუთვნის ჩხარი-სიმონეთი (ბროლის-ქედის მთა) და სადგურ აჯამეთის და სვერის რაიონი, რომელიც 8 ვერსის მანძილზე მდებარეობს რკინის გზის ხაზიდან.

ამას გარდა, გამოკვლეული არ არის პერევისის რაიონიც.

ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში

ღვინის სავაჭრო აპარატის კონცენტრაცია

ამ.-კავკ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა საკითხი ღვინის სავაჭრო აპარატის კონცენტრაციის შესახებ ამიერ-კავკასიაში და ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა ჯერ-ჯერობით ნაადრევათ სცნო.

მიზანშეწონილათ არის ცნობილი აპარატის კონცენტრაცია მხოლოდ ცალკე რესპუბლიკებში.

რესპუბლიკანურ საგეგმო კომისიებს წინადადება მიეცა ორი თვის განმავლობაში შეისწავლონ ღვინის დამზადების ტეხნიკის, გასაღების და თვითღირებულების გამორკვევის საკითხები და მასალები განსახილველად წარადგინონ ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში.

ძირითადი კაპიტალის გადიდება

უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ აუცილებლათ სცნო სააქციო საზ-ბა „ზაკუტილსირიო"-ს ძირითადი კაპიტალის გადიდება; ამ დადგენილების პრაქტიკული განხორციელება დაიწყება საზ-ბის 1924—25 წლის ბალანსის განხილვის შემდეგ.

აბრეშუმის თესლის გასაღება

ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა საიმპორტო ორგანიზაციებს აბრეშ. თესლის შემოტანა შეუთანხმონ მოსახლეობის რეალურ მოთხოვნილებას და ამასთანავე მხედველობაში მიიღონ ადგილობრივი თესლის დამზადების გაფართოების შესაძლებლობა.

ეკონომიურმა საბჭომ დაავალა ყველა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც აბრეშუმის პარკს ამზადებენ, რომ 1926 წლის 1-ლ აგვისტომდე გამოარკვიონ როგორც ადგილობრივ, ისე საზღვარგარეთიდან შემოსატან აბრეშუმის თესლის ის რაოდენობა, რომელიც მათ დასჭირდებათ.

გარდა ამისა, ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს სასწრაფოთ მოიწვიოს დაინტერესებული სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც სომხეთის სხვადასხვა რაიონებს შორის უნდა გაანაწილოს 33.000 კოლოფი აბრეშუმის თესლი.

ა.-კ. ფინსახკომში

საბიუჯეტო გეგმა მეორე კვარტალისათვის.

ამიერ-კავკასიის ფინსახკომმა შეადგინა საბიუჯეტო გეგმა მიმდინარე საბიუჯეტო წლის მეორე კვარტალისათვის; გეგმა შედგენილია 12 მილიონი მანეთის რაოდენობით.

გასავლის ცალკე მუხლებს შორის ეს თანხა განაწილებულია შემდეგნაირათ: სარეზერვო ფონდი—1.550.000 მანეთი, დახმარების ფონდი—2.750.000 მანეთი, დანარჩენი თანხა კი მოხმარდება გაერთიანებულ და გაუერთიანებელ უწყებების ხარჯების დაფარვას.

დახმარების ფონდი განაწილებულია შემდეგნაირათ: საგზაო მშენებლობას მოხმარდება 445.000 მანეთი (საქართველო—165.000 მან., აზერბეჯანი—180.000 და სომხეთი—100.000), სპეციალური დახმარება ზაკ. საბჭოს—250.000 მანეთი, პირველი და მეორე საფეხურის სკოლების მასწავლებელთათვის ჯამაგირების დასარიგებლად—1.280.000 მანეთი (აქედან უკვე მიეცა საქართველოს -306.000 მანეთი, აზერბეიჯანს—325.000 და სომხეთს—252.000 მანეთი) და წმინდა დახმარება ადგილობრივ ბიუჯეტს—775,000 მანეთი. ამ თანხიდან მიეცა: საქართველოს—300,000 მანეთი, აზერბეიჯანს—175,000 და სომხეთს—125,000 მანეთი.

სახელმწიფო გადასახადები

გასული წლის მეოთხე კვარტალის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში სახელმწიფო გადასახადები შემოვიდა 10,678.713 მანეთის რაოდენობით, რაც წინა კვარტალთან შედარებით მომატებას იძლევა 22,7 პროცენტით. 1923—24 საბიუჯეტო წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით სახელმწიფო გადასახადები მატებას იძლევა 16,1 პროცენტით.

შემოსავლის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს არაპირდაპირ გადასახადებს, რომელიც აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შემოვიდა 7,833,186 მანეთის რაოდენობით; მომატება უდრის 35,7 პროც.

მეორე ადგილი საგადასახადო შემოსავალში უჭირავს პირდაპირ გადასახადებს, რომელიც შემოვიდა 1.778,827 მანეთის რაოდენობით (საშემოსავლო გადასახადი 895.732—მან. სასარეწაო გადასახადი—733,225 მანეთი). აქ უნდა აღინიშნოს გადასახადის შემოსავლის მცირეოდენი შემცირება (3 პროცენტი) წინა კვარტალთან შედარებით.

საგადასახადო შემოსავალს ეკუთვნის აგრეთვე ბაჟი, რომელიც აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შემოვიდა 1.066.701 მანეთის რაოდენობით.

საბჭოთა აღმშენებლობა

გზების და ხიდების შეკეთება

სენაკის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებამ მთავარი ყურადღება მიაპყრო გზების და ხიდების შეკეთებას, რომელნიც უკანასკნელ ხანებში სრულიად უვარგისნი შეიქნენ.

საფუძვლიანად შეკეთებულ იქნა ყველა გზები ახალ-სენაკიდან ნოქალაქევამდე და სალხინოდან ვიდრე მარტვილამდე.

შეკეთებული იქნენ ხიდები მთავარ გზატკეცილებზე. ზუგდიდ — ორპირის გზატკეცილზე, 8 ხიდი; (14 საჟენი საერთო სიგრძით) სენაკ—ნოქალაქევის გზატკეცილზე—7 ხიდი; ნოქალაქევ — სალხინოს გზატკეცილზე 2 ხიდი, და მარტვილ—ნოქალაქევის გზატკეცილზე—5 ხიდი—სულ საფუძვლიანად შეკეთებულ იქნა 22 ხიდი.

გარდა ამისა გასულ წელსვე დამთავრდა დიდი ხიდის აგება ხორშის გზაზე (მდ. ცივაზე გადასასვლელად); დაწყებულია და მალე დამთავრდება ახალი ხიდის აგება მდ. აბაშაზე სოფელ საკატთან და მეორე ხიდის აგება სოფელ ბანძასთან იმავე მდინარეზე გადასასვლელად. უკვე დამთავრებულია ორ-საჟენიანი ხიდის შენება სოფელ ძანძორში.

ნიგვზის ხის მნიშვნელობა და მისი ექსპლოატაცია

ყველამ კარგათ იცის, თუ რას წარმოადგენს გლეხის ოჯახისათვის, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, ნიგოზი. ნიგოზს გლეხი აშენებს თავის ეზოში, და იჩენს ამ მცენარისადმი განსაკუთრებულ მზრუნველობას, რადგანაც ნიგოზი აძლევს გლეხს ორგვარ სარგებლობას: ოჯახში სახმარ ნაყოფს და ძვირფას მერქანს.

ნაყოფს ხმარობენ საჭმელში ერბოს მაგიერათ. ამასგარდა იგი იძლევა საუკეთესო ღირსების ზეთს.

ნიგვზის ხეებს შეხვდებით მთელ ამიერ-კავკასიაში. ნიგვზის ხე განსაკუთრებით კარგათ იზრდება და მეტ ნაყოფსაც იძლევა დაბალ და თბილ ადგილებში, როგორიცაა მაგალ., აფხაზეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი, ბათომის ოლქი და აღმოსავლეთ საქართველოში—მტკვრისა და ალაზნის ნაპირები.

ნიგვზის ხე იწყებს ნაყოფის ძლევას 8—10 წლიდან; კარგს მოსავალს კი იგი გვაძლევს დაახლოვებით 15—20 წლიდან ღრმა მოხუცებულობამდე და სცოცხლობს 200—300 წლამდე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნიგვზის მერქანი არ სნეულდება ღრმა მოხუცებულობაშიაც კი.

ნიგვზის ხეს შეუძლიან მოგვცეს საშვალოთ 3—6 ფუთამდე ნაყოფი. თუ მივიღებთ მხედველობაში ომამდე არსებულ ფასებს (1 ფ. ნიგვზის ნაყოფი ღირდა 1 მან. და 50 კაპ.—2 მანეთი), მაშინ ერთი ნიგვზის ხე მოგვცემს ყოველწლიურათ საშუალოთ 5—10 მანეთის ღირებულების ნაყოფს; ღრმა მოხუცებულობაში მოჭრის დროს კი—მერქანს 100—200 ფუთამდე, ღირებულს დაახლოვებით 50—100 მანეთამდე.

ნიგვზის ხის ფესვებს უკავია დაახლოვებით 100—120 კვ. საჟენი, ასე რომ ერთ დესეტინაზე დაეტევა 20—24 ძირამდე, რაც მოგვცემს 100—120 მანეთამდე საერთო წლიურ შემოსავალს.

აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ეძლევა ნიგვზის ხის კულტურას საქართველოში.

ნიგვზის ხის მერქანის ხმარებას დიდი ადგილი აქვს დათმობილი გლეხის მეურნეობაში. სხვათა შორის მას ხმარობენ ჰაეროპლანების სხვადასხვა ნაწილებისა და თოფების კონდახებისათვის.

აქედან ცხადია, თუ რა დიდ როლს თამაშობს ნიგვზის ხის კულტურა ჩვენი გლეხის ღარიბ და ჩამორჩენილ მეურნეობაში.

და აი, ჩვენი ქვეყნის ასეთ მნიშვნელოვან სიმდიდრეს, სამწუხაროთ ბოლო ეღება. ჯერ იყო და 1924 წლის მკაცრმა და უჩვეულო ზამთარმა მოსძრა და გაანახევრა ეს ძვირფასი მცენარე საქართველოში. შემდეგ რაც დარჩა, იმის მოსპობას გზაზე სდგას ადამიანის უმოწყალო ხელის გამო.

თუ შეწუხდებით და თვალს გადაავლებთ დასავლეთ საქართველოს რკინის გზის სადგურებს, ადვილათ შეამჩნევთ ნიგვზის ხეების მორებს, რომლებითაც უხვათაა მოფენილი სადგურის მიდამოები. ვინ არა სჭრის და არ ანადგურებს ამ ხეებს?! ამ მხრივ არ სძინავთ არც კერძო მოიჯარადეებს, არც სატყეო ტრესტს და მის „სპეცებს". ამაში მათ არ ჩამოუვარდებიან აგრეთვე ზოგიერთი მაზრაღმასკომებიც.

ყველამ კარგათ იცის ის გაჭირვება, რომელშიც გლეხი იმყოფება. აი ამ გაჭირვებულ გლეხების „ხელის ასაქარვებლათ და საშველათ", [illegible] მას ზემო-აღნიშნული „სპეცები" და „გულშემატკივარი ფოდრაჩიკები", რომლებიც ხშირად სხვადასხვა მახინაციების საშუალებით მშრალზე სტოვებენ ნიგვზის ხეების პატრონ გლეხებს. დიდი ფასების მიცემის იმედით აჭრევინებენ ხეებს და მერე ეს ხეები, უმეტეს შემთხვევებში, „იბრაკება" სადგურებზე საზღვარგარეთელ საექსპორტო ფირმების ნამდვილ სპეციალისტების მიერ. გლეხს აუარებელი „დაბრაკული" მერქანი უყრია უპატრონოთ სადგურებზე, რის ღირებულებაც მისთვის დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

თუ საჩქაროთ არ მიექცა სახელმწიფოს მიერ ჯეროვანი ყურადღება ამ მტაცებლურ „ექსპლოატაციას", დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ ახლო მომავალში საბოლოოთ განადგურდება ნიგვზის ხეები, გლეხს კი გამოეცლება ხელიდან მნიშვნელოვანი წყარო შემოსავლისა.

ამ კატასტროფის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მიღებულ იქნეს შემდეგი ზომები:

უნდა მოხდეს სტატისტიკური ცნობების შეკრება ნიგვზის ხეებისა მთელ საქართველოში.

გონიერი და გეგმიანი ექსპლოატაცია ამ ხეებისა სპეციალისტების სახელმწიფოებრივი კონტროლის ქვეშ (ვინაიდან ნიგვზის ხეების მერქანი წარმოადგენს საექსპორტო საგანს).

3. უნდა გამოიცეს პოპულიარული ბროშურები, ჩატარდეს სათანადო აგიტ პროპაგანდა გლეხების მასებში ადგილობრივი აგრონომებისა და სატყეო სპეცების შემწეობით.

4. უნდა დაარსდეს სატყეოებთან მცენარეების ძვირფას ჯიშთა დამცველი ნებაყოფილობითი საზოგადოებები.

ბ. ხურგულაძე.

საერთაშორისო მიმოხილვა

კონფლიქტს ბოლო ეღება

ალმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გარშემო ატეხილი კონფლიქტი საკმაოდ გაშუქდა ჩვენს გაზეთში. მაინც საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი ლიკვიდაცია დასასრულს უახლოვდება. ჩვენი ხელისუფლების ენერგიულმა ნაბიჯებმა, რომელთაც მხარი დაუჭირეს პეკინის მთავრობამ და მთელი ჩინეთის მშრომელმა მასამ, გასჭრეს. დაპატიმრებული ამხ. ივანოვი და სხვა საბჭოთა მოსამსახურეები განთავისუფლებულია. მყარდება წესრიგი რკინის გზაზე. მოძრაობა მასზე განახლდა. ჩან-ძო-ლინმა აგრეთვე გასცა განკარგულება აკრძალულ და დარბეულ პროფკავშირების წინანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ. მართალია, დღესაც აქვს ადგილი ნაწილობრივ რეპრესიებს საბჭოთა მოსამსახურეების მიმართ, მაგრამ ეს კონფლიქტის გამოხმაურებათ უნდა ჩაითვალოს და არა მის გაღრმავებად. მანჯურიის ადგილობრივ ხელისუფალთა ეს გაბოროტებული მოქმედება სულ მოკლე ხანში იქნება აღკვეთილი. უახლოეს დღეებში დაიწყება მოლაპარაკება ისეთი მტკიცე მდგომარეობის შესაქმნელად ხსენებულ გზაზე და საერთოდ შორეულ აღმოსავლეთში, როცა შეუძლებელი გახდება ასეთი ამბების განმეორება ჩან-ძო-ლინების და მათ ზურგს უკან მდგომ იმპერიალისტების მხრივ. მომავალი მოლაპარაკების საგანი იქნება აგრეთვე კონფლიქტში დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემა და დასჯა. რკინის გზისა და საბჭოთა მოქალაქეთადმი მიყენებულ ზარალის ანაზღაურება, დაუყოვნებლივი გაძევება რკინისგზიდან თეთრგვარდიელებისა, რომელნიც იქ კიდევ არიან დარჩენილნი და წყალს ამღვრევენ.

რეაქციის ახალი ტალღა

ჩან-ძო-ლინის პროვოკაციის მიზანს შეადგენდა ურთიერთობის გართულება საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის, ჩინეთის ხალხის თვალში საბჭოთა ხელისუფლების გამოყვანა იმპერიალისტურ პოლიტიკის გამტარებლად და თავისი თავის გასაღება მებრძოლად ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის... „საბჭოთა მთავრობის აგრესიულ ზრახვებისაგან". ასეთი უნდობლობის დათესვით ჩინეთის მასაში და ჩვენი მდგომარეობის შერყევით აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მას სურდა გაეადვილებია თავისი ძალაუფლების გავრცელება დანარჩენ ჩინეთზე. ამგვარად, მისი გამოსვლა მიმართული იყო თანაბრად როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ჩინეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ, რამდენადაც ამ მოძრაობის გამარჯვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს საბჭოთა კავშირის და ჩინეთის ხალხის მტკიცე მეგობრობა წარმოადგენს.

ეს განზრახვა სჩანს ჩან-ძო-ლინის და სხვა რეაქციონურ ჯგუფების უკანასკნელი მოქმედებიდან. გო-სუნ-ლინის დამარცხების შემდეგ განსაკუთრებით ძლიერდება რეაქციონური მოძრაობა ჩინეთში. ჩან-ძო-ლინი და უ-პეი-ფუ შეთანხმებულად გამოდიან. ისინი ცდილობენ თავისი სამხედრო ძალები უშუალოდ დაუკავშირონ ერთმანეთს, რათა გაერთიანებულად გაილაშქრონ სახალხო არმიების წინააღმდეგ. ისინი უკვე აწარმოებენ ჯარების დაჯგუფებას, კერძოდ პეკინის მიმართულებით. სახალხო არმიების სტრატეგიული მდგომარეობა რამდენიმედ გაუარესდა გო-სუნ-ლინის განადგურებით. რეაქციის გაძლიერება ჩინეთში ამავე დროს ნიშნავს იმპერიალისტების პოზიციების განმტკიცებას. მუკდენში, ჩან-ძო-ლინის სამფლობელოში, სჭარბობს იაპონიის გავლენა, ხოლო ხან-კოუში, სადაც უ-პეი-ფუ მბრძანებლობს, გაბატონებულია ინგლისი, ორივეს გაყოფილი აქვთ ჩინეთი თავ-თავიანთი ეკონომიური ინტერესების მიხედვით.

ჩინეთის ხალხს მშვენიერად ესმის საფრთხე, რომელსაც უმზადებს მის განმანთავისუფლებელ ბრძოლას შინაურთ რეაქციის და, მაშასადამე უცხოეთის იმპერიალიზმის გაძლიერება და ამიტომ იგი ერთ მხრივ ახდენს თავის ძალების მობილიზაციას, რაც, სხვა შორის, დაგვანახვა გომინდანის ყრილობამ, მეორე მხრივ მოწადინებულია საბჭოთა კავშირთან მეგობრობის შენარჩუნება-განმტკიცების, ვინაიდან საბჭოთა კავშირი ერთად ერთი სახელმწიფოა, რომელიც მართლა იცავს მის უფლებებს და ინტერესებს. ჩვენდამი ჩინეთის ხალხის ასეთ თანაგრძნობის პირობებში უდავოა, რომ საბჭოთა ხელისუფლება საზღვარს დაუდებს ჩან-ძო-ლინის პროვოკაციულ გამოსვლებს ჩვენს წინააღმდეგ.

ამერიკის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან.

ამის გარანტიად უნდა ჩაითვალოს ინტერესთა წინააღმდეგობა ჩინეთში თვით იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის. ეს წინააღმდეგობა ამგვარად გამოჩნდა უკანასკნელ კონფლიქტშიც, როცა მათ ვერ მოახერხეს ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნა. კერძოთ აღსანიშნავია ამერიკის პოზიცია. მისმა პრესამ ჩვენდამი ლოიალობა გამოიჩინა, სამართლიანად ჩასთვალა საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნები და მის მიერ მიღებული ღონისძიებანი. ამერიკა ვერ შეურიგდება იაპონიის გაბატონებას ჩინეთში, კერძოთ მანჯურიაში, სადაც მსოფლიოში უმდიდრესი ქვა-ნახშირის მაღაროებია მოქცეული. ამერიკა კი ქვა-ნახშირის ჰეგემონია საერთაშორისო ბაზარზე და იგი ცდილობს ამ მხრივ იაპონიის მომავალ კონკურენციის მოსპობას.

ამერიკის პოზიცია კონფლიქტის დროს აიხსნება არა მარტო იაპონიის დაუძლურების მოსაზრებით, არამედ აგრეთვე იმ გარდატეხით, რომელიც ბოლო დროს ემჩნევა ამერიკას ჩვენთან დამოკიდებულების საკითხში. იგი ჩვენდამი დღეს ცხოველ ინტერესს იჩენს, რასაც საფუძვლათ უდევს ორივე მხარეს შორის ალებ-მიცემობის გაძლიერება ამერიკის საქმიანი წრეები რწმუნდებიან, რომ საბჭოთა კავშირი შეიძლება გახდეს უზარმაზარ ბაზრად მისი პროდუქციის და კაპიტალისათვის. თუ 1913 წ. ამერიკის იმპორტი რუსეთში შეადგენდა 79 მილიონ მანეთის საქონელს, 1925 წელში მან მიაღწია 208 მილიონს. და ეს მაშინ, როცა ჩვენი საგარეო ვაჭრობა ომის წინანდელ დონეს ჯერ კიდევ ჩამორჩება. ამაში აშკარავდება. ჯერ ერთი, ის ცვლილება, რომელიც მოხდა მსოფლიო ეკონომიკაში. ამერიკა შექმნა მსოფლიო სამრეწველო ცენტრი, ხოლო ევროპა დაქვეითდა; კერძოთ გერმანია, რომელიც უდიდეს როლს თამაშობდა ყ. რუსეთის მეურნეობაში, ის იყო საქონლის და კაპიტალის მთავარი მიმწოდებელი,—დღეს იმდენად განადგურებულია, რომ ოდნავადაც არ ძალუძს თავისი ძველი პოზიციების დაბრუნება. გერმანიის ადგილი შეუძლია დაიჭიროს ამერიკამ. გარდა ამისა, საბჭოთა ხელისუფლება უფართოეს მუშაობას აწარმოებს სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის განსავითარებლად, რაზედაც მეფის დროს ოცნებაც არ შეიძლებოდა. ამისათვის კი ჩვენ გვესაჭიროება უამრავი სასოფლო-სამეურნეო იარაღები და ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობა. ჩვენ ასეთებს, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ვიძენთ უმთავრესად ამერიკაში.

მაგრამ სააღებ-მიცემო ურთიერთობის გაშლას აფერხებს ამერიკის მიერ ჩვენი არცნობა და სავაჭრო ხელშეკრულების უქონლობა. ერთ-ერთი ამერიკული გაზეთი სწერდა ამას წინად: ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან გადიდდა, შემდეგი მისი ზრდა მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ურთიერთობას დავამყარებთ საბჭოთა კავშირთანაო. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საბჭოთა ნავთი გავიდა მსოფლიო ბაზარზე და სასტიკ კონკურენციას უწევს ამერიკის ნავთს. ამერიკის ნავთის მრეწველები აყენებენ წინადადებას შეთანხმების შესახებ ამერიკის სანავთო ტრესტებსა და საბჭოთა სანავთო მრეწველობას შორის, აგრეთვე მათ სურთ კონცესიების მიღება ჩვენს სანავთო წყაროებზე. ყველაფერი ეს ამერიკას, რომელიც ამ სამი-ოთხი წლის წინად არც კი „ამჩნევდა" საბჭოთა კავშირის არსებობას, ან უკანასკნელ წლებში შეურიგებლობას იჩენდა ჩვენდამი, აიძულებს ეძიოს საბჭოთა ხელისუფლებასთან შეთანხმების გზები. ცხადია, ჯერ კიდევ ძლიერია ანტისაბჭოთა ჯგუფები ამერიკაში, მაგრამ რაც დრო გადის, ჩვენთან ნორმალურ ურთიერთობის აღდგენის მომხრენი სულ უფრო იმარჯვებენ.

ევროპა-ამერიკის კოლონია.

ამ რიგად წინად გაურბოდა დამოკიდებულების გაბმას არა მარტო საბჭოთა კავშირთან, არამედ კაპიტალისტურ ევროპასთანაც. მსოფლიო ომის წყალობით გამდიდრებული ამერიკა, რომელმაც ევროპა ოქროსაგან დაცალა, ფიქრობდა თავის საზღვრებში მოქცევას. მაგრამ გამოირკვა, რომ ჩაიხრჩობოდა თავის ოქროს და პროდუქციის ზღვაში, თუ კვლავ არ გავიდოდა ევროპის ბაზარზე და იქ არ დააბანდებდა თავის კაპიტალს. მეორე მხრივ ამერიკას არ შეეძლო იმ თანხის განაღდება, რომელიც მან ასესხა ომის დროს ევროპის ქვეყნებს, თუ მათ არ დაეხმარებოდა დანგრეულ მეურნეობის აღდგენაში. ამიტომ, ამერიკამ ხელი აიღო ევროპის საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკაზე. შედეგად მივიღეთ დაუესის გეგმა. გარდა ამისა, ამერიკა თუმცა ფორმალურად არ არის ერთა ლიგის წევრი, მაგრამ მის პოლიტიკის მიმართულებაზე მას გადამწყვეტი გავლენა აქვს. ამერიკის აქტიური მონაწილეობით განზრახულია აგრეთვე განიარაღების კონფერენციის მოწყობა. ამერიკა თანდათან ეუფლება ევროპის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებას.

ამის მაჩვენებელია ამერიკის სენატის მიერ ე. წ. საერთაშორისო ტრიბუნალში შეერთებულ შტატების შესვლის დამტკიცებაც, რომლის შესახებ ცნობა გუშინ გვქონდა გამოქვეყნებული. ესაა ევროპის საქმეებში ამერიკის მონაწილეობის ფორმალური ჩამოყალიბება. თუმცა სენატის რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ამერიკის შესვლას ხსენებულ ტრიბუნალში არ მოჰყვება იურიდიულ დამოკიდებულების დამყარება ამერიკასა და ერთა ლიგას შორის, მაგრამ ამ განცხადებას არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტიურად მოსალოდნელია, რომ ტრიბუნალს დაექვემდებარება ერთა ლიგა თავის პოლიტიკით.

ამერიკა მოითხოვს განსაკუთრებულ უფლებებს ტრიბუნალში: უკანასკნელმა არ უნდა განიხილოს ამერიკის თანხმობის გარეშე არცერთი საკითხი, რომელიც, ამერიკის აზრით, მას ინტერესებს ეხება. ამერიკას შეუძლია ასეთად მიიჩნიოს ყველა ის საკითხი, რომლებიც ეხებიან ევროპის და აზიის, საერთოდ მთელი მსოფლიოს ურთიერთობის მოწესრიგებას. შეთანხმება საერთაშორისო ტრიბუნალზე არ შეიძლება შეცვლილ იქნას, თუ ამაზე დასტურს არ მისცემს ამერიკა ვკითხულობთ კიდევ სენატის დადგენილებაში. ყველაფერი ეს მოწმობს რომ ამერიკა ორივე ხელით ებღაუჭება ევროპას და, მაშასადამე, მისგან დამოკიდებულ ქვეყნებსაც; იგი ცდილობს ევროპა თავის კოლონიად აქციოს და ამასთან ბოლო მოუღოს ამერიკის გავლენისაგან განთავისუფლების ცდას, რომელსაც ბოლო დროს ადგილი აქვს ევროპაში.

ს.-დემოკრატების მორიგი გამცემლობა.

რა თქმა უნდა, ეს არაფერ სახეიროს არ უქადის ევროპას. ჩვენ უკვე ვიცით ამერიკის მიერ ევროპის დამონების შედეგები. ყველას თვალწინ გვაქვს დაუესის გეგმის ნაყოფი, გერმანიის სრული სამეურნეო განადგურება. ლოკარნოც ამერიკის პირმში შვილია. მან კი ლახვარი ჩასცა გერმანიის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ლიუტერის მთავრობის კრიზისი, მისი ბედი პირდაპირ ბეწვზე ეკიდა. თითქო სოციალ-დემოკრატებიც ილაშქრებდენ მის წინააღმდეგ, თუმცა ეს ულოღიკობა იყო მათი მხრით: დაუესის გეგმის და ლოკარნოს ხელშეკრულებას ყველაზე უფრო მედ არი დამცველი ისინი არიან. და ჩვენ ვხედავთ, რომ მათი ოპოზიცია ხანმოკლე და ფუყე გამოდგა.

ჰინდენბურგმა კარგად იცის მენშევიკების ოპოზიციის ღირებულება, მათი მტკივნი ადგილები. იგი დაემუქრა რეიხსტაგს დათხოვნით, თუ ლიუტერის კაბინეტს ნდობას არ გამოუცხადებდა. ეხლა მენშევიკებმა იკადრეს უკან დახევა და ჰინდენბურგ-ლიუტერის წინაშე წამოჩოქება, მათ შეეშინოთ ახალი არჩევნების. მენშევიკების სისტემატიურმა მოღალატეობამ საფუძვლიანად შეარყია მათი ნდობა და გავლენა მასებში. ამიტომ ახალ არჩევნებიდან ისინი ძალზე დასუსტებული გამოვიდოდენ, სამაგიეროდ მათ წინანდელ მომხრეთა დიდი ნაწილი აუცილებლად კომუნისტებს მისცემდა ხმას. ასეთი პერსპექტივის წინაშე მათ რომ „ფორხალი" დაყარეს, ეს გასაკვირველი არ არის.

მენშევიკებმა თავი შეიკავეს მთავრობისადმი ნდობის გამოცხადების საკითხში და ამით უზრუნველჰყვეს მასთვის უმრავლესობა, თუნდაც უმნიშვნელო უმრავლესობა. ეს თავის შეკავება, ცხადია, მხარის დაჭერას უდრის. ამგვარად, სოციალ-დემოკრატები ერთხელ კიდევ გამოვიდენ ბურჟუაზიის მხსნელის როლში, უკანასკნელისათვის ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტში. მათი ოპოზიციონერობა, რომელიც მანევრს წარმოადგენდა მასებისათვის თვალის ასახვევად, გაჰქრა ჰინდენბურგის ერთი ხელის მოქნევისთანავე. ეს მორიგი მოღალატეობა ჩაიწერება მათ მატიანეში. კ. პარტია და რევოლიუციონური პროლეტარიატი მას სათანადოთ გამოიყენებს.

მაკდონალდების ალაგი

გერმანელ სოციალ-დემოკრატებს არსებითად არ ჩამორჩებიან მათი ინგლისელი თანამოძმენი, „მუშათა" პარტიის სახით. წაიკითხავდით ჩვენს გაზეთში მოთავსებულ ნაწყვეტს „დეილი ჰერალდ"-ის (ამ პარტიის ორგანო) მოწინავე წერილიდან, რომელიც ეხება ინგლის-იტალიის შორის ვალების მოწესრიგების საკითხს. —„სოციალისტურმა რუსეთმა უნდა მიბაძოს იტალიას და ინგლისს სავსებით უნდა გადაუხადოს ვალებიო,—აი რას ამბობს სიტყვა-სიტყვით ეს „სოციალისტური" გაზეთი. როგორც ეტყობა, მუშათა პარტია უკან იხევს იმ ხელშეკრულებიდანაც, რომელიც მაკდონალდის მთავრობამ დასდო ჩვენთან და კონსერვატორებმა მისი ჩამოგდების დღესვე გააუქმეს. „დეილი ჰერალდ"-ის ეს განცხადება მჭერმეტყველური ნიმუშია მუშათა პარტიის მემარჯვენე ჯგუფების სრული დაცემის. ამ ჯგუფების დახასიათებისათვის საგულისხმოა აგრეთვე გავიხსენოთ მათი დამოკიდებულება ლიბერალებთან.

ბევრს ლაპარაკობენ ორივე პარტიის მემარჯვენე ლიდერები მათი გაერთიანების საჭიროებაზე. ლოიდ-ჯორჯი და მაკდონალდი ამისათვის ნიადაგს სინჯავენ. სიმართლე რომ ითქვას, მათ შორის არავითარი სერიოზული განსხვავება არ არის და პრინციპიალურად ამ პარტიების გაერთიანება სავსებით შესაძლებელია. ბოლო დროს მაინც შეფერხდა ეს საქმე: ლიბერალურ პარტიის მემარჯვენე წრეებს კონსერვატორები ეპატიჟებიან და ისინიც მათკენ იხრებიან, მხოლოდ მაკდონალდის გამაერთიანებელი ცდა წააწყდა მუშათა პარტიის მემარცხენე ნაწილის ოპოზიციას. ეს ოპოზიცია თანდათან იზრდება. კერძოთ დამოუკიდებელი მუშათა პარტია ადგას არა ლიბერალებთან დაკავშირების, არამედ კომუნისტურ და მეორე ინტერნაციონალის შეთანხმების გზას. რაანაირი უტოპიურიც არ უნდა იყოს ასეთი სურვილი, ის მაინც მაჩვენებელია ამ პარტიის ერთგვარი მემარცხენე სულიერ განწყობილებისა, რომელიც ანარეკლია ინგლისის მუშათა კლასის გარევოლიუციონერების პროცესის. ეს პროცესი, ეჭვი არ არის, საბოლოოდ გარიყავს მაკდონალდებს და მათ თავის ადგილს მიუჩენს. მათი ადგილია ბურჟუაზიის ოჯახში და ისინიც მისკენ მიილტვიან.

მ. ტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშაბათს, ა-წ. 1 თებერვალს, საღამოს 6 საათ. მოწვეულია

თბილისის საბჭოს შემდეგი

სექციების მორიგი სხდომა

დღის წესრიგი:

1. კომუნალური (თბ. აღმასკომის დარბაზი).
    1) სექციის მუშაობის 3-თვიანი გეგმის განხილვა.
    2) ბიუროს გადარჩევა.
2. საფინანსო (საფინანსო განყოფილებაში).
    1) სექციის მუშაობის 3 თვიანი გეგმის განხილვა.
    2) მოხსენება გადასახადთა ქვეგანყოფილების მოქმედების შესახებ.
    3) ბიუროს გადარჩევა.
3. სახალხო განათლების (განათლების განყოფილებაში).
    1) მოხსენება გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების შესახებ
    2) მოხსენებები ადგილებიდან
4. სახალხო ჯანმრთელობის (ჯანმრთ. განყოფილებაში).
    1) სექციის მუშაობის 3 თვიანი გეგმის განხილვა
    2) მოხსენება ქალაქის და დამზღვევ სალაროს ამბულატორიითა შესახებ.
    3) მოხსენება დედათა და ბავშვთა დაცვის შესახებ.
5. სოფლად მეურნეობის და [illegible] (სადგილ-მამულო განყოფილებაში).
    მოხსენება მაზრაში სავეტერინარო დახმარების შესახებ.

თავის სექციების მიხედვით საბჭოს ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

1—1 6.697 პრეზიდიუმი.

ბახმაროს მიხედეთ

მშვენიერი ბახმარო, ეს იშვიათი ორიგინალური მთა, შემოსილი მწვანე ნაძვნარით 1.900 მეტრის სიმაღლიდან გადმოყურებს შავ ზღვას. ის თითქმის გარშემორტყმულია ყოველი მხრიდან მაღალი მწვერვალებით და დაცულია ქარისაგან. მისი ჰავა ზღვისა და მთის ჰაერის იშვიათი შეზავებაა. ასეთი სამკურნალო თვისება აკუთვნებს ბახმაროს მსოფლიო კურორტის მნიშვნელობას...

ბახმარო ჭლექითა და მალარიით შეპყრობილთა თავშესაფარია. ის სახალხო კურორტია—მუშა-გლეხების მიერ გაშენებული. იქ არ არის გამართული მთავართა ძეგლები და არც მათი სასახლეები. უკეთ რომ ვსთქვათ, მას არ აზის ნიკოლოზის თვითმპყრობელური ბეჭედი. სხვათაშორის ამითაც განსხვავდება ის აბასთუმან-ბაკურიანისაგან. განსხვავდება ისტორიულათ, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ბახმარო არ არის მეცნიერულად გამოკვლეული და არ აქვს ბორჯომისებური ბიულეტენები და რეკლამები. სხვა ენით რომ ვსთქვათ ბახმარო არ არის ქაღალდზე ცნობილი მსოფლიო კურორტი, მაგრამ სინამდვილეში ის თვითავათმყოფთა მიერ ნაპოვნი სამკურნალო ადგილია, რომელმაც 30 წლის განმავლობაში საკმაოდ გაითქვა სახელი თავისი არაჩვეულებრივი თვისებებით. თუ ბახმარო მოკლებულია, სარეკლამო წიგნაკებს, სამაგიეროდ ის შეჭრილია ჩვენი ღარიბი ხალხის ცხოვრებაში და უმწეო ავათმყოფები ათასობით ჰყავს გადარჩენილი სიკვდილისაგან.

1920 წელს ბახმაროზე ავიდა საკურორტო კომისია. 1922 წელს კი ბახმარო ინახულა სამეცნიერო ექსპედიციამ პროფ. ალადაშვილისა და გოგიტიძის მეთაურობით. ჩვენ ღრმად ციალურ ქაღალდებშიაც კი საერთაგვრწამს, რომ ბახმარო მოიპოვებს ოფიშორისო კურორტთა შორის საპატიო ადგილს.

30 წლის განმავლობაში ბახმარომ ნათლად დაამტკიცა, რომ „პირველ პერიოდის ტუბერკულიოზით შეპყრობილი ავათმყოფი თუ ბახმაროთი ორი-სამი სეზონით ისარგებლებს და ავადმყოფის სხეული ერთობ დასუსტებული არ არის კიდევ სხვა რაიმე ავადმყოფობით, უმეტეს შემთხვევაში კლინიკურად რჩება ბახმაროს ჰაერის გავლენით და სათანადო აქიმობით: ფილტვების მწვერვალების დაშუშება ხდება“.

თუ ასეთ სასწაულს ახდენს სრულიად მივიწყებული ბახმარო თავისი უბუბრო, ცივი ფიჭრულებით, რას იზამს მაშინ, როცა ის მეცნიერების უკანასკნელი წესით მოეწყობა.

მერე და ვინ უნდა მოაწყოს ის?

რასაკვირველია, მთავრობამ, ხალხის დახმარებით... სამკურნალო ადგილები სახელმწიფოს საკუთრებაა და მისი საზოგადო მნიშვნელობა იმდენად დიდია, რამდენადაც ძლიერია კურორტის სამკურნალო თვისებები და რამდენადაც გაადვილებულია მით სარგებლობა.

ბახმაროს არ აქვს გზა და ეს არის მისი უპირველესი უბედურება.

გურიის გლეხებმა, თერთმეტ თემში გასული წლის მიწურულში მიაქცია ამას ყურადღება და უკანასკნელი დადგენილებაც გამოიტანა, რომ მთავრობის პირველი მოწოდებისთანავე იკისრონ, ბახმაროზე მიმავალი გზის კეთებაზე მთელი რიგი სამუშაოების შესრულება. გზა უნდა გავიდეს ვაკიჯვირთ. მკვრივი ნიადაგის გამო ეს გზა დაზღვეული იქნება მოზღვავებისა და დალექვისაგან, ამიტომ ამ მიმართულებით გზის გაყვანა მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. ამ გზის გაყვანის შემდეგ შესაძლებელი გახდება დიდძალი ხე-ტყისა და მადნეულობის წესიერი ექსპლოატაციით, სახალხო, სახელმწიფოს სალაროს გაძლიერება, წარმოების აღორძინება. **ამ მხრივ ბახმაროს გზას უდიდესი სამრეწველო მნიშვნელობაც ექნება...**

რეაქციისაგან მრავალხელ განაწამები, ღარიბი გურია დღეს მოუთმენლად მოელის ამიერ-კავკასიის და საკავშირო მთავრობისაგან სათანადო ყურადღებას და ფინანსიურ დახმარებას ბახმაროს გზის გაყვანის საქმეში.

ბახმარო გურიის ხალხის მიერ აღმოჩენილი კურორტია და მისი მოწყობა საქართველოს საბჭოთა მთავრობას აქვს ნაკისრები. გურია ფიქრობს, რომ, როგორც სხვა საქმეს ისე ამასაც ხალხური ხელისუფლების ბეჭედი დაესმება. თუ მეფეებმა და მთავრებმა სხვა ცნობილ კურორტებში თავისთვის სალონები მოაწყვეს, ჩვენ გვრწამს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ბახმაროზე მუშათა სასახლეებსადა სანატორიუმებს ააგებს, ნამგლისა და ჩაქუჩის გერბს გამოაქანდაკებს.

ეს რწმენა ღვივის გურული ხალხის გულში.

გურია გიხმობთ! **ბახმაროს მიხედეთ!**

ლოგოს.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

დახმარება გლეხობას.

ოზურგეთი, 30 იანვ. ბიდისთავის საკრედიტო საზოგადოებამ გლეხებს შეღავათიან პირობებში მისცა სესხი, 9.160 მან., მუშა საქონლის და სუბტროპიკულ მცენარეულობათა შესაძენად, და აგრეთვე ვენახების განაყოფიერებლად.

კლდის ჩამოზვავება.

ჭიათურა, 30 იანვ. 27 იანვარს, დილის 5 საათზე სალიეთის სადგურსა და ბაქანს შორის ჭიათურის ხაზზე ჩამოინგრა კლდე, რომელმაც გააფუჭა რკ. გზის ხაზი, რის გამო მატარებლები შეჩერდენ 7 საათს.

კლდის დაშვების მიზეზია წყაროს მოქმედება, რომელმაც ძირი გამოუთხარა კლდეს. დიდი ზარალი არ არის. მატარებლების მოძრაობა აღდგენილია.

საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი“.

ჭიათურა, 30 იანვ. ლონდონიდან ჩამოვიდა მარგანეცის რეცხვის სპეციალისტი, რომელიც შეუდგა მრეცხავი ქარხნების და მათი მოწყობილობის დათვალიერებას.

საზოგადოება „საქართველოს მარგანეცის“ დაკვეთა.

ჭიათურა, 30 იანვ. სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს მარგანეცმა“ აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველოს თუჯის ჩამომსხმელ ქარხანას ბათომში შეუკვეთა 160 მაღაროს ტიპის ვაგონეტკა ჭიათურის შავიქვის მაღაროებისათვის.

ელექტრო-სადგური ზესტაფონში

ჭიათურა, 30 იანვ. შორაპნის სამაზრო კომუნალურ მეურნეობის სამმართველომ დაადგინა ააგოს ქ. ზესტაფონში ელექტრონის სადგური.

სადგურის აგება დავალებული აქვს სახელმწიფო ელექტრო-ტრესტს.

ჭიათურის მუშკოოპი

ჭიათურა, 30 იანვ. შორაპნის სამაზრო გლეხკომის მიერ დაარსებული კოოპერატივები სოფ. ლიჩსა, კვაციხსა, საჩხერესა, კორბოულსა და ჩხიროულში მთელი ქონებით და საქონლით გადაეცა ჭიათურის მუშკოოპს.

გლეხკომებში

ჭიათურა, 30 იანვ. ამ ბოლო ხანებში გლეხები მასიურად შედიან გლეხკომებში. უკანასკნელ 3 თვის განმავლობაში შორაპნის სამაზრო გლეხკომმა რეგისტრაციაში გაატარა 4,270 წევრი ღარიბი გლეხი.

გლეხკომების ყრილობა.

ახალციხე, 30 იანვ. 26—29 იანვარს ახალციხეში მოწვეულ იყო გლეხკომების ყრილობა, რომელსაც დაესწრო თემის გლეხკომების 40 დელეგატი. გლეხკომების მუშაობა უკანასკნელ დროს ენერგიულად მიმდინარეობს. გლეხკომების სალსარია — სოფ. ბგარის ტყის სახერხი ქარხნის შემოსავალი. საუკეთესოდ მოწყობილი რესტორანის შემოსავალი და აგრეთვე პროცენტული ანარიცხები. ახალციხეში არის გლეხის სახლი, რომელშიაც მოწყობილია უფასო საწოლები და უფასო კონსულტაცია ჩამოსულ გლეხებისათვის.

კომკავშირის სამაზრო კონფერენცია

ახალციხე, 30 იანვ. 27—28 იანვარს ახალციხეში მოწვეულ იქნა კომკავშირის სამაზრო კონფერენცია.

ტურბინა ახალციხის ჰიდრო-ელექტრო-სადგურისათვის

ახალციხე, 30 იანვ. ხარკოვიდან ახალციხის ელექტრო-სადგურისათვის მიღებულია მეორე ტურბინა, 75 ცხ. ძალიანი. ტურბინის დადგმის შემდეგ ახალციხის ტყის სახერხი ქარხანა გადაყვანილ იქნება ელექტრონის ენერგიაზე.

ახალციხის სატყეო კომიტეტის საქმე

ახალციხე, 30 იანვ. 1 თებერვალს აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესია გაარჩევს ყოფილ ახალციხის სატყეო კომიტეტის საქმეს. ამ საქმეზე გაფლანგვისათვის პასუხისგებაში მიცემულია რამდენიმე პასუხისმგებელი მუშაკი. ერთი ბრალდებულთაგანი— ნ. კუზნეცოვი—როგორც გამოირკვა, დენიკინის ყოფილი აგენტია.

წინასწარი საარჩევნო კამპანია

ახალციხე, 30 იანვ. წინასწარი საარჩევნო კამპანია დამთავრებულია ყველა თემებში. შედგენილია როგორც ამომრჩეველთა, ისე იმ პირთა სიები, რომელთაც არა აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

აჭარისტანი

საბჭოთა სავაჭრო ფლოტის ოპერაციები.

ბათომი, 30 იანვ. წარსულ წელს საბჭოთა სავაჭრო ფლოტის ბათომის სააგენტოს საქონლის საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციები წინა წელთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა.

საბინაო აღმშენებლობა

ბათომი, 30 იანვ. ბათომის ქალაქის აღმასკომმა საბინაო აღმშენებლობის განვითარებისათვის 12.000 მანეთი გადასდო.

საქონელი აჭარისტანისათვის.

ბათომი, 29 იანვარი. თებერვლის პირველ რიცხვებში აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველო ამიერ-კავკასიის ფედერაციიდან მიიღებს სილიკატის ნაწარმოების დიდ პარტიას.

„მუშკოოპი“ მოელის 1.000 წყვილ კალოშს,

ვენეროლოგიური პუნქტები.

ბათომი, 30 იან. აჭარისტანის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი შეუდგა მაზრებში 12 ვენეროლოგიური პუნქტის გახსნას, რისთვისაც გადადებულია 19.000 მანეთი.

სარძეო მეურნეობის ცენტრალურ კავშირში.

ბათომი, 30 იან. აჭარისტანის სარძეო მეურნეობის კავშირმა მიიღო ყუბანში შესყიდული 16 ძროხა, რომელნიც შეღავათიან პირობებში გადაეცემათ კავშირის ცალკე წევრებს.

საცდელი მინდვრების გაფართოება.

ბათომი, 30 იან. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი მიმდინარე წელს ფიქრობს აჭარისტანის საცდელი მინდვრების გაფართოებას. ხულოს და აჭარისტანის აგროპუნქტთან მოეწყობა 2 ახალი საცდელი მინდორი. სამუშაოსთვის წინასწარ გადადებულია 15.000 მან.

თამბაქოს დამზადება.

ბათომი, 30 იანვარი. ხულოს და ქედის მაზრებში დამზადებულ თამბაქოდან აჭარწარმოკავშირი გადასცემს აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველოს 7.000 ფუთ თამბაქოს ფაბრიკა „ვოსტოკ“-ში დასამუშავებლად.

მარცვლეულობა ოსმალეთში

ბათომი, 30 იანვარი. 15 დეკემბრიდან 15 იანვრამდე „ექსპორტხლებ“-ის ბათომის განყოფილებამ ოსმალეთში გაგზავნა 2.000 ფუთი სიმინდი და 1,500 ფ. ლობიო.

საექსპორტო ტყე.

ბათომი, 30 იან. აჭარისტანის ტყის სამმართველომ იანვრის განმავლობაში დამზადა და საზღვარგარეთ გაგზავნა 10 ვაგონი სატყეო მასალა, უმთავრესად კაკლის ხე, ურთხმელა და მსხალი.

წერილები

ყოჩაღ, „მასწავლებელო“!

(ს. ვანი, გურია)

არის მასწავლებელი და არის მასწავლებელიც. ზოგიერთები ასწავლიან მოზარდ თაობას (და დიდებსაც კი) წერა-კითხვას, სასკოლო საგნებს, ხელობას და სხვა. მათ მადლობის მეტი არაფერი ეთქმის. მაგრამ არის მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ლოთობას, ქეიფს, მუშტი-კრივს და სხვა ამგვარ სიყოჩაღეს.

ასეთი მასწავლებლებისაგან გამიჯვნის და გაკიცხვის მეტი არაფერი დაგვრჩენია. ისინი, ასე ვსთქვათ, არაოფიციალურად სჩადიან ამ საქმეებს. გასამრჯელოზე ლაპარაკი ხომ სიგიჟე იქნებოდა.

მაგრამ არიან მასწავლებლები, რომელნიც იმდენ ოინბაზობას იჩენენ, რომ ერთ ხელობასაც მისდევენ და მეორესაც. წიგნსაც ასწავლიან და ღვინოსაც, წერასაც და მუშტი-კრივსაც, და ყოველივე ამისათვის გასამრჯელოსაც ღებულობენ.

აიღეთ, მაგალითად, სოფელი ვანი გურიაში. აქაური მასწავლებლები არავითარ საზოგადოებრივ მუშაობას არ ეწევიან. სამაგიეროთ ღვინის სმა და ნარდის თამაში ჰკითხეთ მხოლოდ მათ. სწავლა ხელს არ უწყობს თუ რა? კამათლების წკიწკლებს, ერთი თვალის გადავლებით ცნობილობენ.

ამას წინედ ვანის მასწავლებელთა სამება: ზაქრო ჯაში, თამარა ღაშისა და მიხაკო ბოლქვაძე ჩვეულებისამებრ ესტუმრნენ „დროს მოსაკლავად“ გლეხ თ. ვადაჭკორიას. მასპინძელიც დატრიალდა, ხომ მოგეხსენებათ ქართული პურმარილი? მით უფრო, როცა ოჯახს ასეთი საპატიო სტუმრები ეწვევიან. ვანის გლეხების სიამაყე, მათი სიბნელისგან თვალთამხელი მასწავლებელი!

დაიწყეს ჭიქებიდან. ჭიქას ჭიქა მოჰყვა, ბოთლს ბოთლი და ჩვენი სამება ისე ლაზათიანად გამოითვრა, რომ ჭერი იატაკათ ეჩვენებოდათ და იატაკი ჭერათ. შემდეგ?.. შემდეგ ის, რაც ჩვეულებრივად მოსდევს ასეთ საქმეს. მუშტი-კრივი, დედ-მამის გინება, საწყალი მასპინძლის ვაი-ვაგლახით შეძენილ ჭურჭლეულობის ფრიალ-ფრიალი.

მიხაკო ზაქროზე გადადიოდა, თამარა კიდევ ცოლქმრული სოლიდარობით გატაცებული მიხაკოს უზილავდა გვერდებს. თავგამეტებით იბრძოდა მიხაკო მოკავშირე ჯაშების წინააღმდეგ. ბოლოს, სხვამ რომ არაფერმა უშველა, აილო სკამი და შიგ თავში უსწორა მოწინააღმდეგეებს. მაგრამ მიზანი არ გაუმართლდა.

გასროლილი სკამი ცხვირში მოხვდა იქვე მყოფ უდანაშაულო გლეხს და წითელი ოფლის ღვარი წამოადინა. ქალებმა მორთეს კივილი. მთელი კუთხე ფეხზე დადგა. ატეხილ ხმაურობაზე მოსულ გლეხებმა, რომ მასპინძლის სახლი არ დარბეულიყო, იმდენს ეცადენ, რომ მოჩხუბრები გარეთ გამოაფრთხეს. ატეხეთ აქ თავები ერთმანეთს.

მაგრამ ბრძოლის ასპარეზი უფრო გაიშალა. მოწინააღმდეგეები სუფთა ჰაერმა კიდევ უფრო წაახალისა და თავგამეტებით ეძგერენ ერთმანეთს. ბრძოლაში, როგორც ეს საზოგადოთ ხდება, ჩაერია გარეშე საზოგადოებაც. გაჩნდა ერთი ორომტრიალი...

ბოლოს რის ვაი-ვაგლახობით ჩხუბი დაცხრა. მაგრამ ომის მსხვერპლს არ იკითხავთ? ვის თავი აქვს გატეხილი, ვის ხელი დამტვრეული და ვინ კიდევ ისეა დაჟეჟილი, როგორც გალეწილი ღომის თაველი.

მოდი ნუ იტყვით ამის შემდეგ: „აფერუმ, ვანელო მასწავლებლებო!“

ხაფანგი.

უნდა მოწესრიგდეს

(წერილი ზუგ. მაზრიდან)

სოფლის აფთიაქებში უმეტეს შემთხვევაში მუშაობს მარტო ერთი კაცი (ფარმაცევტი), რომელიც ერთდაიმავე დროს არის აფთიაქის გამგე, ასისტენტი (წამლების დამამზადებელი), რეცეპტარი, მოლარე და მოანგარიშე. გარდა ამისა სოფლის აფთიაქებში არ არსებობს მუშაობისთვის განსაზღვრული საათები, და ამ ერთ კაცს უხდება აფთიაქში ყოფნა დღე და ღამე 24 საათის განმავლობაში; მართალია ამ ოცდაოთხი საათის განმავლობაში მუდამ არ [illegible] მუშაობა, მაგრამ ის იძულებულია მაინც იდარაჯოს აფთიაქში; თუ შემთხვევით ავადმყოფობის, ან სხვა საპატიო მიზეზის გამო აფთიაქი დაიკეტა ერთი ან ნახევარი დღით, მაშინ ათასნაირ უკმაყოფილებას და გაუგებრობას აქვს ადგილი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სოფლის აფთიაქისთვის არ არის განსაზღვრული დრო, თუ როდის ან რომელ საათზე უნდა იყვეს ის გაღებული და დაკეტილი.

ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ სოფლად მოსახლე გლეხობის ინტერესები, რათა მათ მიეცეს ნორმალურ მუშაობის პირობებში დამზადებული მაღალი ხარისხის წამლეულობა; ეს კი შესაძლებელია შემდეგ პირობებში:

აუცილებლათ განსაზღვრულ უნდა იქნას სოფლის აფთიაქებში მუშაობა. თუ პატარა რაიონის აფთიაქია და ერთი ფარმაცევტი მუშაობს, სამუშაო დრო ექვსი საათით უნდა განისაზღვროს, თუ საშუალო რაიონის აფთიაქია ორი ფარმაცევტით (ერთი გამგე და ერთი მისი თანაშემწე) რვა საათით.

განსაკუთრებული ხასიათის უეცარი შემთხვევებში ავადმყოფს, რასაკვირველია, უნდა აღმოეჩინოს წამლობითი დახმარება აფთიაქის დაკეტვის შემდეგ, მხოლოდ ეს შემთხვევები გარკვეულად უნდა იყოს ჩამოთვლილი, რომ გაუგებრობას არ ექნეს ადგილი.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ დაინტერესებული ორგანოები ამ საქმეში როგორიც არიან ჯანმრთელობის და შრომის კომისარიატები მედსანშრომის კავშირთან ერთად, მიაქცევენ ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას, და დაუყონებლივ შეუდგებიან მის მოწესრიგებას.

გ. ჩიხლაძე.

კუთხური კინკლაობა საქმეს აფერხებს

(ნიგოითის თ., გურია)

რამდენიმე წლის წინად ამ თემში მოსახლეობის თხოვნით გადმოგზავნილ იქნა საწისქვილე მოტორი, რომელიც შეიცავს 15 ცხენის ძალას. ვინაიდან ჩვენში მდინარეები ცოტაა და გლეხს უხდება სიმინდის დასაფქვავად 10—12 ვერსზე წასვლა, მოტორიან წისქვილის მოწყობას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა. მაგრამ, სამწუხაროთ, მისი ამუშავება ვერ მოხერხდა აგერ ექვსი წლის განმავლობაში.

ამ ორი თვის უკან იმსჯელა მის ამუშავებაზე ნიგოითის სათემო საბჭომ და გადასწყვიტა, რომ აემუშავებია, მაგრამ ამას სჭირდებოდა დიდი თანხა. რადგან თემს ფული არ გააჩნდა წისქვილის მოწყობა მისცეს იჯარით გასაკეთებლათ ერთ ინჟინერს შემდეგ პირობებში: 8 წლის განმავლობაში უნდა აამუშაოს, როგორც მოტორი, ისე მოტორთან ერთად ხერხის მანქანა და ამ ხნის განმავლობაში მან წლიურ შემოსავლიდან პროცენტები უნდა აძლიოს თემს.

საწისქვილე მიწა უნდა მისცეს აღმასკომმა თემის შუა ადგილზე. მაგრამ აქ იჩინა თავი საზოგადო სენმა, კუთხურ გაწევ-გამოწევამ. თემი გაიყო ორათ და ყველას თავისკენ უნდა გადიზიდოს წისქვილი.

ვინაიდან ეს საქმე დღესაც კიდევ გაურკვეველია, საჭიროა ოზურგეთის აღმასკომმა გამოგზავნოს განსაკუთრებული კომისია, რომელიც განიხილავს ამ საქმეს.

წითელი სხივი.

ესეც შეჯიბრება!

(საჭამიასერი, გურია)

ამას წინათ საჭამიასერის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გამგემ ამ.-კავკ. სახკომფოსტელის განკარგულებით გამოაცხადა შეჯიბრება ფოსტის იჯარით გადაზიდვაზე საჭამიასერიდან სად. საჯევახომდე.

გადაზიდვა უნდა სწარმოებდეს კვირაში სამჯერ და მოიჯარადრეს უნდა ჰყავდეს ერთი უნაგირიანი ცხენი.

წინეთ ფოსტა გადაჰქონდა შეძლებულ ვაჭარს ვარდენ ზაქარეიშვილს 20 მანეთათ თვეში.

შეჯიბრებას დაესწრო აღმასკომის თავმჯდომარე და ფოსტის გამგე. ყოფილი მოიჯარადრე 40-მანეთიდან ჩამოვიდა 29 მანეთამდე. მაგრამ 25 მანეთზე დასთანხმდა მოქ. კალისტრატე მარშანია. მას ხელშეკრულება დაადებიეს და სამ მანეთიანი მარკაც დააკვრევინეს. შემდეგ ხელშეკრულება აღმასკომის ხელმოწერით გადაგზავნეს სადაც ჯერ იყო.

მარშანია შეუდგა დაკისრებულ მოვალეობის ასრულებას.

მაგრამ ბედი უკუღმა დატრიალდა. ვაჭარმა თავისი მელაკუდობა და ხერხიანობა არ მოაკლო და მიმართა ამ.-კავკ. სახკომფოსტელს თხოვნით, მე ვაწარმოებდი ფოსტის გადაზიდვას 4 წლის განმავლობაში და ეხლაც მევე უნდა დამრჩესო.

სახკომფოსტელმა შეიწყნარა ყოფილი მოიჯარადრეს თხოვნა და უპირატესობა მას მიანიჭა. დაღონებულმა მარშანიამ მიმართა ამ.-კავკ. სახკომფოსტელს დეპეშით: მე მსურს ფოსტის გადაზიდვა ვაწარმოვო 20 მან. მაგრამ პასუხად მიიღო, ყოფ. მოიჯარადრეს უნდა დარჩეს 25 მანეთად თვეშიო.

ამის შემდეგ რა აზრი აქვს შეჯიბრებას? მომავალში ვაჭარ ვარდენმა ისევ 40 მან., რომ მოითხოვოს, მოცილე არავინ ეყოლება.

მაგნეზია.

სახლის პატრონები [illegible]

(დ. წითელ-წყარო, სიღნ. მ.)

ბინის საკითხი დ. წითელ-წყაროში მწვავედ სდგას. თვითეული სახლის პატრონი პატარა ოთახებს სადაც თავვი კუდს ვერ მოიქნევს აფასებს 7—15 მანეთამდე თვეში. რა წყალში უნდა ჩავარდენ მოსამსახურენი, რომელთა ხელფასიც 30 მანეთს არ აღემატება?

ნუ თუ საბჭოთა ხელისუფლების კანონებს ბინის ქირის შესახებ დღემდის არ მიუღწევია წითელ-წყაროში? ეჭვი მეპარება: მოღწეული [illegible], მაგრამ მას სჭირია [illegible] გატარება.

ადგილობრივ ხელისუფლებას მართებს ამ საკითხს მიაქციოს სათანადო ყურადღება, თორემ თვითეულ მუშა-მოსამსახურე. მთელი თავის ჯამაგირი რომ სახლის პატრონს მისცეს, გაუმაძღარი სახლის პატრონები უარს არ იტყვიან.

ახალი სტუმარი.

იშვიათი შენობა

(დვაბზუს თ., გურია)

მესამე წელია, რაც ამ თემის ორმა სოფელმა, სულ სამასიოდე კომლმა, დაიწყო ცხემლისხიდის 7 წლედისათვის ქვის შენობის აგება.

ახალ შენობის სიდიადეს და სილამაზეს განცვიფრებაში მოჰყავს გამვლელ-გამომვლელი და ქება-დიდებით იხსენიებს ამ სოფლების დაუღალავ მუშაკთ, რომელთაც არ დაუზოგავთ ძალ-ღონე შენობის აგებისათვის. ამ საქმეს დიდათ შეუწყო ხელი, როგორც სამაზრო ხელისუფლების, ისე ცენტრალური მთავრობის მიერ აღმოჩენილმა დახმარებამ.

1924 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში აქ გავლილმა ამხ. ფილიპე მახარაძემ და სერგო ორჯონიკიძემ ამ საქმისთვის გადასდეს ორი ათასი მანეთი, რამაც დიდათ აღაფრთოვანა ჩვენი გლეხობა. სამაზრო აღმასკომმაც ოთხმოცი კასრი ცემენტი და შენობაზე საჭირო რკინები სრულიად უფასოთ დაუთმო ამ სკოლას.

აი, ამ დახმარებებისა და მოსახლეობის მიერ ამ საქმისთვის ყოველგვარ ძალღონის დაუზოგველობით შენობა, როგორც იქნა, დახურეს. სულ ამ საქმეს ორმოცდაათ ათას მანეთამდე მოუნდა, მაგრამ მის საბოლოოთ გამზადებას კიდევ ათი ათას მანეთზე მეტი დასჭირდება.

მართალია, მოსახლეობა მომავალშიაც ფხიზლად მოეკიდება საქმეს, არ დაიშურებს უკანასკნელ საშუალებას მაგრამ სახლის საკუთარი ძალით დამთავრებას მაინც ვერ შესძლებს და, რა თქმა უნდა, ამდენი ხნის მუშაობა ფუჭად ჩაივლის.

აუცილებლათ საჭიროა ამ სკოლის წევრებმა უკანასკნელად შემოიკრიბონ ძალღონე და საყვარელ საქმის დასამთავრებლად არ შეუშინდენ არავითარ სიძნელეს და დაბრკოლებას.

გ. ქილიფთარი.

წერილებიდან

ს. ცაცხვი (ზუგდ. მ.)

ღობეს ეჭიდავებიან. აქაური შარაგზები ისეა დაზიანებული, რომ პირუტყვებსაც უძნელდებათ მაიზე გავლა. მგზავრები კი უმთავრესად ღობის მესერებს ეჭიდავებიან, რომ ლაფში არ გადავარდენ. სამწუხაროთ ბევრ ადგილას ღობეები უკვე დაირღა, ასე რომ, მგზავრი ხშირად სარიანა ტალახში გადადის. აღმასკომო, გზები გეძახის.

შიო ქოთომი.

ს. მერევი (შორ. მ.)

— **„ყოჩაღ“ დარაჯები.** სოფ. მერევში არის ორთავდ-ერთი ტყე, რომელიც ჩამორთმეულია ყოფილ მემამულეს. ამ ტყეს, რომელსაც სახელათ ჰქვია კოჟორი, მიჩენილი ჰყავს დარაჯები, მაგრამ ისინი დარაჯობის ნაცვლათ თვით უწყობენ ხელს ტყის განადგურებას. საჭიროა ადგილობრივ ხელისუფლებამ მიაქციოს ამ მდგომარეობას ყურადღება.

ბიქტორ ასანიძე.

ს. ინაშაური (ქუთ. მ.)

— **ორნი არიან, ტოლნი არიან.** ჩვენს სკოლაში არის მასწავლებელი ხარაბაძე და ი. დადუნაშვილი. პირველმა ძალიან გაიფაფა ხელი მოწაფეების ცემა-ტყეპაზე, მეორეს ჩამოაქვს ქუთაისიდან მელანი და სხვა სასწავლო ხელსაწყო, რომელსაც ჰყიდის მოწაფეებზე და სარგებელს ჯიბისაკენ უყურებს. განათლების განყოფილების ცოცხი აკლია ამ სკოლას.

ლანდიში.

სეფიეთის თ. (სენ. მ.)

— **ღვდლებმა კუჭი გაიძღეს.** ამ ბოლო ხანს ჩვენს თემში მეტად გახშირდა სიკვდილის შემთხვევები. უმთავრესად კვდებიან ახალგაზრდები, თემს ექიმი არ ჰყავს, სამკურნალო დახმარებას გლეხები მოკლებულნი არიან. სამაგიეროთ მოგებულია ღვდლები, რომელნიც ერთი ქელეხიდან მეორეზე დაიარებიან.

მ. მოჩხუბარიძე.

დ. ლაილაში (ლეჩხუმი)

მაზრაში ექვსი დაბაში არც ერთი. ჩვენი საექიმო უბანი ემსახურება სამ თემს. დაბაც თავისთავად მრავალრიცხოვანია. და ასეთ რაიონში უკვე ერთი წელიწადი იქნება, ექიმი არ არის დანიშნული. ეს იმ დროს, როცა მაზრაში ექვსი სხვადასხვა სპეციალობის ექიმია. რას იტყვის ამაზე ჯანმრთელობის ინსპექტორი?

ს. ა.

ჩვენც აღვნიშნეთ 1905 წელი.

(ლეხაური თ., გურია).

ამასწინათ, კვირა დღეს, თემის საბჭოსა და უპარტიო გლეხების თან-დასწრებით აქ ჩატარდა 1905 წლის ოცი წლის თავის საზეიმო სხდომა, სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელმა ამხ. კოწია გურგენიძემ საუბრის სახით, ხალხის გასაგებ ენაზე ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა. შემდეგ ადგილობრივი კომუჯრედისა და ყოფილ მენშევიკთა და უპარტიო სამაზრო საინიციატივო ბიუროს დავალებით მოხუცმა რევოლუციონერმა ამხ. რ. კონტრიძემ, რომელსაც თან მოხუცებულობის და თან წარსულ მწარე განცდების მოგონებით ხელები უკანკალებდა და ენა ებმებოდა. იყო მრავალი შეკითხვები. კრებამ გლეხებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ჩაქუჩი.

ს. ქვედა-აკეთი (გურია)

სახარაზო საკარტათ გადაიქცა. აქაური მცხოვრები ვარლამ ღლონტი ერთ დროს ხარაზობდა. მას პატიოსან შრომამ თავი მოაბეზრა და შეუდგა მსუბუქ ხელობას. შეიძინა კარტ-ნარდი და დილიდან საღამომდე სახარაზოში დაუსრულებელი თამაშობაა. არის ლანძღვა-გინება და აურზაური. სახარაზო ქუჩის პირათაა, სადაც უხდება გავლა მოსწავლე ახალგაზრდობას. თემაღმასკომმა უნდა მიიღოს ზომები გარყვნილების ბუდის დასაშლელად.

პრობი.

ს. ზანათი (სენ. მ.)

დიდი მიღწევა. ბევრი იწერებოდა ჟურნალ-გაზეთებში მდ. აბაშაზე ხიდის გაკეთების შესახებ. წყალი ჰყოფდა ჩვენს თემს ორ ნაწილად და ავდრიან დღეში გაღმა ზანათი მოწყვეტილი იყო სკოლას, საექიმო პუნქტს, აფთიაქს და სხვას. ეხლა მაზრის დახმარებით და ადგილობრივი ღონისძიებით გაკეთებულ იქნა საუცხოვო ხიდი, რომლის გახსნაც ზანათელ გლეხებმა დიდი ზეიმით იდღესასწაულეს.

მგზავრი.

ს. ურთა (ზუგ. მ.)

— **გამშველებელმა წაგო.** აქ ახალი წელიწადი ძველი სტილით იდღესასწაულეს. იყო ერთი ქეიფობა და აყალმაყალი, რასაც მოჰყვა მისი მუდმივი თანამგზავრი ცემა-ტყეპა და სისხლის ღვრა. არ დაინდვეს ერთმანეთი ძმებმა ქირიებმაც. გაიმართა მათ შორის ხანჯლებით ბრძოლა. მოჩხუბრები მსუბუქად დაიჭრა, ხოლო გამშველებელი სასიკვდილოთაა დაშავებული. როდის ისწავლის ჭკუას ასეთი ვაჟბატონები?

ლიმი.

ს. თერჯოლა (შორ. მ.)

— **ვიყინებით სიცივეში.** არც ერთი სკოლა ჩვენს თემში არ არის შეშით უზრუნველყოფილი. ზამთარი კი მძვინვარებს. მოწაფეები და მასწავლებლები სიცივით კანკალებენ. მაზრის მოწერილობის თანახმად თემაღმასკომს უნდა დაეკმაყოფილებია სკოლები ადგილობრივ მნიშვნელობის სატყეო ტყეებიდან. მაგრამ მოწერილობა მოწერილობათვე დარჩა.

ვალ—ია.

თერჯოლის თ. (შორაპ. მ.)

ეს მუშაობა არაა. გვაქვს ქოხ-სამკითხველო, მაგრამ ის თემს ბევრათ არაფრათ არგია, რადგან გამგე დღეში სამი ოთხი საათით თუ გააღებს, თორემ დანარჩენ დროს კარებზე ბოქლომი ადევს. როცა ეკითხებიან გამგეს, რათ სჩადის ამას, ის უპასუხებს, რა ჯამაგირსაც ვღებულობ იმის შესაფერისად ვმუშაობო.

სიმართლე.

საგარეჯო (გარე-კახეთი)

მუყაითი მუშაკი. ყოველივე დაწესებულების მუშაობა დამოკიდებულია მისი მეთაურის და თანამშრომლების მუყაითობაზე. საგარეჯოს ფოსტა-ტელ. განყოფილების გამგე ამხ. ჯანგულაშვილი იშვიათი ერთგული მუშაკია. ხშირად თვითონ ასრულებს გაზეთების დამტარებლის როლს. განყოფილებასაც ჩვეულებრივზე უფრო ადრე აღებს და ამით საშუალებას აძლევს მოსახლეობას თავისუფლად ისარგებლოს ფოსტის სამსახურით.

გ. გარსიაშვილი.

სოფლის ქრონიკა

ქუთაისის მაზრაში არსებულ ინვალიდთა ნადები გაერთიანდენ ერთ ნადში, სახელწოდებით „დახმარება“.

თელავის აღმასკომმა დაადგინა რაიონულ მილიციის უფროსებმა დრო გამოშვებით ჩააბარონ ანგარიშები თემებში გლეხთა ყრილობებს.

— **წისქვილის ამუშავება.** ფოთის გლეხკომმა აამუშავა წისქვილი ე. წ. ნახუტურის უბანში.

დაჯილდოება. აჭარის ცაკმა დაადგინა ჩარიცხოს ქედის მაზრის საპატიო მოქალაქეებათ გრაკოვი და ნიმჩენკლოვი, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ქედის ხიდის აგებაში.

მოგონება ლენინზე

ჟენევა. 1908 წ. შემოდგომა. ვემიგრანტობ. ერთ მშვენიერ დღეს მალაქიამ მითხრა: წამოდი ლენინს გაგაცნობო. აღტაცებით დავეთანხმე, თუმცა ცოტა არ იყოს, მეშინოდა. ლენინის ნახვა იყო ჩემი დიდიხნის სურვილი, მას შემდეგ, როცა ასტრახანში პირველად წავიკითხე მისი ნაწარმოები მგონი „Что делать?“

ვნახულობ ლენინს მის სადა ბინაზე. უხერხულობას ვგრძნობ, თუმცა მალაქია ძალიან ცდილობს მომეხმაროს, ჯენტლმენურად მუსაიფის ძაფს აბამს, მარა საუბარმა (თუ შეიძლება საუბარი უწოდოთ კარგ კითხვებზე გლახა პასუხის მიცემას) მალე საქმიანი ხასიათი მიიღო. შემეკითხა მხოლოდ კავკასიის, თბილისის, მენშევიკ - ბოლშევიკების და, უმთავრესად, სპარსეთის რევოლიუციის შესახებ. რაც ვიცოდი გადავეცი, სახელდობ: ბაქოს და თბილისის ს. დ. ორგანიზაციების მიერ ყოველგვარი დახმარების გაწევა სათარხანისა და რევოლიუციური თავრიზისათვის გამოცდილ ხელმძღვანელებით, მებრძოლი ძალებით, იარაღით, ტეხნიკით, ფულით, მორალურად. დაუმატე, რომ ამ რევოლიუციაში წამებით (სარზე ჩამოცმით) დაიღუპა ბევრი გამოჩენილი ჩვენი რევოლიუციონერი. მალე შევატყვე: ძვირფასი მასპინძელი სცდილობდა ჩემგან მიეღო მაქსიმალური ინფორმაცია ამ ამბების შესახებ, მარა ვაგლახ, სანახევროდაც ვერ გავამართლე მისი იმედი, ვერ ჩავაბარე რიგიანად პირველი ეგზამენი დიდ ეგზამენატორს. ჩემდა სამწუხაროთ ის ამბები, რომლებიც ჩემი ცხვირის წინ ხდებოდა, ჩანდა, მან ჩემზე უფრო კარგად იცოდა, ზოგიერთ დეტალებს გარდა. ჩემდა საუბედუროდვე იმ კითხვაზე, რომელსაც კარგად ვიცნობდი და რომელზედაც, როგორც რუსები იტყვიან „ძაღლი შემიჭამია“: ქართველ მენშევიკებზე და მათ მეთაურ—ჟორდანიას წმინდა წყლის ლიკვიდატორობაზე, აღარ მომიხდა ლაპარაკი. ამ სფეროში უეჭველად ეგზამენს კარგად დავიჭერდი, მარა ბედმა მიმტყუნა. ჟორდანიას ლიკვიდატორობას, რომელმაც პლეხანოვიც კი ერთობ ააშფოთა და გააოცა, ალბად ლენინიც კარგად იცნობდა.

ნაწყენი და მხიარული დავბრუნდი უკან, ნაწყენი მალაქიაზე, რომელსაც უჩიოდი: რატომ არ გამაფრთხილე შენ ოჯახქორო, შეძლების და გვარად მაინც მოვემზადებოდი—მეთქი; მხიარული იმიტომ, რომ დიდ ადამიანს გავეცანი. რომლის ნახვას შემდეგში, მიუხედავად პირველი ნახვის მარცხით გათაიიბისა, უფრო და უფრო ვნატრობდი. მარა მალე ლენინი გადავიდა პარიზში.

პარიზი. 1912 წ. გაზაფხული. ბოლშევიკური ჯგუფის კრებას დავესწარი. ლენინი საინფორმაციო მოხსენებას აკეთებს რუსეთში ბოლშევიკური ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ. ეს იყო მენშევიკ-ლიკვიდატორებთან ბოლშევიკ - ლენინელების უაღრესად გამწვავებული შეხლა-შემოხლის და მათგან სრულიად გათიშვის ხანა. ამავე დროს ჩვენ ლენინელ-ბოლშევიკებს, დიდი დავა გვქონდა აგრეთვე „ვპერიოდოველებთანაც“, რომლებმაც მიუხედავათ პოლიტიკური პოზიციების წინააღმდეგობისა, ლიკვიდატორებთან ერთად შეადგინეს მთლიანი ფრონტი „დიკტატორ-უზურპატორ“ ლენინის და მისი ერთგული ჯგუფის წინააღმდეგ. ლენინის ემიგრანტული გვარდია პარიზში არ იყო მრავალრიცხოვანი, მარა იგი იყო მტკიცე, ვინაიდან მას ზელადობდა ადამიანი, რომელსაც სწამდა მომავალი. სხვათა შორის კრებაზე ლენინს შეეკითხენ სახელმწიფო დუმაში ბოლშევიკ-დეპუტატების მოღვაწეობის მნიშვნელობის შესახებ. მისი პასუხი, მოკლე და მკაფიო, ყოველგვარ პარლამენტში პროლეტარიატის რევოლიუციური დელეგაციის მუშაობის შესახებ, იყო შეუდარებელი და უდავო. კრებაზე ლენინს ეჭირა თავი უბრალოდ, სწორს სწორთა შორის. რაღაც გაზეთს ათვალიერებდა, მარა იმნაირათ რომ სხდომის არც ერთ მომენტს ყურადღებიდან არ უშვებდა. აქ მე მხოლოდ ლენინს ვუყურებდი და ვუსმენდი.

ამავე დღეებში ლენინი ვნახე მის ბინაზე. პირველად თბილად მიმიღო ამხ. ნ. კრუპსკაიამ [illegible] რევოლიუციური მოძრაობის კვლავ გაღვივების, და ბოლშევიკების ორგანიზ. ჩამოყალიბება - განმტკიცების შესახებ რუსეთში. მალე მომესალმა ლენინიც. სიტყვა ჩამოაგდო იმ ხანებში რუსეთის ბოლშევიკური კონფერენციის (1912 წ. აპრილი) ჩინებულად ჩატარების შესახებ, მიუხედავათ ყოველი ჯურის მენშევიკების და გზა დაბნეულ-მერყევი ბოლშევიკების სასტიკი წინააღმდეგობისა. უნდა გენახათ კბილთა ღრჭენა, წუწუნი და ისტერიკა მრავალრიცხოვან და ჭრელ ლიკვიდატორულ ხროვისა ემიგრანტების ერთ კრებაზე, სადაც ჩვენ გავაკეთეთ მოხსენება ამ კონფერენციის მუშაობის შესახებ.

დიდი განსხვავება ეტყობოდა სულიერი განწყობილების მხრით ლენინს ოთხი წლის წინეთ ჟენევაში და დღევანდელ ლენინს პარიზში: პირველი სწორ ანალიზს უკეთებდა დამარცხებულს დიდ რევოლიუციას, ცარიზმის გაცოფებულ რეაქციას, და უტყუარ გამოსავალ გზას ეძებდა; მეორე განახლებული რევოლიუციის წინაშე მდგარი, ფიქრობდა რა გზით მიეყვანა იგი სრულ გამარჯვებამდე. ორივე შემთხვევაში ნათლად ჩანდა ერთი რამ: ეს ადამიანი—გიგანტი აზრის, ნებისყოფის და მოქმედების, უეჭველათ გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებებს და მიაღწევს ერთხელ დასახულ საკაცობრიო მიზანს.

თ. კალანდაძე.

წარსული ბრძოლის ეპიზოდები

(რევოლიუციონერ ქალის მოგონება)

1904 წელი, გურიის ს. დ. პარტიის გაცხოველებული მუშაობა, კრიმ-გირეის შეხვედრები და პროტესტები თვითმპყრობელობის მოხელეთა მოქმედების წინააღმდეგ,—ნასაკირალის გზაზე ყაზახთა დახოცვა, გურიის რესპუბლიკად გამოცხადება, ფარული კრებები; შემდეგ თვითმპყრობელობის შურისძიება, ცეცხლით გადაბუგული სოფლები, ამხანაგების დაჭერა, კატორღაში გადასახლება, რეაქციის მკაცრი ჭანგები, გულჩათუთქული გრძნობა, რომ ჩვენ ვერ გავიმარჯვეთ და 1905 წ. ის დიადი აღფრთოვანება, როდესაც გგონია, რომ მთელი ქვეყნიერების პატრონი ხარ.

17 ოქტომბერი, რუსეთში კონსტიტუციის გამოცხადება, მიტინგი ქუთაისის სობოროს წინ, ფედერალისტთა ცდა ხალხის მოწინავედ თავის გამოცხადების, ჩვენი მათგან გამოყოფა პროტესტით, ქალაქის ბაღში მაგიდების დადგმა, მიტინგის გაგრძელება, მთელი მშრომელი ხალხის ვაშას ძახილით ერთი ორატორის მეორეზე აყვანა და მათგან თვითეული სიტყვის ელექტრონის ძალივით მაყურებლებზე გავლენა, ჩემი მაგიდაზე შეხტომა რევოლვერით ხელში: „ამხანაგებო, სშენა, არ იფიქროთ, რომ ქალები რამეში ჩამოგრჩებით, ჩვენც თქვენთან ვართ, გავსწიოთ წინ პეტროგრადის მუშებთან ერთად, კონსტიტუცია ეს ჩვენთვის მახის დაგებაა, არ მოსტყუვდეთ. ბრძოლა... ბრძოლა... იარაღით და ძირს დამხობა 300 წლის ხალხის მჩაგვრელთა გვარეულობის ტახტი“.

მახსოვს ასეთი შემთხვევა. ჩვენს ქუჩაზე (ჯიიანის შესახვევი) პოლიციის ქუჩაზე გასასვლელად ავაგეთ ბარიკადები. მახლობელ სკოლიდან გამოვიტანეთ საკლასო პარტები და დარაბები. იქ რევოლვერებით ისხდა სხვებთან ერთად ჩემი ორივე ვაჟი; მე კი წამლებით და შესახვევებით ჩანთა გადაკიდებული ვუვლიდი ორ ბარიკადს: ერთს პოლიციის და მეორე გენერლის ქუჩებზე გასასვლელთან.

ღამეა, მთვარიანი ღამე.

ვიღაცა ბარიკადიდან გულმოსული მეძახის: მოიგლიჯე მკლავიდან წითელი ჯვრის ნიშანი, დაგიმიზნებენ, მოგკლავენ. მე ვერ ვიმეტებ, რადგანაც ეს ჩემი დიდი ჯილდოა, რომელიც მე რევოლიუციის გამარჯვების ბედმა მარგუნა (რადგან სრული დარწმუნებული ვიყავი გამარჯვებისა).

ყაზახები მოგვესივნენ. არის თოფ-ზარბაზნების ტკაცა-ტკუცი. ცეცხლი წაუკიდეს შუა ქალაქს, მდელ რიგ სახლებს; დროგზე დაყრილი მკვდრები, ფეხებ ჩამოკიდებული, რაგოჟა გადაფარებული მიაქვთ ქალაქ გარეთ გადასაყრელად. ვტყობილობ, რომ გადაწყვეტილია მეც გამომწვან სახლში. უფროს შვილებს ვგზავნი დედასთან. მე კი მთელი ღამეები უძილოთ დავტრიალებ პატარეებს, რომ, როცა ცეცხლი გაჩნდება, ცოცხლები მაინც გამოყარონ სახლიდან.

ეგეც არის, ალყაც შემოარტყეს ჩემს სახლს. მესტუმრენ ჟანდარმების გროვა, გავრბივარ ვაჟების ოთახში, შემომაქვს აკრძალული ლიტერატურა და ემალავ რუსულ დიდ აკვნის ლეიბის ქვეშ, რომელზედაც ბავშვს სძინავს. იგი კივის, ძუძუს ვაწოვებ. დანარჩენი ბავშვები შიშით ცახცახებენ. ჟანდარმები ყველა ოთახებში გაიფანტნენ როგორც მეძებრები. როიალს თავს აგლეჯენ. ფეჩებში დაეძებენ. წაიღეს ყოველივე ნაწერი, რაც კი შეხვდათ.

მიკითხავენ ოქმს, რითაც დატყვევებას მიცხადებენ. მოვითხოვე ეტლი და ჩემი ძუძუმწოვარი ბავშვი აკვნით. მივდივართ ციხეში, მაცილებს უმცროსი ვაჟი. ეტლის საფეხურებზე თოფიანი სალდათები სდგანან. ღამის 11 საათია. ერთი სალდათი შეგნებულია,—ამბობს: „ამ პატარამ მაინც რა დააშავა. ვებმევით მუსაიფში, მე და ათუშა, ჩემი ვაჟი—არ ვცხრებით, ვუმტკიცებთ, რომ ეს ამდენი მსხვერპლი ამაოთ არ ჩაივლის, რევოლიუცია გაიმარჯვებს. მეორე სალდათი გვიბღვერის, გვიყვირის: თოფის კონდახს გვიშვერს.

ჩამოვხტით თუ არა საპყრობილეს წინ, ვთხოვ შეგნებულ სალდათს, რომ ჩემი ვაჟი გაიყვანოს გზაზე—ბულვარამდე მაინც. საპყრობილეში მჩხრეკავენ, მაძრობენ ტანთ. შევყავარ ქალთა განყოფილებაში, სადაც ორი გარყვნილი დედაკაცი ხითხითებს. ბავშვი წივის.

იანვრის სუსხი უჭერს. მეც ვკანკალებ. ამ დროს ბავშვის აკვნიდან სცვივა პოლიტიკური წიგნები, დამვიწყებია, რომ იქ დავმალე. რა უყო? სად გადავყარო? დილით მეთვალყურე ქალი მოვა და მეტი საბუთები დარჩებათ ხელში. უძილო ღამეები. გოლმით სავსე გული... იმედები მაინც... რომ ციმბირშიც, სადაც გადასახლებას მოველით, ასეთი რევოლიუციონური ამხანაგებით ვიქნები. ყოველ ღამეს იღება დიდი ჭიშკრის კარები ზარის რეკით და მოჰყავთ და მოჰყავთ ტყვეები, თითქოს მთელი ქუთაისი დაუტყვევებიათო.

ერთხელ დიდი ხმაურობაა. თენდება... დამტვრეულ სავარძლის თავზე ვხტები და ეზოში ვიხედები. შეუყრიათ ათასი რკინის გზელი. შიგადაშიგ ინჟინრის ფორმაც მოსჩანს. ზოგი უქუდოა, ზოგი უპალტოვო, ზოგი ფეხშიშველი. ყინვა... ცახცახებენ. ერთი სიბრალული ჩემს გულს არ უგრძნია არც ჩემს თავზე და არც მათ დანახვაზე. ვიცი რევოლიუციის ქარცეცხლი მსხვერპლს თხოულობს. ჩემს ოთახში ორი მეგრელი მასწავლებელი ქალი შემოჰყავთ—ფედერალისტთა პარტიისა. ვაჩაღებთ კამათს. ჩემთან ორ-ორი ჩემი ბავშვები მოჰყავთ და ღამეს ათევენ. 10 წლის ზალიკო, რომელსაც ჩემთან სადილი მოაქვს რკინის მოაჯირიდან ჩურჩულით მპირდება: „დედა, მე მათ გადაუხდიო“.

მე მგონია და მისი ამხანაგებიც დამეთანხმებიან, რომ არა მარტო დედის შეწუხება, საერთო მუშათა კლასის შეწუხებაც მან პირნათლად გადაიხადა ოქტომბრის რევოლიუციაში (გარდაიცვალა 1922 წ.).

ბავშვს აკვნის რწევის დროს დავმღერი ილიას „ნანინას“, ვმღერი მხოლოდ იმ სიტყვებს: „აღინთე ცეცხლით გული, მტერსა დაეცი მეხათ, ამით შვილი ერთგული დაიკვდი მშრომელთ მსხვერპლად. მას დედის ძუძუ ტკბილთ შხამათაც შერგებია, მშრომელთათვის სიკვდილი ვისაც დაზარებია“. ესმით ჩემი სიმღერა ჩემს ამხანაგებს კამერაში.

ერთ მზიან დღეს, თებერვლის ბოლო რიცხვებში, იღება კარები და მეუბნებიან თავისუფალი ხარო. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა აქვს. ეტლში ვჯდები ბავშვით. შუა გზაში მიცნეს. მედევნებიან „ვაშას“ ძახილით, ისეთი აღფრთოვანებით, რომ მრცხვენიან და სახეზე თავშალს ვიფარებ. შევდგი თუ არა ფეხი სახლში, შვილებს ვკითხავ: თუ იცით, როგორ გამანთავისუფლეს? ბებიამ მისწერა კნეინა ვორონცოვის ცოლს და ბოლოში მიაწერა: „კნეინა“. მისგან მიუღია პასუხი პირადათ, რომ—თქვენი შვილი განთავისუფლებული არისო. მაგრამ ადგილობრივ ჟანდარმებს უარი ეთქვათ. მაშინ ბებიას გაულანძღავს ჟანდარმები და თბილისში წასვლით დამუქრებია. ალბათ შეშინებიათ და გაუნთავისუფლებივართ.

ძალიან გავცეცხლდი. სირცხვილი! —ვიძახი. უჯავრდები ბავშვებს: როგორ გამოვჩნდე ხალხში კნეინების განთავისუფლებული? დედას საყვედურს ვუთვლი. იწყება ყოველდღიური მოუწამლავი დღეები. ვხედავ, როგორ დაგვცინიან, როგორ ფარფაშებენ რეაქციონერები, როგორ გადაიკარგნენ ყველა ამხანაგები.

ვესწრაფვი გურიას. გადამყავს მასწავლებლად ჩვენს სოფ. ბახვში ჩემი უფროსი ქალი—17 წლისა, ვითრევ ფარულ ორგანიზაციაში, ვუბნევი: ემსახუროს ხალხს მასწავლებლობითაც და პოლიტიკურადაც. ამხ. ქოლას ხელმძღვანელობით ირჩევენ კომიტეტში, აძლევენ ბეჭედს და ფულის შესაგროვებელ წიგნაკებს (საწევრო იყო 20 კაპ.) ვარქმევთ ფსევდონიმათ: მერცხალს, რაკი [illegible] ქალი პირველი იყო ორგანიზაციაში. გატაცებით მუშაობს. ეკვლავს ყელიან წუღებს და ღამ-ღამობით, ტალახიანი გზით მეორე და მესამე სოფლებში დარბის.

ყველა ამების მომსწრეს და მომგონს, მე მგონია აქვს უფლება თამამად სთქვას, რომ რევოლიუციის 20 წლის თავის დღესასწაული ჩემთვისაც მოსალოცია.

ნ. ქიქოძე.

პატარა ფელეტონი

„ყვითელი ერი“
ანუ
„კატების“ ყველიერი

„Не все коту масленица“
(რუსული ანდაზა)

ჩან-ძო ლინ გადინადირა,
ხარბინი, რკინისგზიანი,
მას თან მიჰყვება ქვეშ-ქვეშ
იაპონელი, „მზიანი“,
გო-სუ-ლინს თავი მოაძრო,
ვით პასკა აზაზიანი,
ჯერ ივანოვი შეიპყრო,
კვლავ მუშებს მისცა ზიანი...
დაჯდა და პეკინს მისწერა:
„მე, მანჯურიის მპყრობელი,
არ ვსცნობ შენს ხელისუფლებას,
მისი მტერი და მგმობელი,
მყავს შემწედ კაცი ერთგული,
მოქეთე და მეზობელი,
მოდით, ვინც ყველა კაი ხართ
შემსხმელი, შემამკობელი“!..
ეგონა, ბედი გასჭრიდა
ზრახვისა, არ-ახალისა,
რომ უცბათ კარზე მიადგა
მას ნოტა კარახანისა:
ილიუზიის დღე განქრა,
დადგა დრო კეფის ფხანისა,
ვერ გასჭრა, ვერა ამ მტრულმა
ნაბიჯმა სალახანისა!..
აქეთ საბჭოთა კავშირის
ყალყს დგება ლომი წითელი,
იქით გომინდან ირაზმვის
და მთელი ერი ყვითელი,
ვერაგულ საქმის გაბუნდა
პირი, სარჩული, მითელი,
რაც ხელში „კარტი“ ეჭირა,
არ დარჩა გაუჩითველი!..
დაადგა მშვიდსა კილოსა,
ჩრდილოს წინ თავი დახარა:
გაშვება ივანოვისა
მოსკოვს ჩიჩერინს ახარა...
მოიწევს ჯარი პეკინის,
კარგი არ მოსჩანს აღარა,
აუგა და მომსვლელთ წინაშე
რკინისგზის ხაზი აჭარა...
ეს ზომა გასჭრის, თუ ვერა,
სათქმელად წინწინ ძნელია,
ცნობაა—პეკინის ჯარებს
უკვე მუკდენში ელიან!
ერთის გარდა, თანამგრძნობელი
ჩან-ძო-ლინს შემოელია,
ფარეხში გამომწყვდეული
კრილოვის გმირი მგელია!..
ის ერთიც მისი ერთგული,
ვინ უწყის, სანამ დარჩება!
თუ ბედმა კვლავაც გაუღიმა
და დარჩა მას გამარჯვება,
მაშინ მის სამფლობელოსა
ის შემწე დაეჯაჯგება,
„აკაკაჩია“—„მაკაკას“,
ჩან-ძო ლინს რა ეხარჯება?!.
განსაცდელშია ჩინეთი
და ინტერესი ერისა,
კაპიტალისტურ ქვეყნების
საბაბი გულის ძგერისა,
მოგროვდნენ, როგორც კატები
გარშემო ყველიერისა,
უნდათ დათრევა ნაჭრების,
მსუქნის და მშვენიერისა...
იფსუს, ასეთ დროს ქვეყნის
მკერდს
სჯიჯგნიდნენ ჩან-ძო-ლინები!
ჰაამს მსგავსებს ამოსაწვავად
გახურებული რკინები!..
(ჩინეთში ხომ უხვად არის
ამა ლითონის ბინები!)
თორემ წავიდა და განქრა
ერის შვება და ლხინები:
„კატების“ წერა გახდება
მსუქან-მსუქანი „ბლინები“!.
თუმც მოდის აგერ კანტონით
სასიხარულო ამბები:
თავისუფლების გმირებმა
იქ იფრინეს „ბანდები“,
იმათაც გადიკვრესო
„გუან-დუნ“-ელი კანტები...
ვინ იცის, იქნებ „ბლინებმა“
თვითონ იმსხვერპლონ „კატები“!..

თ-ნისიძე.

რკინის გზებზე

რკინისგზელთა ყოფა ცხოვრება ხაზზე

ა.-კ. რკინის გზების საგზაო შრომის ინსპექციის, საგზაო დამზღვევ სალაროს და საგზაო ჯანმრთელობის განყოფილების წარმომადგენლებისაგან შემდგარმა კომისიამ აწარმოვა, ა.-კ. რკ. გზების სომხეთის ხაზზე დაზღვეულ რკინისგზელებისათვის სამედიცინო დახმარების და საერთოდ რკინისგზელთა შრომის დაცვის საქმე.

აღნიშნული კომისია მივიდა ლენინაკანში 10 იანვარს და ამავე დღეს დაათვალიერა რკინისგზელთა საცხოვრებელი ბინები, საიდანაც გამოირკვა, რომ რონოდებიდან გამოსახლებული რკინისგზელებისათვის იგი მეტად მძიმეა. (სახელდახელოდ გაკეთებულ ქოხებში სცხოვრობს 8-9-10 სული). საყუდისა და საუბნო სახელოსნოს დათვალიერებიდან გამოირკვა, რომ იქ დიდი ადგილი აქვს ზედმეტ საათებში მუშაობას, რომელიც აღწევს 455 საათს თვეში. ამის მიზეზი ისაა, რომ უბნის სალიანდაგო სამსახურს არ ყოფნის საორთქლმავლო ბრიგადები.

რაც შეეხება რკინის გზის საავადმყოფოს,—იგი ამჟამად იმყოფება გაფართოება - შენების პერიოდში და დიდ იმედებს იძლევა მომავლისათვის.

შრომის დაცვის მხრივ საყუდში მდგომარეობას გაუმჯობესება ეტყობა, მაგ. ამჟამად იქ აწყობენ ორთქლით შენობის გათბობას, რაც პირველია ა.-კ. რკ. გზებზე. და რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

რკინისგზელები სპეც - ტანისამოსით უზრუნველყოფილი არიან 1925 წლის ნორმით თითქმის 95 პროცენტით.

რაც შეეხება სალიანდაგო დარგის შემკეთებელ მუშებს, ისინი კი არ არიან ამ მხრივ დაკმაყოფილებული, როგორც გამოკვლევიდან სჩანს, ცენტრიდან გაგზავნილი ტანსაცმელი 2 თვეს ინახებოდა სალიანდაგო სამსახურის ნახიჩევანის უბნის საწყობში.

გამოკვლევის შედეგებიდან სჩანს აგრეთვე, რომ საორთქლმავლო და კონდუქტორთა ბრიგადების სამორიგეო ოთახი სანიტარულის მხრივ უკანასკნელ თვეებში გაუმჯობესებულია. ამ შემთხვევაში გამონაკლისს შეადგენს სადგ. სანაინი, სადაც ოთახი ძალიან პატარაა და იქ არ არის საჭირო დგამი დასვენებისათვის, და კონდუქტორებს უხდებათ იატაკზე წოლა.

სალიანდაგო სამსახურის ყაზარმების მდგომარეობის შესახებ უნდა ითქვას, რომ თუმც ისინი გაუკეთესებული არიან წარმოებული კაპიტალური შეკეთებით და სხვა მხრივაც, მაგრამ გზის ხელოსნების და სანადო დარაჯების უყურადღებობის გამო— მუშები იმით არ სარგებლობენ. ყაზარმებს არ წმენდენ, ღუმელები კვამლავენ იქაურობას და სხვა. ეხლა საგზაო ინსპექციის წინადადებით დადგმული უნდა იქნენ „უტერმარკი“-ს სისტემის ღუმელები. სადგურებთან—ჯულფაში, ნახიჩევანში, კარაკლისში და სანაინში არსებული მისაღები თავშესაფარები კარგ მდგომარეობაში იმყოფებიან, გარდა სადგ. ლენინაკანისა, სადაც ბინა არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, რაც საჭიროებს ყურადღების მიქცევას. ისე მათი მომარაგება საექიმო მასალებით კარგია, ნაკლულოვანებებს არ აქვს ადგილი და არც რაიმე საჩივარს ვხვდებით მათზე.

მრავალ მისაღებებში მოწყობილია კბილის საექიმო კაბინეტები და ახლო ხანში ასეთი გაიხსნება სადგ. სანაინის თავშესაფარშიც. ექიმების დამოკიდებულება მუშებთან კარგია, რადგან კომისიას საჩივრები არ მიუღია და კეთილსინდისიერად ასრულებენ თავის მოვალეობას.

რაც შეეხება სანიტექიმებს, მათ კი გულგრილობა ეტყობათ საქმისადმი, რაც სჩანს იქიდან; რომ ყაზარმებში ასეთ არა სანიტარიას აქვს ადგილი. ეს ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას იმით, რომ მათ განკარგულებაში არ არის მოტორიანი დრეზინები, რათა მათ საშუალება ჰქონდესთ სისტემატიურად დაათვალიერონ ყაზარმები, რომლებიც დაშორებული არიან ერთმანეთზე.

ასეთ გარემოებას უთუოდ უნდა მიაქციოს ყურადღება საგზაო ჯანმრთელობის განყოფილებამ და სანიტარულ ექიმებს საშუალება მისცეს პირნათლად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა.

ტ.—ა.

სასოფლო მეურნეობა

სასოფლო-სამეურნეო განათლება საქართველოში

(საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან).

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა სასოფლო-სამეურნეო განათლების საქმის გამოკვლევა; გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ამჟამად სასოფლო-სამეურნეო განათლების საქმე საქართველოში მეტად მძიმე მდგომარეობაშია. საქართველოში არსებობს 8 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომელთა უმრავლესობას მეტად არახელსაყრელ პირობებში უხდება მუშაობა. არ არის სათანადო შენობები, საჭირო მოწყობილობა, ხელმძღვანელობა და სხვა. ტექნიკუმების მატერიალური მდგომარეობა წელს შარშანდელზე უარესია.

ქუთაისის და რაჭის ტექნიკუმებთან არსებული საერთო ბინები მოკლებულია ელემენტარულ მოწყობილობას: შენობები ნახევრად დანგრეულია, არ თბება, არ არის საწოლები, მაგიდები და სხვა. საერთო ბინებში მცხოვრები მოწაფეები ცუდათ იკვებებიან.

ბინების უქონლობის გამო წლის შეუძლებელი იქნება მორიგი კლასების გახსნა რაჭის, გურიის, სენაკის და ზუგდიდის ტექნიკუმებში.

პრაქტიკული მეცადინეობა არ არის სათანადოთ დაყენებული. მოწაფეთა მეურნეობანი უმეტეს შემთხვევაში გლეხთა მეურნეობებზე დაბლა სდგას. ზოგიერთ ტექნიკუმების სათავეში სდგანან ყოველგვარ პედაგოგიურ სტაჟს მოკლებული აგრონომები.

ტექნიკუმების უმეტესობას არ აქვს კაბინეტები, ლაბორატორიები, მიკროსკოპები და სხვა საჭირო მოწყობილობა; ამას გარდა, ტექნიკუმებში არ არის სპეციალური ბიბლიოთეკები და საჭირო სახელმძღვანელოები.

ტექნიკუმების გარდა, არსებობენ კიდევ დაბალი საფეხურის სასოფლო-სამეურნეო სკოლები, მაგრამ ისინი სრულებით ვერ აკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნილებებს; ამ სკოლების მატერიალური მდგომარეობა მეტად მძიმეა. სასოფლო-სამეურნეო სკოლებს ფაქტიურად არავინ არ უწევს ხელმძღვანელობას.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ დაადგინა ყველა ამის შესახებ აცნობოს საქართველოს სახკომსაბჭოს; ამას გარდა მან შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა ცხოვრებაში გატარება ხელს შეუწყობს სას.-სამ. სკოლების და ტექნიკუმების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სატყეო მეურნეობა

ხე-ტყის დამზადება რაჭაში

რაჭის ტყეების ექსპლოატაციას საქართველოს სატყეო ტრესტს გარდა აწარმოებს რაჭის სამაზრო აღმასკომი, რომლის განკარგულებაში იმყოფება გლოლის რაიონის ტყეები ზემო რაჭაში და სამდელ ნიკორწმინდის ტყის აგარაკები ქვემო რაჭაში.

ხე-ტყის დასამზადებლად რაჭის სამაზრო აღმასკომს აქვს ორი სახერხი ქარხანა—ერთი ნიკორწმინდის სატყეო აგარაკს ახლო ხარისთვალზე და მეორე—ქუთაისში მდინარე რიონის ნაპირად. ხარისთვალზე სწარმოებს ადგილობრივი აგარაკის ხე-ტყის დამზადება. ქუთაისის ქარხანა კი ამუშავებს ზემო—რაჭის სატყეო აგარაკებიდან რიონზე ტივებით ჩამოტანილ ხე-ტყეს.

ორივე ქარხანაში საშუალოდ ყოველ დღე მუშაობს 46 კაცი.

გასულ სამეურნეო წლის განმავლობაში ქუთაისის სახერხმა ქარხანამ ბაზარზე გამოიტანა 117.818 კუბიკ. ვერშოკი ხე-ტყის დამზადებული მასალა, ხარისთვალის ქარხანამ—80.417 ვერშოკი.

1924—25 სამეურნეო წლის განმავლობაში ქუთაისის ქარხანაში აღრიცხულია 6.190 მუშა—დღე და გაცემულია ხელფასის სახით 20.860 მანეთი. ამავე დროს კულტფონდისა და დამზღვევ სალაროსათვის გადახდილია 3.092 მანეთი.

მუშის ყოველდღიური სამუშაო ხელფასი უდრის 3 მ. 37 კაპ., ხოლო თვიური საშუალო ხელფასი—84 მან. 25 კაპიკს.

შედარებით მაღალი ხელფასის და მისი თავის დროზე გაცემის გამო, მუშები ნივთიერათ უზრუნველყოფილი არიან: ტან-ფეხზე გვარიანად აცვიათ და ნოყიერად იკვებებიან.

მუშები უმთავრესად რაჭველები არიან, რომელნიც ტრადიციულად ხის დამუშავებას და დურგლობას მისდევენ. აქ—იქ შეხვდებით რუსებსაც, რომელნიც რაჭველებთან მეგობრულად არიან შეწყობილი. დეკემბერში ქუთაისის ქარხანას რემონტი გაუკეთდა და გამოიცვალა საორთქლის მამოძრავებელი.

გლეხებზე გადაცემულ ტყეების რაოდენობა

გლეხობისათვის ტყეების გადაცემა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკაში დაიწყო გასული 1925 წლის შუა ოქტომბრიდან. საქართველოს (აკის დადგენილების გამოქვეყნებისთანავე ადგილობრივი კომისიები, რომელთაც მიწოდებული ჰქონდათ საჭირო მასალა და თანხები, შეუდგენ მუშაობას.

მთელ ამიერ-კავკასიაში გლეხობას უნდა ჩაებარებია 323.260 დესეტინა მიწა. აქედან საქართველოს და მის ავტონომიურ რესპუბლიკების გლეხობას უნდა გადასცემოდა 245.517 დესეტინა, აზერბეიჯანის გლეხობას 67.743 დესეტინა და 10 ათასი დესეტინა სომხეთის გლეხობას.

სხვადასხვა ადგილებიდან მოსული ცნობებით პირველ იანვრამდე საქართველოს გლეხობისათვის გადაუციათ 127.707 დეს. აზერბეიჯანში—2.935 დეს. სომხეთიდან ცნობები არ არის.

აზერბეიჯანის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით, უკვე გარკვეული და გადასაცემად არის გამოყოფილი 20.263 დესეტინა. აქედან გადაცემულია უკვე 2.935 დესეტინა; დანარჩენი 17.238 დესეტ. გადაიცემა იანვარ-თებერვალში.

ტყეების დანიშნულ ვადაზე გადაცემას დააგვიანდა სხვადასხვა გარემოების გამო.

ყველაზე მეტად საქმეს აბრკოლებდა ის გარემოება, რომ მუშაობა დაიწყო ზამთრის პირზე და ხშირი ავდრების და ჭინჭყლიანი ამინდების გამო შეუძლებელი შეიქნა ნაყოფიერი მუშაობის წარმოება.

ტყეების გადაცემას გლეხები ეგებებიან დიდი სიხარულით და ამავე დროს იძლევიან პირობას მათი წესიერად მოვლის და დაცვის შესახებ.

საგზაო ბეგარის შესახებ

ჩვენ უკვე მოყვანილი გვქონდა ცნობა, რომ ამიერ-კავკასიის გზების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაადგინა ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებში შემოღებული იქნეს საგზაო ბეგარა.

ამიერ-კავკასიის გზების მდგომარეობა ამჟამად ასეთია: ყველა გზების სიგრძე უდრის 14.500 ვერს; აქედან საკავშირო მნიშვნელობის გზებია 2.700 ვერსი, რესპუბლიკანური მნიშვნელობის—4.500 ვერსი და ვიწრო-ადგილობრივი მნიშვნელობის—7.300 ვერსი.

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების შესანახავი ხარჯები შეტანილია სახელმწიფო ბიუჯეტში. ამ გზების შესაკეთებლად გაღებული თანხები არ არის საკმარისი, მაგრამ მიუხედავათ ამისა გზებს მაინც გაუმჯობესება ეტყობა.

რაც შეეხება გზების დანარჩენ ქსელს და, უმთავრესად, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს, სადაც იქნება გამოყენებული საგზაო ბეგარა, იშვიათი გამონაკლისის გარდა მათ შესანახავათ არც ერთ დაწესებულებას არა აქვს გადადებული თანხები; ამ გზებს კი დიდი მნიშვნელობა აქვთ, უმთავრესად სოფლის მოსახლეობისათვის; ხშირათ ეს გზები აკავშირებენ სოფლის მოსახლეობას რკინის გზის ხაზთან.

წინასწარი გამოანგარიშებით, ამიერ-კავკასიაში საგზაო ბეგარა დაეკისრება 700.000 კაცს. სამუშაო დღეების რაოდენობა ჯერ არ არის გამომუშავებული. ჯერჯერობით ამის გამორკვ[illegible]ილია.

ამიერ-კავკასიის ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს ცნობებით, თუ საგზაო ბეგარა თვითეულ გაწვეულ მომუშავესათვის დაწესებული იქნება წელიწადში სამი სამუშაო დღის სახით, ამ შემთხვევაშიაც კი საგზაო ბეგარა საგზაო აღმშენებლობას მისცემს 2.500.000 მანეთს.

ქ.

ამხ. სერგო კილაძის ხსოვნას

28 იანვარს, 1926 წელს, დილის 9 საათზე მიხეილის საავადმყოფოში ტრაგიკულად გარდაიცვალა ამხ. სერგო (სერიოჟა) კილაძე.

სერგო (სერიოჟა) კილაძეს კარგად იცნობს თბილისის და ბათომის პროლეტარიატი. ის სულით და გულის, უმწიკვლო, პატიოსანი და თავდადებული რევოლიუციონერი იყო.

ბათომიდან თბილისში გადმოსვლის შემდეგ, მკვირცხლი, ჯან-ღონით სავსე და მჭერმეტყველი სერიოჟა დიდ ნდობას და სიყვარულს იმსახურებს მუშათა ორგანიზაციებში და განსაკუთრებით ბეჭდვითი საქმის მუშაკთა შორის. მას ირჩევენ გამგეობის წევრად, სადაც ის მთელის თავის ენერგიით იცავს მშრომელთა ინტერესებს. არ ყოფილა არც ერთი კრება, რომ სერგოს თავის ჭკვიანური, მჭერმეტყველური სიტყვებით არ აეტაცებინოს დამსწრეთა გული. მისთვის სდევნიდა მენშევიკური მთავრობა.

უკანასკნელად ის [illegible] მუშაობ[illegible] საქ. რესპ. სოც. დაზღვევის სამმართველოში.

ამ მისთვის საყვარელ საქმეს ის მთელის თავის ძალღონით ეკიდებ[illegible] და არც დაუზოგავს თავი სიკვდილამდე.

ამხ. სერგო, შენში დავკარგეთ ერთი საუკეთესო მუშათა კლასი[illegible] პრისუფალი, მისთვის თავდადებული და მოსიყვარულე ადამიანი. შენი გული, მუდამ ცეცხლივით მგზნებარე დღეს აღარ ძგერს მათთვის, ის ველარ გაიგონებს შენგან მისი ინტერესების დამცველს სიტყვებს.

თვალცრემლიანი ვეთხოვებით შენს მრავალტანჯულ ცხედარს ძვირფასო ამხანაგო და საუკეთესო მეგობარო სერგო.

მანასე გოგუაძე

მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის

თბილისის მაზრა

თბილისის მაზრაში საბჭოთა არჩევნები დაიწყება ხვალიდან—1 თებერვლიდან. წინასწარი მზადება, რომელიც ნოემბრიდან დაიწყეს, უკვე ყველა თემებში დამთავრებულია.

საარჩევნო კამპანია მთელს მაზრაში წარმატებით ჩატარდა. როგორც არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული, გლეხობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა საარჩევნო სამზადისში. სასოფლო ყრილობებზე, რომელიც მოწვეული იყო გლეხობისათვის აღმასკომების მუშაობის შესახებ ანგარიშის წარსადგენათ, გამოდიოდენ გლეხები და იძლეოდენ აღმასკომის წარსული საქმიანობის შეფასებას. დიდი სიფრთხილით და ყურადღებით ეკიდებოდა გლეხობა აგრეთვე წამოყენებულ კანდიდატურებს, რომელთაც იწონებდა მისი ყოველმხრივი შეფასების შემდეგ.

საარჩევნო კამპანიაში ღარიბსა და საშუალო შეძლების გლეხობას გვერდში უდგა სოფლის მშრომელი ინტელიგენცია, რომელიც აქტიურ როლს თამაშობდა კრებების მოწვევასა და ჩატარებაში. წარმატებით ჩატარებული მოსამზადებელი კამპანია საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ საბჭოებში მოხვდებიან სოფლის აქტიური და საზოგადოებრივსაკითხებით დაინტერესებული პირები.

გლეხები გაბედულათ აღნიშნავდ[illegible] მჩნეულ ნაკლულევანებათ და ამავე დროს ასახელებდენ თავიანთ კანდიდატებს, რომელთა შეფასება ხდებოდა იქვე გლეხების მიერ.

საარჩევნო სიების შედგენა დამთავრდა ყველგან 20 იანვარს. მთელი საარჩევნო მასალა თემებმა გადაუგზავნეს სამაზრო აღმასკომთან არსებულ სტატისტიკურ ბიუროს.

გურიაში არჩევნები დაიწყება შუა თებერვალში და დამთავრდება 1 მარტამდე.

აფხაზეთი

აფხაზეთის ყველა მაზრებში საარჩევნო სამზადისი წარმატებით დამთავრდა. კამპანიის დროს მთავარი ყურადღება ექცეოდა სასოფლო კრებების მოწვევას. კრებებზე სამაზრო აღმასკომები და სათემო საბჭოები გლეხებს აცნობდენ თავიანთ საქმიანობას. ნოემბრიდან იანვრის ოცამდე მოწვეული იყო გაგრის მაზრაში [illegible] სასოფლო კრება, გუდაუთის მაზრაში 30, გუმისტინის—18, კოდორის—23 და გალის მაზრაში—32.

კრებები გაცხოველებით მიმდინარეობდა. გლეხები გაბედულათ აკრიტიკებდენ საბჭოების და აღმასკომების მუშაობას და ამავე დროს აყენებდენ საკითხებს გლეხების სხვადასხვა საჭიროების შესახებ. სასოფლო კრებებზე გამოირკვა, რომ მოსახლეობა კარგათ ვერ იცნობს დეპუტატობის იმ პირთა შესახებ, რომელთაც წართმეული აქვთ საარჩევნო ხმის უფლება.

ამას გამო ამჟამად სწარმოებს განმარტების მიცემა ამ საკითხის შესახებ. საარჩევნო სამზადისი წელს გაგრძელდა ორთვენახევარი—ნოემბრის შუა რიცხვებიდან იანვრის დამლევამდე. გასულ წელს საარჩევნო სამზადისი დამთავრდა სამი კვირის განმავლობაში.

გურია

ოზურგეთის მაზრაში ნოემბრიდან იანვრის დამლევამდე მიმდინარეობდა მოსამზადებელი კამპანია არჩევნების ჩასატარებლად. გურიის ყველა 41 თემში სამზადისი უკვე დასრულდა. ყველა თემებში მოწვეულ იქნა გლეხთა კრებები, სადაც გაკეთებული იქნა მოხსენებები სათემო აღმასკომების საქმიანობის შესახებ.

წითელ ჯარში

კავკასიის წითელდროშოვან არმიის მე-4-ე პარტკონფერენცია

რეზოლიუცია ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების გამო

კონფერენციის მეორე სხდომაზე ამხ. სერგო ორჯონიკიძემ გასცა პასუხი მრავალ შეკითხვებზე, რომლებიც გამოიწვია მისმა მოხსენებამ. შემდეგ მიღებულ იქნა ერთხმათ ასეთი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება პარტიის მე-14 ე ყრილობის შედეგებისა და პარტიის მორიგ ამოცანების შესახებ, არმიის მე-4-ე პარტკონფერენცია სავსებით იწონებს ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელნიც მიმართულია ჩვენი შემდეგი განვითარებისა და სოციალიზმის შენების უზრუნველყოფისაკენ ჩვენს ქვეყანაში.

კონფერენცია გადაჭრით მოუწოდებს პარტიის ბოლშევიკურ, ლენინურ ურყევ მთლიანობისაკენ, რომელიც არის პროლეტარულ დიქტატურის სიმტკიცის საუკეთესო თავდები და ერთსულოვნად ჰკიცხავს ყოველგვარ ცდას, რომელსაც კი შეუძლიან გამოიწვიოს ამ მთლიანობის შესუსტება და დარღვევა.

კონფერენცია დარწმუნებულია, რომ პარტია ლენინურ ც. კ-ის ხელმძღვანელობით შესძლებს ყველა იმ დაბრკოლებათა გადალახვას, რომელიც ელობება მას წინ და მუშათა კლასის სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხობასთან კავშირის ყოველმხრივი განმტკიცებით მიიყვანს ჩვენს ქვეყანას სოციალიზმამდე.

შეეხო რა ყრილობის გადაწყვეტილებებს წითელი არმიის და წითელი ფლოტის (საზღვაო და საჰაერო) შემდეგი გაძლიერების განმტკიცების აუცილებლობის შესახებ, კონფერენცია მოუწოდებს არმიის პარტორგანიზაციებს გააღრმავონ მუშაობა მიმართულებით. კონფერენცია, [illegible]დადის რა თავის პრაქტიკულ მუშაობაზე, გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ის შესძლებს ყველა ამოცანებს, რომელიც სდგას მის წინაშე, ჰეშმარიტ, ლენინურად გადაჭრას.

გაუმარჯოს ჩვენი ბოლშევიკურ რიგების ფოლადისებურ მთლიანობას. გაუძარჯოს ლენინურ ც. კ.“

რეზოლიუციის მიღების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა არმიის პოლიტსამმართველოს უფროსის ამხ. რატნეკის მოხსენება პოლიტსამმართველოს მუშაობის შესახებ.

„რემედასი“ ქართულ ჯარში

ქართულ წითელ ლაშქრის დაარსების დღიდან მრავალი სხვადასხვა სახის საქველმოქმედო საზოგადოებანი დაარსებულა ჩვენ ნაწილებში; ამ მუშაობაში დიდ ინტერესს იჩენდენ როგორც უფ-პოლიტშემადგენლობა, აგრეთვე წითელარმიელთა მასსა. ამ მხრივ ყველაზე მეტად ყურადღების ღირსია საზოგადოება „რემედასი“. სოფლად „რემედასის“ იდეა ჯერ კიდევ შედარებით სუსტათ არის განვითარებული და ამ მხრივ წითელი ჯარი არის ერთათ ერთი უწყება რომელიც უვადო შვებულებაში მიმავალ წითელარმიელთა საშუალებით საგრძნობლად უწყობს ხელს სოფლად ამ საქმის გავრცელებას.

ნაწილის თვითეულ ასეულში გვაქვს „რემედასის“ კუთხე, რომელსაც ხელმძღვანელობს არჩეული ბიურო. ბიურო კოლექტივების მუშაობის საერთო გეგმაში, თანახმად დივკომიტეტის მიწერილობისა, შეტანილი „რემედასის“ მუშაობაც. თითქმის სისტემატიურათ კვირაში ერთხელ უჯრედებში ტარდება საუბრები ბურჟუაზიულ სახელმწიფოებ[illegible] ტერორისტულ აქტებზე რევოლიუციონერების მიმართ, ხოლოთ თვეში ერთხელ იმართება გაერთიანებული კრება, სადაც კეთდება მოხსენება საერთო მდგომარეობის შესახებ და „რემედასის“ ამოცანებზე.

დღემდი სხვადასხვა ჟურნალ გაზეთების და ნიშნების გავრცელებ[illegible] წითელარმიელებში აბრკოლებდა აღნიშნულ ნივთების სიძვირე. ეს საკითხი უკვე მოგვარებულია. 1926 წ. 28 იანვარს საქართველოს „რემედასის“ ცეკას პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე ამხ. ნუცუბიძის წინადადებით ჟურნალ-გაზეთები ქართულ წითელ ჯარს დაეთმობა თვით ღირებულების ფასებში. რაზედაც ღრმა მადლობა უნდა გამოეცხადოს „რემედასის“ ცეკას პრეზიდიუმს. ჩვენ უფრო გავაძლიერებთ ამ მუშაობას და ვეცდებით დავიკავოთ საპატიო ადგილი.

შ. ნუცუბიძე.

ხელოვნება

სახელმწიფო დრამა

„ლამარა“, გრ. რობაქიძის. დადგმა რეჟ. კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის.

შილერი ამბობდა—თეატრი ისეთი დაწესებულებაა, სადაც ერთმანეთს უკავშირდება სიამოვნება და სწავლა, გართობა და განათლებაო. ეს აზრი დღესაც მართალია თეატრის შესახებ. თეატრი (კოკლენ უფროსის ენით რომ ვსთქვათ) არის ზნე-ჩვეულების სკოლა და არ უნდა იქცეს ის ანატომიურ თეატრად. ასეთი სოციალური პედაგოგიკის საზომით უპირველესად დრამატურგის მიერ შეტანილი მასალა უნდა განვიხილოთ თეატრალურ შემოქმედებაში.

რას გვაძლევს ამ მხრივ „ლამარა“?

„ლამარა“ აკმაყოფილებს ჩვენი მოთხოვნილების ერთ ნაწილს—გართობას, სიამოვნებას. ის არ გვაძლევს ამ პრიზმით მოცემულ სწავლას, ცოდნას. პიესის მხატვრული სახე არ წარმოადგენს სოციალური, ან ფსიქოლოგიური დრამის ლოღიკურ გაშლას და სათანადო ფინალით დასრულებას. პიესა არ არის სოციალური დრამა, იმდენათ, რამდენათაც მასის მოძრაობის საფუძველი არ არის რაიმე სოციალური მოტივი. პიესაში მომქმედ პირთა დაპირისპირება ხდება სიყვარულის გრძნობის საფუძველზე, რომელიც მიცემულია მკაცრად მთიელთა კოლორიტითა და რიტმით. ადათი, თემური ჩვეულებანი, გმირობისა და ვაჟკაცობის თავისებური სახე კუთხურ ელფერშია გადაშლილი.

დრამის განვითარება ოსტატობით მიდის. თანდათან მჭიდდება პიესის საწინააღმდეგო მ მართულებათა კოლიზია, მაგრამ თვით კონფლიქტი არ არის მოცემული. მურთას მკვლელობა არ არის კონფლიქტის მწვერვალი, ეს შესავალია უფრო დიდ კოლიზიაში, რომელიც ხევსურთა და ქისტთა დაპირდაპირებას იწვევს საგვარეულო საზოგადოების ზნე-ჩვეულებათა ნიადაგზე (სისხლის აღება) პიესა კარგად ამწიფებს ამ კატასტროფას. ქისტთა მეთაური იშო მთიური ტემპერამენტითა და სიმძაფრით ემზადება შურისძიებისათვის, მაგრამ ავტორი სხვა მომენტების გამოყვანით სწყვეტს ამ სამზადისს და კონფლიქტის ნაცვლათ სრული შერიგება ხდება. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ხელს აძლევენ, სატრფომიჯნური ერთდება, ბედნიერება მახწეულია. ჩვენ ვფიქრობთ, ასეთი ფინალი არ არის ლოღიკური დრამისათვის. შეიძლება აქ ავტორს სურდა სიყვარულის გამოხატვა ისეთ გრძნობით, რომლის მძლეობა ჰფარავს ყოველვეს და აერთებს მოსისხლე მტერს. თუ ავტორს ეს აზრი ჰქონდა, მაშინ მურთას შეწირვა ამ გრძნობისათვის აღარ არის გასამართლებელი. პატიოსანი მურთას სისხლით შეღებილი ლამარას თმები მხოლოდ დაჩრდილვაა სიყვარულის გრძნობის შარავანდედის, რადგან მურთა არ არის „ბოროტი სული“ ამ გრძნობის წინააღმდეგ. ამასთან ერთად გეტესა და შოთასებური ამაღლება სიყვარულის გრძნობის არ გვხვდება ჩვენ „ლამარაში“. აქ გრძნობას უდიდესი დაღი აზის კუთხური ყოფისა და ჩვეულების.

პიესის სცენიური არქიტექტონიკა ნიჭიერათ და მცოდნე ხელოვანის ხელით არის გამართული (ფინალის გამოკლებით). ტიპები გამოკვეთილია მკაფიოთა და მარტივათ, თუმცა არ არის მოცემული რეალიზმის ჩარჩოებში.

ერთში ვერ დავეთანხმებით ავტორს—ვაჟას გამოყვანა არ შეიძლება გამართლებული იქნას. სცენაზე ისტორიულ პირის აღდგინა სხვაა, ხოლო ნაცნობი გარდაცვლილი ადამიანის სხვაა. ისტორიული პირთაების დაახლოვებით მიცემა აკმაყოფილებს მაყურებელს, რომელმაცარ არ იცის მისი ადამიანური სახე; როდესაც გამოგვყავს ნაცნობი პირი, აქ გარდუვალი დაბრკოლებაა ჩვენს წინაშე. თეატრი ან უნდა დაეიდეს უაღრეს ნატურალიზმამდე, აღადგინოს მოძრავი ფოტოგრაფიის ხაზით აღებული ტიპი საკუთარი კილოთი და ხმით, ან უნდა მიმართოს სიმბოლიკას. ორივე შემთხვევაში მოლიპული გზაა. ამიტომ არ არის გასაკვირველი, ნიჭიერ რეჟისორსა და მეტად დაკვირვებულ მსახიობის ხელშიც გრ. რობაქიძის ვაჟა არ იყო ვაჟა. ეს ვაჟას სუროგატს წარმოადგენდა.

დადგმა მოხდენილია და დამუშავებული. როლების შესრულებაში ყველა თავის ადგილზეა. რეჟისორებმა და მსახიობებმა სავსებით დასძლიეს მითიური რიტმი და დიალექტი. მასიურ სცენებში შეუდარებლათ სჩქეფდა მასის ფსიქოლოგია. ყოველი მოძრაობა დამუშავებულია და სწორი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რეალიზმის ხაზით არ არის ტიპები ჩამოყალიბებული.

ლამაზია მხატვარ გუდიაშვილის დეკორაციები. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ დეკორაციები უფრო სინაზესა და სირბილის გვაძლევს, ვიდრე მთის მრისხანებასა და შეუპოვრობას. ტუსკიას მუსიკაში დაცულია ნაციონალური მუსიკის კოლორიტი.

უნდა ვიფიქროთ, რომ პიესა ერთ ხანს შერჩება სცენას. ზემოთ აღნიშნულ მომენტების გარდა საამისოთ არის მეორე ხარის ხოვანი გარემოებანიც. აქ პირველათ არის გახსცენიერებული მთის ყოფაცხოვრების ტიპები. საკმაო წყალია მოშვებული ნაციონალური გრძნობის წისქვილზედაც. (ჩვენში კიდევ არიან ისეთი „პატრიოტები“, რომლებიც ტაშით ეგებებიან ყველასათვის უდავო და ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ თუშ-ფშავ ხევსური, იმერი, კახი, მეგრელი და სვანი „შვილნია საქართველოსი“) ბევრს მოესურვება „ცოცხალი ვაჟას“ ხილვაც.

რას გვაძლევს პიესა ეპოქალურათ თანამედროვე საზოგადოებრივობის თვალსაზრისით? სრულიად არაფერს, ჩვენს თვალწინ არის არა სოციალური გარდატეხის ფსიქიური და სოციალური მოვლენები, არამედ დაშორებული ვართ კაპიტალიზმსაც და ფეოდალიზმსაც და საგვარეულო საზოგადოებაში ვიმყოფებით, სადაც ქალი მისია, ვინც მოიტაცებს. სისხლი ტკბილია დასალეველათ, ალერსი „ქორფა გოგოსათვისაა“ და სხვა. კიდევ მეტი. საგვარეულო საზოგადოებაც იდეალურათ არის დასახული. ჩვენ ვიცით, რომ ამ საზოგადოებაში ბევრი რამ ხდებოდა არა „იდეალური“. ქალს მაშინ იტაცებდენ, როდესაც სილარიბის გამო მისი გამოყიდვა შეუძლებელი იყო. სისხლის აღებაც საჭირო ძალის დაკარგვას ნიშნავდა და სისხლის გამოყიდვით (დაკარგული ძალის ანაზღაურებით) უდიდესი დანაშაულობაც არ იწვევდა სასჯელს. იდევნებოდა ცარცვა-გლეჯა თემში, მაგრამ სხვა თემის დარბევა და გაცარცვა გმირობათ ითვლებოდა. მეტად მრავლად ჰქონდა ასეთი ბნელი მხარეები საგვარეულო საზოგადოებას, რომელთა ნიშანწყალიც არა სჩანს პიესაში. ჩვენ ამას აღვნიშნავთ როგორც ფაქტს. ავტორს ვერ მოვთხოვთ იმაზე მეტს, რისი მოცემაც მას შეუძლია, რადგან მისი ლიტერატურული სკოლა ისეთი მაღლიდან დაჰყურებს სოციალურ საკითხებს, რომ ისინი მხედველობიდან იკარგებიან; რომ არ იკარგებოდენ მოვიგებდით ჩვენც, თეატრიც და თვით ავტორიც. მაგრამ მაშინ ავტორის თვალი და გული სხვა ხასიათის უნდა ყოფილიყო.

ხამი № 102.

სახელმწიფო ოპერა

„ოტელო“

ვერდის ოპერა „ოტელო“ დაწერილია ვაგნერის შემოქმედების ზეგავლენით და მასში მთავარი ადგილი დათმობილი აქვს ორკესტრს. ეს მხედველობაში მიუღია დირიჟორს—ფალიაშვილს და ოპერაც შესრულებული იქნა საუკეთესოდ ამ სეზონში.

ცენტრალურ ფიგურას ოპერაში წარმოადგენს კიპარენკო (ოტელო). პარტიის ვოკალური მხარე მოითხოვს განსაკუთრებულ ხმის ტექნიკას. პარტია საერთოდ კარგად აქვს დამუშავებული მსახიობს; საუკეთესო ადგილებია სცენა იაგოსთან, პირველი სცენა დეზდემონასთან (2 და 3 აქტი). მსახიობი დაკვირვებით ასრულებს პარტიას, მასში თანდათან იზრდება ეჭვიანობა და ბოლოს იგი აღწევს უკიდურეს მრისხანებამდე.

არ შეიძლება სავსებით დაკმაყოფილებლად ჩავთვალოთ საუცხოვო დუეტის შესრულება პირველ აქტში. კარგია გარეგნული შეხედულება და გრიმი. შესავალი არია ის მღერა უმჯობესია ავანაც ნაზე.

ბოკოვა (დეზდემონა) იძლევა მშვენიერ პოეტურ სახეს. ვოკალური მხარე კარგია პათეტიურ ადგილებში, მაგრამ საუკეთესოა პირველი აქტის დუეტი. კარგია სცენ ოტელოსთან.

იაგოს პარტიაში ინაშვილი იყო გაცილებით უკეთესი, ვიდრე ამ სეზონში შესრულებულ სხვა პარტიებში. ეს პარტია დამუშავებული აქვს მსახიობს როგორც ვოკალურის, ისე სცენიურის მხრივ. გამოკვეთილი ფრაზიროვკა, თანაბარი ხმოვანება.

საუცხოვოთ იქნა შესრულებული იაგოს მონოლოგი, რომელშიაც ის ლაპარაკობს ადამიანის ამ ქვეყნიურ არსებობის არარაობაზე.

აგრეთვე საუცხოვოთ იქნა შესრულებული სცენა ოტელოსთან, განსაკუთრებით ფინალური ნაწილი, როდესაც იაგო დასცინის იატაკზე უგრძნოთ დაგდებულ ოტელოს. აქ მხატვრული იყო როგორც პოზა, ისე მიმიკა. მსახიობის ხმა ფართო ტალღასავით მოედინებოდა აუდიტორიაში.

ოპერის წარმატებით შესრულებას ხელი შეუწყო ფალიაშვილმა, რომელმაც მოგვცა მკაფიო საორკესტრო ილიუსტრაცია საუცხოვო პირველი გუნდი ორკესტრთან ერთად.

ბ. ბ.

ევგენია მეთოდეს ასული პოპოვა

(მისი არტისტიული მოღვაწეობის იუბილეისათვის)

სახელმწიფო ოპერის პრემიერი ქალი, რომელიც უკვე მესამე წელია გვხიბლავს თავისი შესანიშნავი ვოკალური ნიჭით, 31 იანვარს დღესასწაულობს 15 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილეს. 15 წლის განმავლობაში ხელოვნებისათვის სამსახური, ეს ძალიან დიდი დროა არტისტისათვის საერთოდ და განსაკუთრებით კი ოპერის არტისტისათვის, რადგან არც ერთ სხვა ასპარეზზე ისე არ იხარჯება, ჯან-ღონე, ნერვები, როგორც სცენაზე, სადაც არტისტი მუდამ თვალყურს უნდა ადევნებდეს თავის თავს, თავისი ხიკის წონსვლას, სადაც ყურს უნდა უგდებდეს საზოგადოებრივ აზრს, რომელზედაც არტისტი დიდათ არის დამოკიდებული. და ჩვენ ვხედავთ პოპოვას თავის ნიჭის უაღრესად განვითარების დროს, მიუხედავათ იმისა, რომ ის არა შიშით, არამედ ჭეშმარიტი სიყვარულით ემსახურება ხელოვნებას, ემსახურება საზოგადოებას.

ჩვენი საუკუნის პირველ წლებში ვისაც მოსკოვში უცხოვრია და დაინტერესებული მუსიკით და საზოგადოთ ვოკალური ხელოვნებით, მას უსათუოდ უნდა ახსოვდეს მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორ მაზეტტის ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე. მაზეტტი მაშინ ხახელ განთქმული იყო არა მარტო მოსკოვში, არამედ იტალიაშიც, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ვოკალური პედაგოგი და ჯერ მარტო მისი მოწაფეები მოწმობს, თუ რა დიდი ნიჭის პატრონი უნდა ყოფილიყო მისი მოწაფე. მისი კლასიდან არიან გამოსული ცნობილი ნეჟდანოვა, ბუკოვა, და რამოდენიმე სხვა გამოჩენილი მომღერალი, რომლებიც დიდ ხანს ამშვენებდენ მოსკოვის დიდ თეატრს. მისი მოწაფეა არტისტი შარაშიძეც, რომელიც ეხლა მღერის კიევში.

კონსერვატორიის კურსი იუბილიარმა დაამთავრა 1910 წელს, რის შემდეგ თავის პროფესორთან და მსახიობ ქალ ნეჟდანოვსთან (მაზეტტის მეუღლე) ერთად გაემგზავრა იტალიაში (ბოლონიაში). რუსეთში დაბრუნების შემდეგ 1911 წელს ის მიწვეულ იქნა მოსკოვის სახელმწიფო ოპერის თეატრის დასში. სახელმწიფო დასში შესვლა მაშინ ძალიან ძნელი საქმე იყო. გაბატონებული იყო პროტექციების სისტემა. ვისაც არ ჰყავდა „დიდი კაცი“ ბიუროკრატიულ ან ჩინოსანთა წრეებში, ვერ ეღირსებოდა მიწვევას და მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭი იყო საჭირო ახალი მსახიობისათვის, რომ მისთვის გაეღოთ ამ თეატრის კარები. მაგრამ პოპოვა დიდ თეატრში დიდხანს არ დარჩენილა. რასაკვირველია, ამის მიზეზიც ისევ პროტექციების პრაქტიკა იყო. ახალგაზრდა ნიჭიერ ქალს არ აძლევდენ გასაქანს, მის ნიჭს არ ჰქონდა საკმაოდ გაფურჩქვნის საშუალება. პოპოვა ვერ შეურიგდა ასეთ უმოქმედობას, დასტოვა სახელმწიფო ოპერის სცენა და მიპატიჟებულ იქნა ზიმინის კერძო ოპერაში, სადაც მან ქალი პრიმადონის ადგილი დაიჭირა. ასრულებდა პირველ პარტიებს კოლორატურულ სოპრანოს ამპლუადან. პირველად მსახიობი ქალი ზიმინის ოპერაში გამოვიდა 1913 წელს დელიბას ოპერა „ლაკმე“-ში. შემდეგში მისი ხმის ფართო დიაპაზონის შემწეობით ის გამოდიოდა მეცო სოპრანოსათვის დაწერილ პარტიებშიაც. მომღერალი ქალი გამოდიოდა შალიაპინთან, ბატისტინთან, სობინოვ-ასტროლეების დროს მოსკოვში. ის მღეროდა შალიაპინთან, ბატისტინთან, საბინოვთან. რევოლუციის შემდეგ ზიმინის თეატრს ნაციონალიზაცია უქნეს. პოპოვა რამდენიმე წლით კიდევ მღეროდა ამ თეატრში და 1919 წელს კვლავ მიწვეული იქნა დიდ აკადემიურ თეატრში, სადაც ის რჩება 1922 წლამდე. ამ წელს კი ის მოიწვია თბილისის აკადემიური ოპერის დირექციამ და ამ ხნიდან მღერის ჩვენს სცენაზე.

მომღერალის ხმა როგორც ტემბრის სილამაზით, ისე დამთავრებული ტექნიკით თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ კოლორატურულ სოპრანოს გამოჩენილ ხმებს ევროპის მასშტაბით.

მსახიობი გამოვა ლაკმეს და მარის („დაისი“-დან) პარტიებში.

ბ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

— „ჩექმებიანი კატა“. დღეს ოპერის თეატრში წარმოდ. იქნება ოპერა ბავშვებისათვის „ჩექმებიანი კატა“. დასაწყისი დღის 12 ს.

— მომღერალ ქალის პოპოვას 15 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად დღეს ოპერის ტეატრში გაიმართება საზეიმო საღამო. მიდის „ლაკმე“ და „დაისი“ (მე-2 აქტი).

— დიდი საღამო ცირკში. ახლო ხანში ცირკში გაიმართება დიდი საღამო ოპერის ბალეტის მსახიობთა ა. პაულის ალბერტის და ცირკის საუკეთესო ძალების მონაწილეობით. ორკესტრი ნეიმანის დირიჟორობით.

— „დეზერტირკა“. დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „დეზერტირკა“.

— კინო ბავშვებისათვის. დღეს „მინიონში“ გაიმართება საბავშვო სეანსი.

— ჟურნალი „დურუჯი“. გამოვიდა და იყიდება კორპორაცია „დურუჯის“ ერთდროული ჟურნალი „დურუჯი“.

— „მასკოტ“. ხუთშაბათს რუსთაველის თეატრში პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება „მასკოტი“.

— ქართული რომანსები. ამ დღეებში გამოვიდა ი. კარგარეთელის ორი რომანსი: „შენ რაღას ფიქრობ არაგვო“ და „თეთრი ვარდი“.

— ახალი პრემიერები. აკადემიურ დრამაში შემდეგ პრემიერებათ წ-ვა „მზეთამზე“, „მეფე ლირი“ და „ვირის ჩრდილი“.

— „ლამარა“. სამშაბათს რუსთაველის თეატრში მეორეთ წარმოდგენილი იქნება გრ. რობაქიძის „ლამარა“.

— საოპერო სტუდია. ქართულ ენაზე ამზადებს „რიგოლეტო“-ს, „ბოჰემა“-ს, „ჯამბაზებს“ და სხ.

— „ლალატი“ თებერვლის შუა რიცხვებში ოპერის თეატრში ქართულ ენაზე დაიდგმება ოპერა „ლალატი“. მთავარ როლებს შეასრულებენ ალეშკო და ქუმსიაშვილი. დადგმა ალ. წუწუნავასი.

— „ნერონი“ თებერვალში ოპერის თეატრში კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით დაიდგმება ოპერა „ნერონი“. მთავარ როლებში ბოკოვა და კიპარენკო.

— წითელ თეატრში. დასადგმელად მზადდება პიესები: „ვირის ჩრდილი“, „ქეციანი ძაღლი“. „ს მაცდრო ბანკში“ და ნ. შიუკაშვილის „სულელი“.

— მაკო საფაროვა-აბაშიძის ბიუსტი. ახალგაზრდა მოქანდაკემ ლ. დო კვანტალიანმა გააკეთა რესპუბლიკის სახალხო არტისტის მაკო საფაროვა-აბაშიძის ბიუსტი.

დღეს კინოებში

— აპოლო
— არტისტო
— ხილეი
„ვინ არის დამნაშავე?“
— მიმიოზა „ორი კაპიტანი“
— [illegible]

პროფკავშირებში

სრ. საქართველოს სახალხო კვების მუშაკთა მე-5 ყრილობა

მე-4 სხდომა

28 იანვრის დილის სხდომაზე ამხ. უნგიაძემ გააკეთა მოხსენება ცენტრ. გამგეობის ერთი წლის მუშაობის შესახებ, მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში ცენტრ. გამგეობას ჰქონია 11 სხდომა, რომელზედაც გაურჩევიათ 43 საკითხი.

პრეზიდიუმს კი—43 სხდომა, სადაც გარჩეულ საკითხთა რიცხვი უდრის 407.

კავშირის წევრთა რაოდენობა

1926 წლის იანვრისათვის კავშირში აღრიცხული იყო 2861 კაცი. წევრთა ეს რაოდენობა შედარებით წინა წელთან გადიდებულია 500 ახალი წევრით. აღსანიშნავია კავშირის წევრების სქესის მხრივ დანაწილება. სულ მთელი რიცხვიდან ქალებია 1.571, ხოლო მამაკაცები 1.290, ე. ი. ქალები სჭარბობენ მამაკაცებს.

კავშირის წევრთა ნაციონალური შემადგენლობა კი ასეთია:

ქართველი	1.248
რუსი	962
სომეხი	439

დანარჩენი ეროვნების—211.

წევრებს თუ პროფესიის მიხედვით დავაჯგუფებთ, დავინახავთ, რომ გაცილებით დიდ რაოდენობას შეადგენენ—შავი მუშები. კვალიფიციური მუშები კი კავშირს ძალიან ცოტა ჰყავს. ერთ-ერთი მიზეზი მის-, რომ კავშირს ამჟამად ჰყავს 761 უმუშევარი, არის სწორედ ის, რომ დიდი ნაწილი მუშებისა არ არის დახელოვნებული თავიანთ საქმეში.

საერთოდ, კავშირში უმუშევრობა ძლიერ დიდია იანვარ-ივლისის თვეებში, ზაფხულობით კი სეზონური მუშაობის გამო უმუშევართა რიცხვი საგრძნობლად ეცემა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უმუშევრობაში თითქმის ორჯერ მეტია ქალები. მაგალითად, ზევით მოყვანილ რიცხვში 530 უმუშევარი ქალია. შემდეგ მომხსენებელი შეეხო ადგილებთან ცოცხალ და წერილობითი კავშირს, ამ მხრივ გამგეობის ბევრი გაუკეთებია.

ცენტრ გამგეობის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ საქმიანობად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მათ შესძლეს ცენტ. გამგეობის და სხვა განყოფილებების (გარდა სოხუმისა და ბათუმისა) აპარატის სრული გაერთიანება.

ქალთა შორის მუშაობა

როგორც ზევით იყო აღნიშნული, კავშირში ქალები უმრავლესობას შეადგენენ. ცხადია, ცენტრ. გამგეობას ქალთა შორის მუშაობისათვის პირველი ადგილი უნდა დაეთმო. ქალთა შორის მუშაობას აწარმოებს ქალთაგან გამოყოფილი პირი.

ქალთა შორის მუშაობის ნაყოფიერებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ცენტრგამგეობის მიერ გასულ წლის ივლისში შინამოსამსახურეთა რაიონულ ადგილკომის გამოყოფამ. ეს ადგილკომი აერთიანებს 500 შინამოსამსახურეს. მისი მუშაობა ქალების კულტურულ განვითარება-გათვითცნობიერებაში და მათი ორგანიზაციულ დარაზმვაში ამ ხნის განმავლობაში დიდათ ნაყოფიერი იყო და მან სრულიად გაამართლა მასზე დაკისრებული საქმე.

რაც შეეხება ახალგაზრდათა შორის მუშაობას, ეს ვერ იყო თავის სიმაღლეზე დაყენებული. საქმის მოგვარებას ხელს უშლიდა სათანადო ახალგაზრდათა შორის მომუშავის შერჩევის სიძნელე. მომავალში ამ გარემოებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

სატარიფო-საეკონომიო მუშაობა

ერთ წლის განმავლობაში დადებულ იქნა 131 კოლექტიური ხელშეკრულება და 815 სატარიფო შეთანხმება.

კოლექტიური ხელშეკრულებები და სატარიფო შეთანხმებანი ვრცელდება 1 204 კაცზე. ამ მხრივ გამგეობამ შეასრულა მე-4 ყრილობის დავალება, რომ კოლექტიური ხელშეკრულებანი დადებული ყოფილიყო კავშირის ყველა წევრებისათვის.

საშუალო ხელფასი

თუ შევადარებთ ხელფასს მინიმუმს 1925 წლის 1 იანვრისათვის და 1926 წლის 1 იანვრისათვის მივიღებთ ასეთ სურათს: 1925 წლის 1 იანვრისათვის სახ. მომარაგებაზე მყოფ წარმოებებში — 12—50 კ.
კოოპერატიულ სახის წარმოებებში — 13—00 „
კერძო სახის წარმოებებში 14—75 „
რკ. გზ. ბუფეტებში —15—00„

1926 წლის 1 იანვრისათვის კი ეს ასე შეიცვალა:

სახელმ. მომარაგებაზე მყოფ წარმოებებში 14.
კერძო დარგის წარმოებებში 16—75.

რკინისგზის ბუფეტებში

კოოპერატიული სახის წარმოებები კი 1926 წლისათვის უკვე არ არსებობდნენ. ასე თბილისში მაზრებში ტარიფები შესამჩნევად დაბალია, მაგრამ შედარებით წინანდელთან მდგომარეობა იქაც გამოკეთდა.

კულტმუშაობა:

შემდეგ მომხსენებელი შეეხო კავშირის კულტურულ ხასიათის მუშაობას. აქ დიდი ყურადღება მიქცეული ჰქონდა წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობას. ადგილებზე კულტმუშაობის ფართოდ და საწარმოებლად ყველა რაიოფკომებთან და ადგილკომებთან მოეწყო კულტკომისიები. მასთან 4 რაიადგილკომთან მოეწყო წითელი კუთხეები. რაც შეეხება კლუბს, იგი ჯერ კავშირს არა აქვს. მაგრამ ამისათვის მუშაობა ამ ჟამად სწარმოებს:

ბიბლიოთეკები:

თბილისში რაიადგილკომებთან არსებობს 3 ბიბლიოთეკა, სადაც მოიპოვება 900 მდე წიგნი.

ამ ბიბლიოთეკებს გარდა მოწყობილია 7 მოძრავი ბიბლიოთეკა. მოძრავი ბიბლიოთეკები ხელს უწყობდენ ადგილებს წიგნების მიწოდებაში. შეკითხვებზე პასუხის შემდეგ მე-4 სხდომა დაიხურა.

მე-5 სხდომა.

საღამოს სხდომაზე გაიხსნა კამათი ცენტ. გამგეობის მუშაობის შესახებ. კამათში მონაწილენი შეეხენ კავშირის სხვადასხვა საქმიანობის საკითხებს და მიუთითეს ახალ ცენტრ. გამგეობას მომავალში ნაკლის გამოსწორებაზე.

მე-6 სხდომა.

29 იანვარს დილის სხდომაზე სწარმოებდა კამათი ცენტრ. გამგეობის ანგარიშის ირგვლივ. ამხ. უნგიაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ ცენტ. გამგეობის ერთი წლის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო, დაწვრილებითი რეზოლუციის გამომუშავება მიენდო კომისიას.

მე-7 სხდომა.

საღამოს სხდომაზე მოხდა არჩევნები ცენტ. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის. ცენტრ. გამგეობაში აირჩიეს 23 კაცი: რაზმაძე, ლომჯანიძე (ბათუმი), რობაქიძე (სოხუმიდან) უნგიაძე, რევია, არჩვაძე, ჯიქია, მენ ლარიშვილი, ქუმსიშვილი, ვოსკანოვი, კაშია, პატარიძე, თედიაშვილი (გორიდან), მიხაილოვა, იმნაძე, ზახაროვი, იბრაგიმოვი, ხუბაშვილი, პეტრიაშვილი, ხაჟომია, მუსერიძე, კიკვიძე (ქუთაისიდან, ჯიქია და კანდიდატებათ 7 კაცი.

სარევიზიო კომისიაში—3 კაცი და ორი კანდიდატი; მაკარეიჩი, დანიელოვი და თავბერიძე. კანდიდატებათ: დემიდოვა და ქებაძე. ამით დასრულდა ყრილობა.

ისევ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის მუშაობის შესახებ

ჩვენი შემფასკომების პრაქტიკულ მუშაობაში ჩვენ ხშირათ ვაწყდებით ამგვარ არა სასურველ მოვლენებს: შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიები ხშირად მიდიან ადმინისტრაციასთან იერიშით იმ მიზნით, რომ ამა თუ იმ მუშას, რომლის მუშაობის საათებით განსაზღვრა შეუძლებელია, გაუდიდდეს ხელფასი ე. წ. დატვირთვის სახით, უნდა შეცვლილი იქნეს ეს თუ ის მუხლი კოლექტიური ხელშეკრულებისა და სხ. არც ერთი ამგვარ საკითხებისა კი სრულებით არ შედის შემფკომის კომპეტენციაში. პირველი საკითხი სავსებით ექვემდებარება ადმინისტრაციას; მეორე კი (კოლ. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ) ადმინისტრაციის სათანადო პროფკავშირის (ცენტრალურ გამგეობასთან შეთანხმებით.

ეს თავისთავად ცხადია და ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთ მოვლენებს კიდევ აქვს ადგილი ჩვენს შემფასკომებში.

ამას გარდა ჩვენი შემფასკომების მუშაობაში კიდევ ერთ გაუგებრობას აქვს ადგილი. ეს ის არის, თუ რა დროიდან უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიების ისეთი დადგენილებები, რომელსაც სცნობს უკანონოდ და აუქმებს შრომის ზედამხედველობის ბიურო—ამ უკანასკნელის დადგენილების დროიდან, თუ შემფასკომის უკანონო დადგენილების მომენტიდან.

ჩვენ ვიცით, რომ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების დადგენილება უნდა გატარდეს ცხოვრებაში არა უგვიანეს 72 საათისა და მუშა-მოსამსახურე იღებს დაკმაყოფილებას (მაგ. მას უმატებენ შრომის ხელფასს ან აძლევენ დატვირთვის პროცენტებს) რამოდენიმე თვის განმავლობაში. ამის შემდეგ ამ საკითხს იხილავს შრომის ზედამხედველობის ბიურო და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის დადგენილებას აუქმებს.

ისმება საკითხი—ვალდებულია თუ არა მუშა-მოსამსახურე აღნიშნულ შემთხვევაში დაუბრუნოს და რა დროიდან წაღებული თანხა? ამ საკითხში ჩვენი შემფასკომები სათანადოთ ვერ ერკვევიან,—ან წაღებულ თანხის დაბრუნებაზე არ თანხმდებიან და მის დაბრუნებას საჭიროდ სცნობენ მხოლოდ შრომის ზედამხედველობის ბიუროს დადგენილების დროიდან, რაც არ არის სწორი და კანონიერი. შემფასკომის უკანონო დადგენილებით გაცემული თანხა დაწესებულებას უნდა დაუბრუნდეს იმ დროიდან, როდესაც ეს თანხა იქნა მუშისთვის გაცემული, რათა მხარეთა მდგომარეობა არ გადასცილდეს ამ დადგენილებამდე არსებულ წონასწორობას.

რაც შეეხება აღნიშნულ თანხის გადახდა-დაბრუნების წესს, იგი ადმინისტრაციის მიერ აუცილებლად უნდა იქნეს განსაზღვრული სასამართლოს სათანადო ნორმა—რაოდენობით და შეფარდებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სათანადო მუხლებით.

საჭიროა, ვიმეორებთ, უფრო მეტი ყურადღება და ხელმძღვანელობა გაეწიოს ჩვენი უმაღლეს პროფორგანოებისა და შრომის ზედამხედველობის ბიუროსაგან ჩვენ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებს მათ ფრიად პასუხისმგებ მუშაობის წარმოების დროს, რათა ამით აცილებულ იქნეს ბევრი ის სრულიად უკანონო და უნაყოფო დავა და ბრძოლა, რომელსაც ხშირად ადგილი აქვს მათ მუშაობაში.

დინამიტი.

სპეციალისტების შრომის უფლებების დასაცავად

შრომის კანონთა კოდექსი სპეციალისტებისათვის დღევანდლამდე თითქმის არ არსებობდა. სპეციალისტის სამსახურიდან დათხოვნის უფლება მინიჭებული ჰქონდა ადმინისტრაციას, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის დაუდგენლათ. ადმინისტრაციას შეეძლო სპეციალისტის დათხოვნა, ისე რომ მას საშუალება ეკარგებოდა მიემართა შრომის სასამართლოსათვის. მართლადაც, თუ სპეციალისტის უვარგისობის დათხოვნის გამო შემფასებელ - საკონფლიქტო კომისია ხმას ვერ ამოიღებდა, თავის თავად ცხადია, სპეციალისტი ვერც შრომის სასამართლოში იჩივლებდა, რადგან როგორც ვიცით, შრომის სასამართლო არჩევს მხოლოდ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის მიერ განხილულ საქმეებს.

ამნაირად, სპეციალისტები ადმინისტრაციის სრულ განკარგულებაში იმყოფებოდენ და, თუ მათ დაითხოვდენ „უვარგისობის" გამო, საქმეს არავინ არ გაარჩევდა.

ეს საკითხი დაისვა პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო-საეკ. განყოფილებაში. საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. ზოგი იმ აზრს ადგა, რომ სპეციალისტის ვარგისობის თუ უვარგისობის საკითხი არ უნდა გაარჩიოს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიამ.

— მართლაც და, ამბობდენ ისინი, როგორ უნდა გაერკვიონ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის წევრები მასში, რომელიმე ინჟინერი შეეფერება თუ არა თავის თანამდებობას... სამსახურში შესვლის დროს ინჟენერი ადმინისტრაციას პირობით ეკვრება და ამ პირობით უნდა იქნეს მისი უფლებები დაცული.

— კეთილი და პატიოსანი, ეუბნებოდენ მეორე აზრისანი, თუგინდ ასე ვსთქვათ, რომ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის წევრებს არ შეუძლიათ შეაფასონ ინჟენერის კვალიფიკაცია, მაგრამ ამ ინჟენერმა როგორ უნდა იგრძნოს თავი კავშირის სრულუფლებია წევრათ, როცა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია მის უფლებებს არ იცავს და არ აძლევს მას საშუალებას, ისარგებლოს იმავე უფლებებით, რითაც ყოველივე კავშირის წევრმა უნდა ისარგებლოს?!

ამას გარდა, თუკი დღევანდელ პირობებში დავტოვეთ სპეციალისტების მდგომარეობა, მათზე შემდეგში არ ვრცელდება შრომის კანონთა კოდექსის მე-47 მუხ. 1 შენიშვნა, მათ ადმინისტრაცია დაითხოვს, როცა უნდა, და სპეციალისტს საშუალება არ მიეცემა სასამართლოში თავისი უფლებები დაიცვას.

სატარიფო-საეკონომიო განყოფილებამ საკითხი საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაიტანა პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, სადაც ზემოხსენებული ორი აზრი დაუპირდაპირდა ერთიმეორეს.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

„საქართველოს პროფსაბჭო სცნობს, რომ რადგან სპეცები პროფკავშირის სრულუფლებიანი წევრები არიან, ისინი სარგებლობენ მშრომელთა ყოველივე უფლებებით და მათზე უნდა გავრცელდეს შრომის კანონმდებლობა, კერძოთ კი—სპეცების უვარგისობის გამო დათხოვნის საკითხი უნდა იქნეს გარჩეული შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში შრომის კანონთა კოდექსის მე-47 მუხ. 1 შენიშვნის თანახმად".

რადგან შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებს მეტ შემთხვევაში არ შეუძლიათ გამოარკვიონ სპეციალისტების კვალიფიკაცია დებულების თანახმად მათ ეძლევათ უფლება მოიწვიონ ექსპერტები.

პროფკავშირელი.

პროფმუშაობის ქრონიკა

რკ. გზის დამზღვევ სალაროში

— **სამსახურში მისაღებ პირთა საექიმო შემოწმება.** ა.-კ. რკ. გზ. დამზღვევ სალარომ მოიწონა აზრი იმ მუშა-მოსამსახურეების წინასწარი საექიმო შემოწმების შესახებ, რომლებსაც ახლად იღებენ სამსახურში ა.-კ. რკინის გზებზე. ამ შემოწმების მიზანია გამოიკვლიოს შემდეგში, თუ როგორ მოქმედობს სატრანსპორტო დაწესებულებების მუშაობის პირობები თანამშრომლებზე.

— **გეგმის დამტკიცება.** ა.-კ. რკ. გზ. დამზღვევ სალაროს პრეზიდიუმმა მიიღო და დაამტკიცა საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების 1925—26 წლის სამოქმედო გეგმა და წინადადება მისცა ყველა დანარჩენ განყოფილებებს თავისი გეგმები შეადგინონ აღნიშნულ გეგმის მიხედვით.

— **ვალის ჩამოწერა.** ა.-კ. რკ. გზ. დამზღვევ სალაროს პრეზიდიუმმა დაადგინა ჩამოეწეროს საქ. ს. მ. უ. საბჭოს რკ. გზის განყოფილებას სალაროს 23—24 წლის ვალი—42.568 მან. რაოდენობით, ხოლო 10. ათასი მანეთი გადაახდევინონ.

— **დასასვენებელი სახლი საქართველოში.** ა.-კ. რკ. გზ. დამზღვევ სალაროს პრეზიდიუმმა დაავალა ექიმ კილურაძეს შეადგინოს ცენტრ.-ისათვის საფუძვლიანი მოხსენება ა.-კ. რკ. გზ. დამზღვევ სალაროსთვის, საქართველოში საკუთარი დასასვენებელი სახლის აშენების შესახებ, რომელიც საჭიროა რკინისგზელთათვის. მოხსენებას თან უნდა დაერთოს ხარჯთ-აღრიცხვა.

— **რკინისგზელთა საკავშირო ყრილობაზე.** რკინისგზელთა კავშირის საკავშირო ყრილობაზე ა.-კ. რკ. გზ. დამზღვევ სალაროს წარმომადგენლათ არჩეული იქნა ამხ. სურენიანი.

— **სანიტარული და დაზღვევის განათლების კომისია.** ა.-კ. რკ. გზ. დამზღვევ სალაროს, საგზაო კომიტეტის, ჯანმრთელობის განყოფილების და კომკავშირის წარმომადგენელთაგან დაარსებულ იქნა კომისია, რომელსაც ევალება სანიტარული და სოციალური დაზღვევის განათლების წარმოება რკინისგზელებში.

— **ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.** საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაამტკიცა კლუბის 6 თვის ხარჯთ-აღრიცხვა.

სოციალური დაზღვევა

სოციალური დაზღვევის ამიერ-კავკასიის საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომლის ძალით დაზღვეულთა ოჯახის წევრებს, რომელნიც სცხოვრობენ არა იმ ადგილს, სადაც თვით დაზღვეულნი, უფლება აქვთ ისარგებლონ ადგილობრივ ყოველგვარი საექიმო დახმარებით საერთო დებულების თანახმად.

სოციალური დაზღვევის ამ. კავ. საბჭოს განმარტებით, — დაზღვეულებს და მათი ოჯახის წევრებს, რომელნიც სამკურნალოდ საკურორტო და საავარაკო ადგილებზე თავის ხარჯზე მიემგზავრებიან, სპეციალური ხასიათის მკურნალობისათვის (ტალახით ექიმობა, ზღვის თბილი ვანების მიღება, მინერალური წყლის ვანებით სარგებლობა) იხდიან ნაღდ ფულს. ასეთი ხასიათის მკურნალობით სარგებლობისათვის მშრომელ ელემენტებზე (დაზღვეულებზე) სათანადო რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების მიერ დაწესებულია შეღავათიანი ფასები.

იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს უეცარ დაავადმყოფებას (ეპიდემიურს, გადამდებ სნეულებებს და უბედურ შემთხვევას) დაზღვეულთა ოჯახის წევრები სარგებლობენ ჩვეულებრივი ხასიათის მედიკური დახმარებით საერთო დებულების თანახმად.

დაზღვეულნი ან მათი ოჯახის წევრები, რომელნიც დროებით იმყოფებიან თავისი ან მეზობელი რესპუბლიკის ამა თუ იმ ადგილს, (შვებულების, მივლინების დროს) უეცარი ავად გახდომის შემთხვევებში სარგებლობენ ჩვეულებრივი ხასიათის ყოველგვარი მედიკური დახმარებით საერთო ძირითადი დებულების თანახმად.

მუშა-მოსამსახ. საბიუჯ. გამოკვლევა

თებერვლიდან საქ. შრომის სტატისტიკის ბიურო იწყებს მუშების და მოსამსახურეთა ბიუჯეტის მორიგ გამოკვლევას. გასაბჭოების შემდეგ ასეთი გამოკვლევა საქართველოში მოხდენილი იქნა ორჯერ—1923 წლის მარტში და მეორე—1925 წლის იანვარსა და თებერვალში.

მუშათა ბიუჯეტის შესწავლა გამოწვეულია ორი გარემოებით: ერთი მხრივ სახელმწიფო, რომელსაც ხელმძღვანელობს პროლეტარიატი, დაინტერესებულია იცოდეს მუშა ხალხის ნივთიერი მდგომარეობა, დაინტერესებულია მათი მდგომარეობის გაუმჯობესებით.

მეორე მხრივ ბიუჯეტის შესწავლას მოითხოვს თვით საბჭოთა მეურნეობის გეგმიანი ხასიათი. სახელმწიფოსთვის აუცილებელია იცოდეს,—როგორია მუშის ბიუჯეტის აგებულება.

საბიუჯეტო გამოკვლევის ობიექტი არის მუშის ოჯახი. ოჯახის მეურნეობის ყოველგვარი წვრილმანის ჩვენება.

ასეთი ცნობების მიწოდება მუშის ოჯახს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მიწოდებული აქვს სწორი ცნობები საბიუჯეტო გამოკვლევის მიზნებისა და ამოცანებზე.

პარტორგანიზაციებისა და პარტიულ უჯრედებს მართებთ ახსნა-განმარტებით გაჰფანტონ ეს უნდობლობა.

მ. გ.

ქრონიკა

დამზღვევ სალაროში

— **თბ. დამზღვევ სალარომ უარი** უთხრა შიკრიკების არტელს, არტელის წევრების დაზღვევაზე.

— **პენსია.** 1 იანვრიდან მთელს ამიერ-კავკასიაში შემოღებულია პენსიის ახალი ნორმა.

ავტომობილების შეტანა

— მიმდინარე წელს ამიერ-კავკასიაში შემოტანილ იქნება 100 ავტომობილი, უმთავრესად საბარგოები.

შრომის ბირჟაში

— **კულტმუშაობა უმუშევრებს შორის.** შრომის ბირჟის კომიტეტმა აირჩია განსაკუთრებული კომისია ამხ. კუსიკის, ბაბლოშვის და დოლაბერიძის შემადგენლობით უმუშევართა შორის კულტმუშაობის საწარმოებლად.

— **შრომის ბირჟასთან არსებული** მედსანშრომის სექცია შეუერთდა გონებრივ მუშაკთა სექციას.

სახალხო მამულების ტრესტში

— **ამერიკული ვაზი.** სახ. მამულების ტრესტმა ამერიკიდან დამატებით გამოიწერა 1.500 ათასი მეტრი ამერიკული ლერწი.

— **ღვინის გასაღება.** სახ. მამულების ტრესტმა რუსეთის საექს. საზ-ბა „ვინტორგს" მიჰყიდა 120 ათასი ვედრო ღვინო.

— **სეტყვის წინააღმდეგ.** ტრესტი ამ დღეებში ამერიკიდან მიიღებს 25 ათას ცალ სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნას.

— **ტკეჩები.** ტრესტმა ლენქორანის საერთიერთო ნდობის საზ-ბას დაუკვეთა ასი ათასი ცალი ტკეჩი კასრების დასამზადებლად.

საბინაო კოოპერაცია

— 1925 წლის 26 მაისს, საბინაო ამხანაგობათა კავშირის შესაქმნელად არჩეული საორგანიზაციო ბიურო ა | წ. 7 თებერვალს, დილის 10 საათზე, მიხა ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში (პლეხანოვის პრ. № 26) იწვევს საბინაო ამხ-ბათა დელეგატების კრებას, რომელზედაც გაკეთებული იქნება მოხსენება საბინაო ამხ-ბათა ა | კ. თათბირის შედეგების შესახებ.

სხვადასხვა

— **მონადირეთა კავშირი** დღეს, დილის 10 საათზე ვაკეში აწყობს შეჯიბრებას სროლაში პირველობისათვის.

— **წითელი ჯვრის სრ. საქართველოს** ყრილობა გაიხსნება დღეს მუშათა სასახლის დიდ დარბაზში.

— **კუმისის ტალახი.** ჯანსახკომმა კუმისის ტალახი იჯარით გადასცა ქალ. ჯანმრთელობის განყოფილებას 10 წლით.

— **სიმინდის საჭიროება.** ოზურგეთის მაზრისათვის წელს საჭიროა 200 ათასი ფუთი სიმინდი.

— **ბათუმის და ფოთის ნავთსადგურებიდან** ამ ჟამად ყოველ-დღე იტვირთება 60 ვაგონი საქონელი, რომელიც იგზავნება ამიერ-კავკასიაში.

— **საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია** შეუდგა სახ-ბა „კახეთი"-ს მთლიან რევიზიას.

— **„განათლების მუშაკი".** გამოვიდა „განათლების მუშაკი"-ს მორიგი ნომერი (10).

მუშათა ცხოვრება

სამჭედლოში
(მუშის სიმღერა)

მეც მუშა ვარ—უსწავლელი,
წარსულისგან დატანჯული,
მუდამ წმინდა ოფლის მღვრელი,
უთვალავი ჭირ ნახული.
სხვა ზეპირად რომ ისწავლის,
მე მას მუდამ თვალწინ ვხედავ;
შიში არ მაქვს ცეცხლის ალის,
ურტყამ უროს, რკინას ვჭედავ.
ზოგი მაღლა ლურჯა ცაზე
ვარსკვლავების თვლას უნდება,
მე კი მიყვარს ქვეყანაზე
წმინდა შრომით რაც შენდება.
მიყვარს ქურა, სამჭედური,
ცეცხლის ალით რომ ხურდება,
შიგ იწვება ჟანგი, მური,
სიბოროტე ცეცხლში დნება.
შრომა უქმად არ ჩამივლის,
დავსტრიალებ ქურას თავზე,
წმინდა ოფლი შრომის შვილის
ტანჯვის ტალღებს აპობს შავზე.
ვენაცვალე ჩემსა გრდემლსა,
მე მას უნთებ ცეცხლის ალსა,
გამოვსჭედავ გუთანს, ცელსა,
გლეხებისთვის ნამგალ-წალდსა.

მუშა ვარდენ სალუქვაძე.

ამხ. სერგო კილაძის ხსოვნას

დღეს მიწას მივაბარებთ და უკანასკნელად გამოვეთხოვებით თბილისის მუშები ამხ. სერგო კილაძეს.

მოულოდნელი და შეურიგებელია ამხ. სერგო კილაძის გარდაცვალება. შეურიგებელია იმისთვის, რომ მან არ მოუცადა ბუნებრივ სიკვდილს და თავის თავს თავისივე ხელით მოუსპო სიცოცხლე.

ამხ. სერგო პროფესიით ასოთამწყობი იყო, ხოლო საქართველოს გასაბჭოების დღიდანვე ერთი თავდადებული მუშაკი იყო საქართველოს სოციალურ დაზღვევის სალაროსი, რომელიც პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას.

ამხ. სერგოს ვიცნობდი უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში. ის ყოველთვის ცოცხალი, ენერგიით სავსე, შეურიგებელი უსამართლობისა და [illegible], [illegible] ბოროტების წინააღმდეგ, აი რა ახასიათებდა სერგოს!..

ამხ. სერგოს დიდი ჭაპან-წყვეტა გაუწევია და მეფის თვითმპყრობელობის დროს, ბევრჯერ დაუსხლტა მათ კლანჭებს, მაგრამ არ შემდრკალა და ყოველთვის იმედიანად გაჰყურებდა მომავალს. აუსრულდა მას წადილი, მეფის თვითმპყრობელობის ნანგრევებზე მუშების ხელისუფლება აშენდა და ამ შენებაში სერგოსაც შეჰქონდა თავისი წვლილი თავისი დაუღალავი შრომით.

მაგრამ რას მივაწეროთ სერგოს ტრაგიკულად გარდაცვალება? ნუ თუ დაიღალა, მოიქანცა, ან ვიწრო ოჯახურმა მდგომარეობამ აიძულა მუშათა რიგებს განშორებოდა სამუდამოდ?..

მაგრამ პასუხი რანაირიც არ უნდა იყოს, ამხ. სერგოს დაკლება დიდი დანაკლისია მშრომელი კლასისთვის.

განისვენე, ამხ. სერგო, თუმცა ვერ შეურიგდებით შენს ტრაგიკულად გარდაცვალებას და მუშათა რიგების დატოვებას!

ასოთ-ამწყობი პ. ახალკაცი.

ქუჩის ხეების განადგურება

ხმება ქუჩებში დარგული ხეები.

ნადგურდება ქუჩის დამამშვენებელი ხეები, ისპობა და არავინ კი არ ზრუნავს მასზე, რომ არ მოისპოს ეს ქუჩის სილამაზე და სიმშვენიერე!..

იქნება ბევრს არც კი მიუქცევია ყურადღება იმ გარემოებისათვის, რომ ალაგ-ალაგ ქუჩაში დარგული ხეები ხმება, გახმობის შემდეგ სჭრიან და მის ადგილს, იმის მაგიერ, რომ ახალი ხე დარგან, ცარიელს სტოვებენ. ასე რომ თუ ზომები არ იქნა მიღებული და ასე გაგრძელდა ხეების მოსპობა, ერთ „მშვენიერ დღეს" თბილისის ქუჩებში არც ერთი ხე არ დარჩება, ყველა მოისპობა.

„საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი!"—ამბობენ ხალხში, როცა რაიმე საკვირველი და საოცარი ხდება.

უფლისა რა მოგახსენოთ, მე იმისი არაფერი მიკვირს, მაგრამ ჩვენი აღმასკომის კეთილმომწყობ განყოფილების საქმიანობა ამ მხრივ მე ძალიან მაკვირვებს.

მუშა ნიკო ახ—ლი.

შემთხვევები

— **გაძარცვა.** ბეჟანინის ქუჩაზე 29 იანვარს ღამის 11 საათზე 3 შეიარაღებულმა ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს ვასილ მაზნიშვილი. წაართვეს 83 მ.ნ.

— **ცეცხლი** 29 იანვარს 19 თებერვლის ქ № 38 გრიგოლ ჯულელის სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

— **დაჭრა.** 29 იანვ. პლეხ. პრ. № 109 გრიგოლ გოგილიამ რევოლვერით მძიმეთ დასჭრა ირაკლი გუბელაძე.

— **ყაჩაღების შეპყრობა.** 21 იანვ. სოფ. ბ. გრანეთში შეიპყრეს რუსა ბურდული, ლადო არაბული, მიხა არაბული და რუსა ციკლაური ყაჩაღობისათვის.

— **ქურდობა.** 29 იანვ. ფრეირამის ქ. № 1 ნიკოლოზ პეტრიაშვილის ბინიდან მოიპარეს 210 მანეთის ნივთები.

— ამავე დღეს კომუნ. ქ. № 71 გაქურდეს იბრაგიმ ხალილ მაქსუდოვის ბინა.

— ამავე დღეს ხაზინის ქ. № 1 გაქურდეს იაკობ პაპელაშვილის ბინა.

— ამავე დღეს ამატუნების ქ. № 44 გაქურდეს ცენტრ. სამხედრო საფონდო საწყობი.

— 28 იანვ. გოგოლის ქ. № 51 გაქურდეს ემელიანე ქლენტის ბინა.

„გრუზშვეიპრომი"-ს გაჯანსაღება სჭირდება
(მუშგლეხინის და ს. უ. მ. ს-ს საყურადღებოთ).

„გრუზშვეიპრომი"-ი სახელმწიფოებრივი და იმავე დროს მუშათა დაწესებულება-კოლექტივია. აქ თავმოყრილია რამოდენიმე ასეული მუშამკერავი, რომელთა მუშაობა და საქმე ისე მაღლა უნდა იდგეს, რომ გარეში მკერავ-მოქალაქეს საბაბიც არ ჰქონდეს მათზე ცუდის თქმისა. მაგრამ ეს ასე არ არის.

როგორ ასრულებს „გრუზშვეიპრომი"-ი შეკვეთებს?

მაგალითისათვის მივმართოთ ამ.-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტს, რომელიც ყოველწლივ მას აძლევს 300—500 სტუდენტებისათვის საჭირო შესაკერავებს.

ამ სამი წლის განმავლობაში არც ერთხელ არ მიუღია უნივერსიტეტს შესრულებული შეკვეთები თავის დროზე. ამავე დროს ყოველთვის ჰქონია ადგილი რაიმე გაუგებრობას. ან მატერია წაუღიათ მეტი, ან ზომაზე არ შეუკერავთ, ან თავის დროზე ზომა არ აუღიათ და სხვა. წელს კიდევ უარეს შემთხვევას ჰქონდა ადგილი:

3 ნოემბერს 1925 წ. დაიდვა ხელშეკრულება „გრუზშვეიპრომ"-სა და ა.-კ. უნივერსიტეტს შორის. პირველს უნდა შეეკერა უკანასკნელის სტუდენტებისათვის საჭირო „კოსტიუმები", „პალტოები", თეთრეულობა, „ლიფები" და სხვა, რომელნიც უნდა ჩაებარებინა 28 ნოემბრამდე (25 დღის განმავლობაში).

მაგრამ ჯერ ერთი და ზომების აღებას ვერ ეღირსენ სტუდენტები. მაშინ, როდესაც ორი დღის განმავლობაში უნდა აეღოთ ზომა, მათ ორი კვირის განმავლობაში ვერ აიღეს ასეთი და ყოველდღე აცდენდნენ და დროს აკარგვინებდნენ სტუდენტებს

შემდეგ კი შეკვეთების შესრულება-მიღება შეიქნა გადასაყოლი. 28 ნოემბრამდე ჩასაბარებელი შეკვეთების ჩაბარება დეკემბრის მეორე ნახევარში დაიწყეს და მხოლოდ 30 დეკემბერს მოათავეს. ვადაზე გადააცილეს ერთ თვეზე მეტი

თბილ საზამთრო ტანისამოსის (კოსტიუმების და პალტოების) ასე დაგვიანებით შეკერვისა და ჩაბარების გამო სტუდენტების მდგომარეობა მეტად ცუდი იყო. მათ საზაფხულო ტანისამოსით უხდებოდათ დეკემბრის სიცივეში სიარული, რის გამო მრავალი გაცივდნენ კიდეც.

არის მთელი რიგი ორგანიზაციებისა რომელნიც უკმაყოფილო არიან მით, რომ „გრუზშვეიპრომ"-ი ანგარიშს არ უწევს მათ პირობა-ხელშეკრულებას და ვადაზე არ უმზადებს და არ აწვდის მათ შეკვეთილ ნივთებს.

ა.-კ. რკინის გზას მათ ხელშეკრულების დარღვევით ორი კვირის დაგვიანებით ჩააბარეს შეკვეთები, რისთვისაც რკ. გზის მმართველობამ 20.000 მანეთი დაუკავა პენის სახით.

ა.-კ. კომ. უნივერსიტეტმა კი 600 მანეთი დაუკავა იმავე სახით.

აგრეთვე გადააცილეს ვადას და თავის დროზე არ ჩააბარეს შეკვეთები მილიციას.

ასეთივე უთანხმოება ჰქონდათ სახკომთანაც და სხვა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „გრუზშვეიპრომ"-ი ერთი დაწესებულების მატერიიდან უკერავს, უმზადებს შეკვეთებს.

მაგ. ა.-კ. კომ. უნივერსიტეტის მატერიიდან მან ჯანსახკომს შეუკერა და გადასცა 400 პირსახოცი.

არანორმალურია აგრეთვე ისიც, რომ მაშინ, როდესაც „გრუზშვეიპრომ"-ს მიღებული ჰქონდა ა.კ. უნივერსიტეტიდან (20 ნოემბერს მიიღენ) კოსტიუმ-პალტოებისათვის სასარჩულე მატერია, ხელმეორედ უნდოდათ მიეღოთ ის, რისთვისაც 7 დეკემბერს ოფიციალური ქაღალდით მიმართეს უნივერსიტეტს და აღნიშნავდენ, რომ მათ ასეთი არ მიუღიათ.

რა არის ეს, თუ, არაკეთილმოპყრობა, გულგრილობა საქმისადმი და დაუდევრობა.

არის თუ არა ეს ბოროტმოქმედება?

უნდა აღმოიფხვრეს ეს და უნდა გაჯანსაღდეს „გრუზშვეიპრომ"-ი თუ არა?

აქ კიდევ ბევრ უმგვანობას აქვს ადგილი.

საჭიროა მუშგლეხინმა აღმოფხვრას ყველა დეფექტები.

ნ. ალიანი.

გვაკმარეთ სიცივე და სიბნელეში ყოფნა
(პ. ჩ.-7 საყურადღებოდ).

აღარ და აღარ ეშველა სადგურ ნავთლუღის მუშა-მოსამსახურეების № 1—სახლის შეკეთებას, რომელზედაც ბევრჯერ ყოფილა ადგილობრივ პრესაში დაწერილი. მაგრამ პ. ჩ.-7 მაინც ყურს არ იბერტყს. ამნაირი გულცივობის გამო მცხოვრებლები № 1—სახლისა, რომელიც აშენებულია მაღლობ გორაკზე, განიცდიან დიდ გაჭირვებას, სახლის ფანჯრები ჩალეწილია, კარების დასაკეტი მოშლილია და მიწის ძვრისაგან კედლებიც—კი გახეთქილია. ეს სახლი უფრო მოგაგონებთ საავარაკო ბინას, ბახმაროზე აშენებულს, ვიდრე მუშა-მოსამსახურეების ბინას, სადაც უნდა იქნენ მოთავსებული მყუდროდ და თბილად მუშები.

თუმცა მუშებს შეშას აძლევენ „ნორმით", მაგრამ ყოველივე შრომა სითბოზე ამაოდ იკარგება, რადგანაც ქარს გააქვს და გამოაქვს თავისი „ზუზუნ-ალერსით" სითბო., ეს სახლი სდგას სადგურიდან მოშორებით და განათებას ადგილი არა აქვს, რომ მუშა-მოსამსახურეებს შეეძლოთ უშიშრად ჩასვლა-ჩამოსვლა, იყო შემთხვევა, მაგალითად შარშან ზამთარში, რომ მგლები თავისუფლად დასეირნობდნენ ამ სახლის გარშემო, რის გამოც ადამიანს ღამით ვერ გაუბედნია კარში გამოსვლა ბუნების მოთხოვნილებისათვის.

ამას უნდა მიექცეს ყურადღება და აუცილებლად გამოიჩინოს ყური პ. ჩ./7-მ, ვისაც ეს ეკადრებოდეს.

მუშკორი **ლიაპიძე.**

სამკითხველოს მდგომარეობა თბილისის საქონლის სადგურში

სამკითხველოში გვაქვს 960 წიგნი; მათ შორის პოლიტიკური—554, მეცნიერული—15, ლიტერატურა, ბელეტრისტიკა—219, სახელმძღვანელოები სხვადასხვა—11, საბავშვო—105, ფილოსოფიური—3, დარგობითი მეცნიერება—18, ფილოლოგიური ენათა მეცნიერება 18, სარწმუნოებაზე—16, ხელოვნებაზე—13.

გამოწერილია შემდეგი გაზეთები: „მუშა"—234 ცალი, „კომუნისტი"—441 ცალი, „ახალგაზრდა კომუნისტი"—125 ც., „ახალი სოფელი" 20 ც., „რაბოჩაია პრავდა"—33 ც., „ზარია ვოსტოკა"—3 ც., „მარტაკოჩი"—18 ც.,

ჟურნალები: „მნათობი"—46 ც., „ფიზკულტურა"—41 ც.

თვით სამკითხველოს ხარჯით: 2 ც. „ახალი გზა", 2 ც. ჟურნალი „ხელოვნება", 1 ც. „რაბოჩაია პრავდა", 1 ც. „ახალგაზრდა კომუნისტი", ჟურნალი „შრომა"—2.

აღნიშნულ დროის განმავლობაში სამკითხველოთი უსარგებლია 4.258 კაცს.

გატანილია მკითხველების მიერ შემდეგი წიგნები: სულ—272 წიგნი, მათ შორის სოციალური—94, პროფმოძრაობის—44, ბელეტრისტიკა და ლიტერატურა—91. ფილოსოფიური —11, საბავშვო წიგნები—291, სახელმძღვანელოები—5.

მუშა **ს. ხიდისთაველი.**

პასუხად ცევრელ კოწიას
(იხ. „კომუნისტი" № 15)

გაზეთ „კომუნისტი"-ს № 15 მოთავსებულია კორესპონდენტის წერილი ზესტაფონის რკინისგზის სკოლის გამგის გოგუაძის შესახებ, ვითომც ეს უკანასკნელი უსამართლოდ ღებულობდეს ზედმეტ ჯამაგირს ქალაქის სკოლების სხვა გამგეებთან შედარებით. კორესპონდენტს უნდა სცოდნოდა, რომ სასყიდლის ოდენობა ისაზღვრება შრომის რაოდენობით და არა სხვა რამე მოსაზრებით. თუ გოგუაძეს პედაგოგიურ საბჭომ მისცა ჯგუფი და მას დასთანხმდა რკინისგზის სკოლების განყოფილებაც, ცხადია, რომ თავისი მოსაზრება ექნებოდა როგორც პირველს, ისე მეორეს.

განახლებული სკოლა მოითხოვს განახლებულ საქმიანობას, რომელიც უნდა შეიტანოს გამგემ სასწავლებელში. ეს საქმიანობა თეორიასთან ერთად პრაქ-თაც უნდა იქნეს დადასტურებული, რისთვისაც გამგეს დაევალა ჯგუფის ხელმძღვანელობა, რომ მისი დამუშავებული კომპლექსებით ესარგებლა სხვა მასწავლებლებსაც. აქ გასაკვირველი არაფერია. განყოფილებას რომ შეძლება მისცა, სასურველია ასეთ მაგალითს სხვა სკოლაშიაც ჰქონდეს ადგილი.

ეს ასე უნდა იყოს თუ კი სკოლის სამსახური მიზანი იქნება და არა საშუალება.

რაც შეეხება საქმის მწარმოებელს, ის დროებით ყოფილა დაშვებული განყოფილების მიერ და უკვე არის გაცემული სათანადო განკარგულება მისი მოხსნის შესახებ.

ე. მამულაიშვილი.

ჯიუტი სახლის პატრონი
(სანიტარო-ტექნიკურ ზედამხედველობის და ფინანსის მილიციის უფროსის საყურადღებოთ).

არა ერთხელ ყოფილა მიცემული პასუხისგებაში სახლის პატრონი ბაკურაძე, მცხოვრები საბჭოს ქ. № 147, —მე-11 უბ. (ყოფ. ჩერქეზიშვილის ქ.) სავალდებულო დადგენილებათა სისტემატიურად დარღვევისათვის. ამ სახლში მცხოვრებთა რიცხვი, რომლის უდიდეს პროცენტს შეადგენენ რკინისგზის მუშა-მოსამსახურენი, განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას. ოთახების შეკეთებაზე კრინტსაც ვერ დასძრავს თითოეული ჩვენგანი, ქირის წაღებაზე კი მამაცი ბრძანდება ქალ. ბაკურაძისა. ფეხსადგილები სრულიად აივსო სიბინძურით, ეზოს მოედო საშინელი სიბინძურე, შეუძლებელი გახდა მითი სარგებლობა. ყველა ამ სახლში მცხოვრები, მუშა-მოსამსახურენი, იძულებულნი ვართ ვისარგებლოთ სხვა ეზოს ფეხსადგილებით, მაგრამ როდემდის?! და ეს ყველა გამოწვეულია კანალიზაციის უქონლობის გამო. აღნიშნული სახლი მდებარეობს ლენინის უბნის შუაგულში, რაიკომის გვერდით. იმ დროს, როდესაც გვერდით მდებარე სახლის პატრონებმა გამოიყვანეს კანალიზაცია, ქალბატონი ბაკურაძე ყურსაც არ იბერტყავს.

გარდა ამისა, ნახევარზედ მეტ მდგმურებს არ აქეთ ბუხრები მოწყობილი წესიერათ, რის გამო ვიხრჩობით ბოლით და ამგვარი მდგომარეობა ყოველთვის გვექადის ფიზიკურათ განადგურებას ხანძარის გაჩენის მხრივ.

ქალბატონ ბაკურაძის მომართვა ყოველთვის ასეთია: „მე არაფერს გაგიკეთებთ, როგორც გინდოდეთ ისე მოიქეცით, თუნდაც სრულიად დანგრეულა და შიგ მოჰყოლიხართო".

სახალხო ქონების ამგვარი განადგურება და უყურადღებოთ მიტოვება ყოვლად დაუშვებელია.

ჩვენ მუშა-მოსამსახურენი მოვითხოვთ, იქნეს სასწრაფო ზომები მიღებული ამ გათავხედებული სახლის პატრონის წინააღმდეგ.

ხელს აწერს 9 კაცი.

სტიპენდიის მოხსნა ცოტაა, უნდა გააძევოთ უნივერსიტეტიდან

ზაფხულზე სახელმწიფო უნივერსიტეტის მსმენელები დაითხოვეს დასასვენებლათ და მერი (სირინა) გუბებიანის ქალიც გამგზავრა სვანეთში, სადაც „ქალბატონ" მერიმ „დიდი ნიჭი" გამოიჩინა „მხატვრობაში".

ამ ორფეხა ცხოველმა დამახინჯებით დიდ კარდონზე დახატა ჩვენი და მთელი მსოფლიო პროლეტარიატის სიამაყე და უკვდავი ბელადი ამხ. ლენინი და გლეხებს უჩვენებდა.

ბოლოს იმდენათ გათავხედდა და დაჰკარგა ყოველივე ადამიანური გრძნობა და დაეშვა უსირცხვილოების ძირზე, რომ სკოლის კარებშიც გამოჰკიდა იგი სოფ. მულახში.

ამ ქალბატონის საქციელით აღშფოთებულმა კომკავშირელებმა ამის შესახებ აცნობეს მაზრაღმასკომს, მაგრამ აღმასკომმა არავითარი ზომები არ მიიღო.

„ბატონი" სირინა კი დღევანდლამდის უნივერსიტეტში განაგრძობდა სწავლას სახელმწიფო ხარჯზე, ხოლო ამ რამოდენიმე დღის წინად მოუსპეს მას სტიპენდია.

სტიპენდიის მოხსნა ცოტაა, მისთვის საჭიროა რკინის ცოცხით იქნეს გამოგდებული უნივერსიტეტიდან ეს შავრაზმელი.

მუშკორი **მილიციელი.**

ამ „მუშაკის" საქციელი საკვირველი რამ არის!!!
(ა.-კ. ფინსახკომის რწმუნებულის საქართველოში საყურადღებოდ).

ქალაქ ქიათურაში გახლავთ, შორაპნის მაზრის საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილედ მოქ. ბიკენტი აბესაძე, რომელიც გამსჭვალულია ნათლიმამური გრძნობებით. ბატონი აბესაძე დიდ ყურადღებას აქცევს კერძოდ პატივისცემას და ლამაზ ქალებს. ბატონი აბესაძე ხშირად ჭიკჭიკობს თანამშრომელთა ოჯახებში და ის ხელფასს უმატებს იმათ, ვინც მას ოჯახებში მიიპატიჟებს.

გეკითხებით: აქვს უფლება თუ არა ბატონს აბესაძეს, რომ საქმის მწარმოებელს დაუნიშნოს ხელფასი მოანგარიშის თანრიგით თუ ის საქმის მწარმოებელი არ ასრულებს მოანგარიშის მოვალეობას?

ბატონ აბესაძის კაბინეტში ყოველთვის ნახავთ მის საყვარლებს, მათთან არშიყობას და დროების გატარებას.

მოწამე.

იურიდიული რჩევა-დარიგება

ვალდებულია თუ არა ადმინისტრაცია მოგვცეს ხელფასი

კითხვა

ს. ს. ს. რ. ფინსახკომში მოხდა შტატების შემცირება. ა. წ. 16 დეკემბერს ფინსახკომის სამმართველოს გამოუკიდებია დაწესებულებაში შემცირებულთა სია. შემცირება მოხდა უბნებში მოსამსახურეთა, რის გამო მათ გაიგეს თავიანთ შემცირებაზე დაგვიანებით, მხოლოდ 20—23 რიცხვიდ ნ. ფინსახკომმა მისცა ჯამაგირი შემცირებულებს 16-დის და ორი კვირის სალიკვიდაციო 16-დან. ფულები მიიღეს 23 დეკემბერს. შემცირებულებმა მოითხოვეს ჯამაგირი ფაქტიურ ანგარიშის გასწორების დღემდე და კიდეც მიიღეს 23 დეკემბრამდის მხოლოდ—31 დეკემბერს.

შემცირებულმა თანამშრომლებმა აღძრეს საჩივარი შრომის სახ.-კომ. წინაშე და იმათ მიიღეს კიდევ 7 დღის.

გთხოვთ გვიპასუხოთ ვრცელდება თუ არა ამ შემთხვევაში ა | კ. კომისართა საბჭოს დადგენილება № 17 1923 წ. 20 იანვრიდან 18 | 8 1923 წ. №—188. თუ ვრცელდება, შეუძლიათ თუ არა მიიღონ დათხოვნილმა მოსამსახურეებმა ფული თანახმად კანონისა—„ფაქტიურათ ანგარიშის გასწორების დღემდე".

კონსტანტინე გიორგობიანი.

პასუხი

თუ ანგარიშის დაგვიანება იმ მუშა-მოსამსახურეებთან, რომელნიც არიან დათხოვნილი შტატის შემცირების გამო, ხდება დაწესებულების ადმინისტრაციაზე დამოკიდებული მიზეზით, ადმინისტრაცია ვალდებულია დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეებს მისცეს სრული ხელფასი ანგარიშის ფაქტიურად გასწორების დღემდე.

მაქვს სურვილი ვინმე შვილად ავიყვანო. როგორ მოვიქცე

კითხვა

ჩვენ, ცოლ-ქმარნი, მოხუცებულნი ვართ. შვილები არა გვყავს, რაც ძალიან გვაწუხებს. ამიტომ, რომ ძალზე მოხუცებულობის დროს არ დავრჩეთ უპატრონოდ, გვაქვს სურვილი ვინმე უპატრონო ბავშვის შვილად აყვანის.

ამისთვის გთხოვთ განგვიმარტოთ, როგორ პირობებში შეიძლება სხვისი შვილი შვილოთ კანონით და შესაძლებელია თუ არა ასეთი.

ლევანტი მენალარიშვილი.

პასუხი

თანახმად დეკრეტი № 28-ისა მუხ. 143-ისა, მისი ძალაში შესვლის შემდეგ, არ დაიშვება არც თავისი და არც სხვისი შვილების შვილად აყვანა, ვინაიდან ამ გვარი შვილად აყვანა არ ქმნის არავითარ უფლება-მოვალეობას შვილად ამყვანთა და შვილად აყვანილთათვის.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ მოლოკანის ქ. სახ № 7-ში, მიჭირავს პატარა ოთახი, სივრცით 20 კვ. არშინი, ვმსახურობ მეისრად რკინისგზაზე მოძრაობის დარგში; ჯამაგირს ვღებულობ მე-5 ხარისხით—40 მანეთს. ვარ კავშირის წევრი (წიგ. № 33110) სახლის პატრონი არ ღებულობს კანონიერ ქირას.

გთხოვთ განმარტებას, თუ რამდენი უნდა გადავიხადო ბინის ქირად.

მეისრე გიორგი ბუთხუზი.

პასუხი.

ბინის ქირად თითოეულ კვადრატულ არშინზე იხდით ორ კაპეიკს.

კითხვა

ვცხოვრობ არკადის შესახვევში სახ. № 6-ში; მიჭირავს ერთი ოთახი; ჩემს ხარჯზე იმყოფება სამი სული: მე ვარ სტიპენდიანტი და ვსწავლობ მუშათა ფაკულტეტზე. ვარ პროფკავშირის წევრი (წიგ. № 172).

გთხოვთ გვიპასუხოთ, თუ რამდენი უნდა გადავიხადო ბინის ქირა ერთ კვ. არშინზე და თუ ქირას სახლის პატრონი არ მიიღებს როგორ მოვიქცე.

ქ. მ. ფაკულტეტის მსმენელი გრ. ენუქიძე.

პასუხი

ბინის ქირად თითეულ კვადრატულ არშინზე, როგორც სტუდენტი სტიპენდიანტი იხდით ერთ კაპეიკს. თუ სახლის პატრონი აღნიშნულ ქირას არ მიიღებს, შეიტანეთ იგი იუსტიციის სახკომატის დეპოზიტზე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ აღრიცხვა-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ბზიაშვილთან:

რეშეტოვი თედორე, ზალიანი პატავაკან, ქუმბურიძე ამბროსი, ბალტიევი ილია, გაბრიაძე იპოლიტე, ალბეგოვი ნიკოლოზ, გოჩიტაშვილი რომანოზ, კაციტაძე ვლადიმირ ვარდაშიანი აიკუმ, კუტუამის, არობელიძე ექვთიმე, წულუკიძე მევლუდ, ჯაჯიევი იასონ დურუმიანი ტიგრან.

ქალაქის რაიკომი.

— ორშაბათს, 1 თებერვალს, საღამოს 5 ნახ. საათზე, ქალაქ. რაიკომის შენობაში შესდგება ქალაქის რაიკომის ყველა ტიპის სკოლების მამასახლისთა თათბირი.

აუცილებლად უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: შახნაზაროვა, კვანტალიანი შატვორიანი, ყანდარელი, მრიკოტენკო, ბიძინაშვილი, მაროხოვი, მაისურაძე, მურადოვი, პაატაშვილი, გარსუევი, ძუძუკინი, სარიანი, მ. მაძე, ჩოდრიშვილი, როშჩუპკინი, ავაქოვი, როჟდენსტვენსკი, ავიანი, ხიტაროვი, მარნიაშვილი, ხოლოხოვი, გოსკანოვი, მიხნევიჩი, მინდელი, ბორიოკი, ბოსიკაშვილი.

დღის წესრიგი:
პოლიტსკოლების მსმენელთა კონფერენციის შესახებ.

ქალაქის რაიკომი.

ორშაბათს, 1-ლ თებერვალს, საღამოს 5 საათზე, სალიანდაგო სამსახურის მე-6-ე უბნის კლუბის დარბაზში შესდგება რაიონული თათბირი პარტუჯრედების კომისიებისა ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ, კომკავშირის უჯრედების მდივნებთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. უჯრედის კომისიების საანგარიშო მოხსენებები ადგილებიდან: მთავარ სახელოსნოს შემკრები საამქრო საყუდი რკ. გზის სამმართველო და მუშთაკი.
2. საინსტრუქციო მოხსენება კომისიისა ამოცანათა და მუშაობის შესახებ. დასწრება კომისიის ყველა წევრთათვის და კომკავშირის მდივნებისთვის სავალდებულოა.

სამშაბათს, 2 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, მე-6-ე უბნის სალიანდაგო დარგის კლუბში შესდგება რაიონული თათბირი უჯრედების ქალთა კომისიებისა უჯრედების ქალთა ორგანიზატორების თანდასწრებით.

დღის წესრიგი:

1. საანგარიშო მოხსენება ადგილებიდან კომისიის თავმჯდომარეების—უჯრედების კომისიების: რკ. გზის სამმართველო, რკ. გზის საავადმყოფო, სარონიდო ფარეხის და საშემოსავლო დარგისა.
2. საინსტრუქციო მოხსენება ქალთა კომისიის მუშაობის შესახებ.

ორშაბათს, 1-ლ თებერვ, საღამოს 5 საათზე, ს. კ. პ. (ბ) ცეკას შენობაში შესდგება

ცეკას საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა,

რომელზედაც დასწრება ქვემოთ ჩამოთვლილ ამხ. ამხ. სავალდებულოა: 1. სვანიძე (ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი) 2. ყურულოვი (ს. პ. კ. ს. ე.) 3. თანცხავა (ს. პ. კ. ს.) 4. ჯაფარ ძე ალ. (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.) 5. მირიმანოვი (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.). 6. ხაცკევიჩი (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.) 7. ჯავახია (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.). 8 ლიცინოვი (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.) 9. ბახტაძე (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.). 10. ჯაფარიძე ვ. (ც. კ. ქალთა განყ.). 11. გიორგ ძე ნ. (ც. კ. ქალთა განყ.). 12. ინსტრუქტორები (ც. კ. ქალთა განყ.). 13. მურავიოვი (საკავშირო კ. პ. (ბ) ა | კ. საოლქო კომიტ.). 14. ტრაპაიძე (საკავშირო კ. პ. (ბ) ა | კ. საოლქო კომიტ.). 15. ინსტრუქტორები (საკავშირო კ. პ. (ბ) ა | კ. საოლქო კომიტ.). 16. დარახველიძე (ს. ა. ლ. კ. კ. ც. კ.). 17. გეურქოვი (ს. ა. ლ. კ. კ. ც. კ.). 18. ალნიაშვილი (ქართ. დივ. პოლიტგანყ.). 19. ბლუაშვილი (ქართ. დივ. პოლიტგანყ.). 20. პეტროვი (კ. წ. დრ. არმიის პოლიტ სამმ.). 12. აფციაური (შინაგან საქმეთა სახკომიდან). მოწვეულია აგრეთვე ამხ. შ. მათიკაშვილი—საქ. შინ. საქმ. სახ. კომისარი.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. საორგანიზაციო განყ. მდივანი: ცაგარელი

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე 2 ე რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ რაიკომის აღრიცხვა-სტატისტიკურ განყოფილებაში.

1) ავეტიკოვი არმენაკ, 2) იაკობიძე იოსებ, 3) მგალობლიშვილი ივანე, 4) სარადიან, 5) საკოიანი ხაჩატურ, 6) რევაზოვი არამ, 7) იგიმოვი სტეფანე, 8) აბგაროვი ბარბალე, 9) შიოვიძე მარიამ.

მდივნის მაგიერ: **წითლიძე**

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2 ე რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ სამშაბათს, 2 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე (პლეხანოვის პროს. № 96) შესდგება მე-2-ე რაიონის ყველა ტიპის პოლიტსკოლის ხელმძღვანელთა თათბირი.

ყველა ხელმძღვანელებისთ დაუგვიანებლათ გამოცხადება სავალდებულოა.

მდივნის მოადგილე **წითლიძე**

განცხადებები

საქართველოს პროფკავშირების გამომცემლობა „შრომა“ და ჟურნალი „შრომა“ იუწყება, რომ იანვრის 28-ს ტრაგიკულად გარდაიცვალა აღნიშნულ გამომცემლობის და ჟურნალის სარედაქციო კოლეგიებისა და გამგეობის წევრი ამხ.

სერგო კილაძე

გამოსვენება საკუთარ ბინიდან, პანასკევიჩის ქუჩა, № 26. დღეს, 31 იანვარს, დილის 12 საათზე. 6. 696 1—1

რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველოს თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 28 იანვარს, დილის 9 საათზე და 10 წუთზე ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და პატივსაცემი თანამშრომელი ამხ.

სერგო კილაძე

გამოსვენება საკუთარ ბინიდან, პანასკევიჩის ქუჩა, № 26 დღეს, 31 იანვარს, დილის 11 საათზე. დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე. 6. 694 2—1

რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველო მწუხარებით იუწყება, რომ 28 იანვარს, დილის 9 საათზე და 10 წუთზე ტრაგიკულად გარდაიცვალა სამმართველოს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ.

სერგო გაბრიელის ძე კილაძე

გამოსვენება საკუთარ ბინიდან პანასკევიჩის ქუჩა, № 26, დღეს, 31 იანვარს, დილის 11 საათზე. დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე. 6. 694 2—1

ჯანსახკომის დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილება მწუხარებით იუწყება, რომ 28 იანვარს ტრაგიკულად გარდაიცვალა სოციალურ დაზღვევის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე და წარჩინებული მუშაკი

სერგო გაბრიელის ძე კილაძე

გამოსვენება კვირას, დღის 11 საათზე, საკუთარი ბინიდან, პანასკევიჩის ქუჩა, № 26 ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1346 2—1

საქ. შრომის სახალხო კომისარიატის და რესპუბლიკანურ სოცდაზღვევის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა ადგილობრივი კომიტეტი და შრომის სახ. კომისარიატის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ 28 იანვარს, დილის 9 საათზე და 10 წუთზე ტრაგიკულად გარდაიცვალა სოცდაზღვევის სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკი და ძვირფასი ამხანაგი

სერგო გაბრიელის ძე კილაძე

გამოსვენება საკუთარ ბინიდან. პანასკევიჩის ქ., № 26 დღეს, 31 იანვარს, დილის 11 საათზე. დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე. 6 695 1—1

გიორგი, გერასიმე, პარმენ, არტემ და ივანე დავითის ძენი, გიორგი და გუკოლე მიხეილის ძენი ბერიძეები, თავიანთი სახლობით და კატო ბერიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თავიანთ ძვირფას ბიძაშვილის ექიმის

ილიკო ცეხანოვსკის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ სახლიდან (საპიორის ქ. № 28) კვირას 4 საათზე, დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1553 1—1

ბიძა ალექსანდრე, დეიდა ნატალია, მინა ბერიძე და ანა სვანიძისა, ბიძაშვილები: ვანო, აკაკი, შალვა ბერიძეები თავიანთი სახლობით და ნინო მარგველაშვილისა, სიძეები რაჟდენ და სერაფიონ მარგველაშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ძვირფასი ექ მის

ილიკო ცეხანოვსკის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ სახლიდან (საპიორის ქუჩა № 28) დღეს, 31 იანვარს, დღის 4 საათზე დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1353 1—1

მარგარიტა, ნადეჟდა, მიტო ამირაჯიბები, რძალი ემმა; სიძეები: ზინობი ჩაპიძე და პოლიო კალანდაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 27 იანვარს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი დაუვიწყარი ბიძაშვილი და მეგობარი ექიმი

იროდიონ (ილიკო) ამბროსის ძე ცეხანოვსკი

გამოსვენება. დღეს 31 იანვარს 4 საათზე, საკუთარ სახლიდან საპიორის ქ. 28. დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1357 1—1

გაუბედურებული დედა ანა ივანეს ასული ყიფიანისა აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ თავისი უძვირფასესი, საყვარელი ტკბილი შვილის

ქაიხოსრო ყიფიანის

გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ რკინის გზის საავადმყოფოდან კვირას, 31 იანვარს, დღის 3 რეულ საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე სამშაბათს, 2 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე.

ღრმად დამწუხრებული შვილებ: კოსტა ტანე, შალიკო, მარიამი რძალი ნატაშა და დარია, შვილიშვილებ: ამბროსი, ევგენია, ლუბა და გიორგი დემურიშვილები და სიძე ლადო კიკნაძე აუწყებენ ნათესავთ-ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა

ეკატერინე აზრამის ასული დემურიშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება დღეს, 31 იანვარს, გამოსვენება პრიუტის ქუჩა № 22 წმინდანის სასაფლაოზე დილის 11 საათზე 2 2

ღრმად დაწუხრებულნი დედა ეკატერინე, ცოლი ოლღა, შვილიშვილი ვალოდია—ცოლით ივლიონეთი და და—მარიამ შიოს ასული ქმარით იოსებით, შვილებით გიორგით და ალექსანდრე ედიბერიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

მიხეილ შიოს ძე მირიანაშვილის

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება მოხდება დღეს დილის 10 საათზე საკუთარი ბინიდან (ავლაბარი, ქართული ქ. № 13) დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 1354 1-1

დღეს, 31 იანვარს, ქ. ქ თაისძი საეპისკოპოს ეკლესიაში დილის 11 საათზე, გადახდილ იქნება გარდაცვალების დღიდან ორმოცი დღის აღსანიშნავი წირვა და პანაშვიდი, ძვირფასი და საყვარელი დედიკოსი

მარიამ ნიკოლოზ ჭეიშვილის ასულის კირკიტაძისა

რასაც მისი გულდამწვარი შვილი მათიკო ისიდორეს ასული კირკიტაძე აცნობებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ. 1356 1 1

გამოვიდა, დაურიგდა ხელისმომწერთ და იყიდება ყველგან

№ 14

„თეატრი და ცხოვრება“

ფასი 25 კაპ.

ხელის მოწერის პირობები: (დამატებებით) წლიურად—10 მან.
3 თვით —3 მან.
1 თვით—1 მან. (ფულის გად. ნაწ.)

რედაქციის და კანტორის ბინა: რუსთაველის, 36 „თეატრი და ცხოვრება“ ტელ. 22—34.

6. 1—1 რედაქცია.

საჯარო ვაჭრობა

1926 წ. 9 თებერვალს, დღის 12 საათზე ა.-კ. რკინისგზათა მოწყობილობათა და გზის განყოფილების სამმართველოსთან (ელისაბედის ქ. № 78) დანიშნულია

შერეული საჯარო ვაჭრობა,

რომელითაც იჯარით გაიცემა კირის ქვის დამზადება ქალაქ ქუთაისის რაიონში სოფელ ჭაგნარის და ეკალიარის კარიერებიდან და სანაინის რაიონში ხაჩ ნახის და სანტერის კარიერებიდან ორი თვის განმავლობაში დღიდან იჯარის აღებისა.

ვისაც სურს იჯარის აღება თავისი ფასები ზეპირად უნდა განაცხადონ საჯარო ვაჭრობის დღეს. შეიძლება ფასების შეტყობინება წინდაწინვე ვაჭრობის დაწყებამდე დეპეშით, ან კიდევ წერილობითი განცხადების შემოტანით დახურულ კონვერტში შემოღებულ ბლანკებით, რომელთაც იძლევა გზის და მოწყობილობათა განყოფილების სამმართველო.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობისათვის გზის სალაროში შეტანილ უნდა იქნეს გირაო განცხადებული ფასის 5 პროცენტის რაოდენობით.

სამუშაოების აღების დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება გზის და მოწყობილობათა განყოფილების სამმართველოში ან ქუთაისში და ან კარაკლისში უბნის უფროსის კანტორაში.

6. 678 2—2

აპოლლო არტისტო სოლეი

35.127 კაცმა

ინახულა 8 დღის განმავლობაში სურათი

„ვინ არის დამნაშავე?“

რათა ყველას მიეცეს სურათის ნახვის შესაძლებლობა, ჩვენება გაგრძელებულია მესამე კვირას მხოლოდ დღეს—სამი სეანსი

პირველი სეანსის დასაწყისი—4 ს. 45 წ. სალარო ღია 3 საათიდან. უკრავს გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი.

0—12 6. 609

ავადმყოფების მიღებას
პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

აწარმოებს დილით 9 ს-დან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. კვირა დღეს არც ავადმყოფებს იღებს და არც რაიმე განმეორებითი რჩევებს აძლევს. ყოფ. ელისაბედის ქ. № 7, ხიდის მახლობლად ტელეფ. 14—56 989 25—1

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. **მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი**

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

რუსთაველის თეატრი: დღეს, 31 იანვარს

დეზერტირკა

საშაბათს, 2 თებერვალს

ლამარა

გრ. რობაქიძის 6. 690 2—2

სახელმწიფო ოპერა დღეს, 31 იანვარს

დილას

— ოპერა —

კატა ჩექმებით

და დიდი საბალეტო დივერტისმენტი

ბერინის ხელუდის მონაწ.

საღამოს ევგენია მეთოდეს ასული პოპოვას

სცენიურ მოღვაწეობის 15 წლის თავის აღსანიშნავად

1. ლაკმე
2. დაისი (2 აქტი) 2-2 6. 691

წითელი თეატრი დღეს, იანვრის 31

შეოთხედ შექსპირის

ჭირვეული ცოლის მორჯულება

კატერინა—დამსახურებული მსახიობი ტასო აბაშიძე

პეტრუჩიო—გელოვანი მ.

დადგმა: მ. ჭიაურელისა

დეკორაციები და ტანისამოსი ქ. ზდანევიჩისა

ადგილების ფასი სახალხოა

დასაწყისი საღ. 8 საათზე

1—1 6. 689 ადმინისტრატორი 6. შანკვატაძე

წინადადება ეძლევა

მოქ. ალექსანდრე დიონისეს-ძე კევლიშვილს

(გაზეთ „კომუნისტი“-ს ყოფ. კონტრაგენტი ქ. ონში, რაჭა)

ერთი კვირის განმავლობაში

გამოცხადდეს გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული) ანგარიშების გასასწორებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებულ იქნება სათანადო ზომები.

მოქ. კევლიშვილზე გაცემული მოწმობა 1925 წ. მარტის 27 თარიღით № 463

ჩაითვალოს გაუქმებულად

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

3—2

შინ. საქ. სახ. კომისარიატი

იწვევს იმ პირთ და ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, რომელთაც

სურთ მიიღონ მონაწილეობა

ვაჭრობაში

თბ. გამასწორებელ სახლებისთვის მიმდინარე წელში მოსაწოდებელ ხორცის და მწვანილეულობის შესახებ და სახელდობრ: ხორცის, კარტოფილის, ლობიოს, ხახვის, მწვანილის, საჭმელი ზეთის და სხვ. იჯარა შეიძლება აღებულ იქნეს ერთის მიერ ყველა სანოვაგეზე და ნაწილობრივადაც. იჯარის პირობების და სანოვაგის რაოდენობის შესახებ ცნობებს იძლევა შინსახკომისარიატი ყოველ დღე. ვაჭრობა დანიშნულია ამა თებერვლის 6 ს დღით 12 საათისათვის. სამი დღის შემდეგ ხელმეორე ვაჭრობის მოხდენით. ნება დართულია ვაჭრობის დღემდე წერილობითი განცხადებათა შემოტანა.

შინ. საქ. სახ. კომისარიატი

3—3 6. № 680

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

სხივებით რენტგენი დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, კურლანოვის ქ. № 20.

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეტი.

ავადმყ. მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის (ოლღას ქუჩა 49) ტელ. 4—82.

1355 25—1

დოქტორი **გ. მეგრაბიანი**

ფილტვების, გულის და ციების წამლობა ხელოვნური მთის მზით

სპნეიმოტორაკსით და ტუბერკულინზით, რენტგენის, და სინათლის-ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

დ. აბაშა
კბილის ექიმი

ა. ჭადარეიშვილმა

განახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატეხნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები.

25—1 № 1306

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**

კანისა და ვენერიული სნეულებაა (სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეხო კასაბლის ზემმელის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

ლენინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოების ყველა გართულებებით) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი

დ. ა. გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობას სულით ავადმყოფებს.

დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს.
ძნელაძის ქუჩა (ყოფილი საპიორნი) № 32.

25—

ექიმი **გ. ნ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.

ექ. ა. მ. მძ ნარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. დღედ 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან) 25—1

ექიმი **გ. ა. ლუკოვსკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ კორპ. უკან.

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5-დან 9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღმოს.

მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—1

ექიმი **თოდაძე**

ქირურგიული და ეროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ბუშტები, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—და სხვ.).

ცისტოსკოპია, ურეტროსკოპია, პიელოგრაფია.

საღამოს 4—6 სათამდე
ბელგიის ქუჩა № 1.

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის ცალკე შესავალი.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

ექიმი **ა. ს. ფუნ-ირტელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი). **ზოგადი საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილისა, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე**

დაიკარგა კავშირის წიგნაკი ვასილი საგინაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1351

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა № 1535 და მეტრიკული ამონაწერი, დიმიტრი ქავთარაძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1352

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 1249 და პირადობის მოწმობა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული დომენტი ირაკლის ძე წივწივაძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1353

დაიკარგა სამთომადნო კავშირის წიგნაკი № 1584 ანტონ ტუსკიას სახელზე ჩ. გ. 1—1 1358

დაიკარგა სამხედრო საღრიცხვო ბარათი ჯგრ. № 4, მიხეილ კაპიტონის ძე ახვლედიანის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1362

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 816, სიღარიბის მოწმობა № 2346 და სხვა საბუთები ნიკოლოზ ვლადიმირის ძის იაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1360

დაიკარგა ლომბარდის ქვითარები: №№ 14984 და 15209 არუსიაკა მადოიანის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1359

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 9 ლევან ილარიონის ძე ფოცხიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1361

დაიკარგა მოწმობა, მიღებული მმაჩის განყოფილებიდან, პირადობის მოწმობა, შალვა კოტიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1363

АЛКОГОЛЬНАЯ ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ ЖИВОТНЫХ
ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКИЙ ОТДЕЛ ЛАБОРАТОРИИ „ГАЛЕН-МОСКВА" в МОСКВЕ
СПОСОБ УПОТРЕБЛЕНИЯ СМОТРИ ОБОРОТ
АЛКОГОЛЬНАЯ ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ ЖИВОТНЫХ
LIQUOR TESTICULORUM SPIRITUOS
ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКИЙ ОТДЕЛ
ЛАБОРАТОРИИ „ГАЛЕН МОСКВА" в МОСКВЕ

ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ „СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ"

ავადმყოფობათა წამლობა

პროფესორ თ.

„გამონაწური სათესლე ჯირკვლებიდან“.

„გალენ-მოსკოვის“ კოოპერატივის ორგანოთერაპევტიულ ლაბორატორიისა, ნებადართულია ჯანმრთ. სახკომისარიატის მიერ № 8362 დამზადებულია პროფესორ ბიუხნერის საშუალების მიხედვით ახალ სათესლე ჯირკვლებიდან.

გამონაწური სითხე ჯირკვლებიდან ძალიან შველის: ნერვების აშლილობას, ყოველი სახის ნევროსტენიას, სხეულის მოდუნებას, სიბერისგან დაავადებას, სხეულის სისუსტეს ავადმყოფობის შემდეგ როგორც მაგალითად: ტიფი, ინფლუენცა, ათაშანგი, მშობიარობის შემდეგ ავადმყოფობა, არტერიოსკლეროზულ მიღების ცვლილება, პოდაგრა, სქესობრივი უძლურების ყოველგვარი სახე, კონსტიტუციონალური დაავადებანი: სისხლის ნაკლულება, ელქი, შაქრის ავადმყოფობა, ხერხემალის ანთება და სხ. მრავალი, წამალს ადვილად ითვისებს სხეული და არაფერს ვნებას პირდაპირი ავადმყოფობის გარეშე.

სეკარის სითხე იყიდება საფთიაქო სამმართველოს სახელმწ. მედიკ. საწყობის და წითელი ჯვრის ყველა აფთიაქ. და მაღაზიებში. ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კ., ვინც 4 ფლაკონს და მეტს გამოიწერს, მას გადასაზავნი ფული არ გადახდება, ფოსტით გაიგზავნება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება ბე 25 პროც. კორესპონდენც. და შეკვეთა უნდა გაიგზავნოს მისამართით: კოოპერატივ „გალენის“ ა.-კ. წარმომადგენლობა, თბილისი, თავისუფლების მოედ. № 2. **адресь:** Зак представит. коопер. „Гален" Тифлис площадь своб. № 2 Каравая. Сарай Тамамшева, вход напротив быв. гостиниц. „Кавказ". Гл. Скл. для СССР. торг. отд. Кооператива „Гален-Москва" Москва ул. Герцена № 5 отд. 3. Б. 425 0—13.

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს სა წულუკიძის ქუჩა №